

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

განათლება

II

თებერვალი

II



შიდაარსი: 1) სიმღერა მთის შვილის—ვაჟა-ფშაველასი. კრიტიკული კრებული (გა-
გრძელება)—იპ. ვართაგავა. 2) ჭიგინა. ჩუენი თვალთუხილავი მტერ-მოყვარენი ილ.
ალხაზიშვილი. 3) შემკვიდრების და აღზრდის გავლენა ადამიანის ბუნებაზე ექ. ბა-
დრიძე. 4) თავ. გრ. ორბელიანი და რომანტიული მიმართულება ქართულს პოეზიაში.
ილ. ფერაძე. 5) ქართველი ქალის დანიშნულება („თემი“) ივ. გომარჯელი. 6) არი-
თმეტიკა დასაწყისის სკოლაში (რუსულნიდან შემოკლებით) კატო ბაქ ძე. 7) ნაკრძობი
დ. თურდოსპირელი. 8) მეუღლებზე და სუნჯე ლ. ძიძიგური. 9) — 10 ლექსი ი.
შქედლიშვილი. 11) მზის ჭახვები გ. ლეონიძე. 12) წეროები (ტეტმაიერა) ვ. გორგა-
ძე. 13) შთაბეჭდილება გულ-გატეხილი. 14) * * ლექსი ილია გოგია. 15) ბაქას სხს-
ლხო სკოლები ვ. ოზჩელი. 16) კონსტანტინე დიმიტრის ძე ვიფიანის 17) სრულიად
რუსეთის სხსლხო მასწავლებელთა კრება ფარი. 18) ბიბლიოგრაფია. მედიტონ კელებ-
ჯარიძე გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა რ. ფერაძე. 19) დია წერილი ბ. წაქაძეს მ.
ჩალსკი. 20) ფურცელი კიევიდან დ. თ. 21) გურიის სხსლხო მასწავლებლები უწინ
და ესლ ქიამილ ეფენდი აღმასხანიძე. 22) ახალი ამბები 23) ბათუმის საფაჟო გი-
მნაზია ტრ. ინასარიძე.

დამატება: ცნობები ქ. შ. წერ-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა: ოქ-
მები საზოგადო კრებისა. კომისიის წევრის ივანე ზურაბიშვილის ცალკე აზრი ინსტრუქცი-
ის შესახებ. სია იმ პირთა ვინც სრულიად შემოიტანა საწევრო ფული და სურვილი განაცხადა
ქ. შ. წ. კ. ს. წევრობაზე. ახგარიში.

მიიღება ხელის მოწერა საპოლიტიკო და სწლიტერატურო გაზეთი.

„ბათუმის გაზეთი“

(წელიწადი მეოთხე)

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ. ერთი წლით 3 მან. ნახევარი წლით 1 მ. 50 კ.
3 თვით 75 კ. ერთი თვით 25 კ. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ პრემიათ ექვსს წიკნს

1) ერთ-ერთ ახლგაზდა მკანის ლექსების კრებულს, ავტორის ბიოგრაფიით და სურ-
თით. 2) ერთ-ერთ ახლგაზდა ბეჟეტრისტის მოთხრობათა კრებულს და დანარჩენს სსს
და სხვა დარგის წიგნებს.

ფოსტის ადრესი: Батумъ, Шереметьевская ул. д. Барона-Фитингофа, № 18
Редакция Газ. „Батумсь Газети“.

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლის

„ხ მ ა კ ა ხ მ თ ი ს ა“

(წელიწადი მესამე)

1914 წელს გაზეთი გამოვა კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვირაობით.
გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მან. 50 კ., ნახევარი წლით 1 მან. 80 კ., ერთი
თვით 1 მან. 40 კ. სიღნაღში და სოფლებში: ერთი წლით 2 მან. 50 კ. ნახევარი
წლით 1 მან. 30 კაპ. ერთი თვით 1 მან. 25 კაპ. ცალკე ნომერი ეგვლგან 3 კაპ.

გაზეთის გამწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

მისამართი: г. Сигнахъ К. I. Ткавадзе.

განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

II	თებერვალი	1914 წ.
ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით . . . 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.	ცალკე ნომ- რის ფასი 40 კაპ.	ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად- რესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

სიმღერა მთის შვილის—ვაჟა-ფშაველასი.

კრიტიკული მთხრობა

(გაკრძელება)

**ძველ გმირთა ტიპები ვაჟას
პოეზიაში**

ვაჟას მთელი სიმპატია ისეთს გმირე-
ბისაკენ არის მიზიდული, რომლებიც ფი-
ზიკურად, ზნეობრივად და გონებრივადაც
სამაგალითო ძლიერების განხორციელებას
წარმოადგენენ, რომლებიც ამ ძალას და
ძლიერებას ქვეყნის და ერის სასარგებლოდ
ხმარობენ და რომლებიც უმაღლესი ზნე-
ობრივის თვისებებით: სულგრძელობით,
სიმდაბლით, სიბრალულით არიან დაჯილ-
დობულნი. და ეს იმისთვის, რომ, ვაჟას
რწმენით, სწორედ ასეთმა იშვიათმა გმი-
რებმა შექმნეს საქართველოს, თუმცა არა
ბრწყინვალე, მაგრამ შინაარსიანი...

გულისხმიერო ისტორია. აი ასეთის ხასია-
თის გმირია ვაჟას გოგოთური (პოემიდ-
გან: „გოგოთურ და აფშინა“, თხ., გვ.
17—34). იშვიათს სანახაობას წარმოად-
გენს ფიზიკურად გოგოთურ.

ის ბუნებას დაუჯილდოებია თითქმის
არა ბუნებრივის ჯანით და ღონით: მაგა-
ლითად, გოგოთურ შეუწუხებლად და თა-
ვისუფლად

„ვეება ჭანდარს აიღებს,
წინწკრად გაიღებს მხარზედა“...
„ხანდახან დაიბუბუნებს,
ჭერი დაიწეებს ნძრევას,
თან ფეხს დაუდგმს ვაჟაკი,
ი...“

როგორც „ტან დიდს“ და ძლიერს გმირს, გოგოთურს ფარ-ხმალი და იარაღიც არა ჩვეულებრივის ზომისა აქვს: მისი ფარი და „სიათა ჭრელი, უზარ-მაზარი, ბელსა ჰგავს, კაცის საზიდლად ძნელია“. თუმცა ასეთის ღონითა და ძალითაა გოგოთურ ბუნებისაგან დაჯილდოებული; თუმცა ეს ღონე და ძალა მას შეეძლო მხოლოდ პირადის ბედნიერებისათვის და უზრუნველყოფისათვის მოეხმარა; თუმცა „ნავალით, ნაყაჩაღარით“ მას შეეძლო უთვალავი ოქრო-ვერცხლი და სარჩო-საბადებელი შეეძინა, როგორც ამას მისგან „გაანჩხლებით“ მოითხოვდა მისი „უჭკუო“, ბრიყვი „ღიაცი“ - ცოლი, — მაგრამ გოგოთურმა პატიოსნური, აზრიანი და ვაჟკაცური შრომა და მოქმედება აირჩია, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ „ნადავლით“, ნაყაჩაღარით კაცის დარჩომა ძნელია“. და მართლაც

„ჩაჯის ახსავს, ფშავშია
ხმა-მადლა ასძახებოდექ, (გოგოთურ)
უნადამც სცარცაფადა
გზას ვისმე გადასდგომოდექ“.

გოგოთურს სამარცხვინოთ მიაჩნდა „ლუკმა ეკამა სხვისი“; მისი ღრმა რწმენით, „ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვს, როცა ხმაღს ხედავს მტრისასა“! ახირებულ „უბედ“ ცოლს, რომელიც მას საყაჩაღოთ აქეზებს, გოგოთურ აი რას ეუბნება:

„ჩემი ფრანგული მტერს ჭკლავს,
ძმაზედ ანა აქვს ხედიო,
უწინ შინ რადის დაუმდგარვარ,
რასც დაგვცემია თათარი,
მტერს წინ მე მივგებებოვარ;
როგორც ჯეიჩანს აფთარი.
ამში რვა ხმალი გავცვითუ,
მეტხე თეთრ-ტარა ხანჯარი“.

თვალსაჩინო და საამაყო იყო მართლაც გოგოთურის გმირობა და ვაჟკაცობა ომი-

ნობის დროს! მისი სამაგალითო მამულის შეილურს მოღვაწეობას და თავგანწირვას მეფის ყურადღებაც მიუქცევია; გოგოთურზე მეფეს უთქვამს:

„...გოგოთურ ათასს კაცთან ვადარე,
ათასგანა შეჯეს ნაცადი,
ათასგან ამში ვატარე;
გოგოთურს რკინის გული აქვს,
ჯანი ხო გადაშეტა,
რამდენჯერ მარტო შაბერტეის
მტერი ქვიშაზე შეტია.
ამში სიკვდილს ჰგავს გოგოთურ,
შეუბრალებო, უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომის,
როგორც სულთა-მხუთავი...
ისე აგორებს მტრის რაზმებს,
როგორც ხავს ტაღდათა ღენანი,
აღბად წყალობენ ვაჟ-კაცსა
ის ანგულაზნი ზენანი“!

ომი და ომიანობა მართლაც მშობლიურს და სანატრელს სთიქიონს წარმოადგენენ გოგოთურისთვის. მას მხოლოდ ის შეაწუხებს და დაანაღვლიანებს, როდესაც „ომის ხმა“ შეგვიანდება.

მშვიდობიანობის დროს კი გოგოთურ ნამდვილი მშრომელი და გამრჯელი მიწის მუშაა. ცელი, ნამგალი, ნადირობა მას ძალიან ემარჯვება.

„შემოღამება, შინ მიდის,
ჩამოუჯდება კეჩასა,
დაიწეებს შესაქტეკრადა
დიდის უაღიფნის წევასა.
ფანდურსაც დააჟღარუნებს
თითს აჩქამებს ბეჩასა“

როგორც სჩანს, გოგოთურ ესთეტიურ გრძნობასაც არ ყოფილა მოკლებული: მუსიკა, სიმღერა-ლილინი, მისი ყოველდღიურ სულწიერ მოთხოვნილებას შეადგენს... გოგოთურ მომთმენი და სულგრძელი ადამიანია: მას იშვიათად იპყრობს გრძნობა

შურის ძიებისა და მტრის დამცირებისა. თვის მუხანათს, მისის სულგრძელობით მოჯადოებულს, გოგოთურ ძმობასაც შეპყროვას და უანგაროდ უმეგობრდება. მხილება, გაკიცხვა გოგოთურისა ჰკვიანური და ვაჟკაცურია და თან საეროვნო გრძობით არის გაშუქებული. სწორედ ასეთი სიმბატიური და „კაცად-კაცური“ თვისებები გამოიჩინა გოგოთურმა აფშინასთან შეტაკების დროს.

აფშინაც ცნობილი ვაჟკაცი იყო. როდესაც ის ლურჯას მიაქანებდა, „ნაღნი რიყზე წივოდნენ“. მუდამ გამარჯვებას ჩვეულს, აფშინას „უხდებოდა წითელ ჩოხაზე ფარი დაშნა რწეული“. როდესაც გულ ლალი აფშინა მღეროდა, „მთანი ხვივოდნენ“. ნადავლით და ნაყაჩაღარით აფშინა დიდს ქონებასაც იძენდა, ასე რომ მის „ცხენს ტანი სულ ვერცხლით ეფარა“. უძლეველად, უბადლოდ სთვლიდა აფშინა თავის თავს. მართლაც, როდესაც მას შეხვდა მეორე ვაჟკაცი—გოგოთურ, რომელიც მიიზღაზნებოდა „ხოვივით, პირ-ქუში, არა მცინარე“, აფშინას „გულშიაც ჩაეცინება, ზედ მივარდება ცხენ და ცხენ, უდივრად შეეცინება,— აფშინას ბაწარაულის (თოფთა) შუქი შორს გაიფინება“.

გათამამებული და გულზვიადი აფშინა გოგოთურს ხებრულად და დაცინვის კილოთი მოსთხოვს იარაღის ახსნას და გადაცემას. გოგოთურს არ აბრაზებს ასეთი თავვასულობა აფშინასი, ის არ ჰკარგავს მოთმინებას: დინჯად, მშვიდობიანურის, თითქმის თხოვნის, კილოთი მიმართავს აღვირ ახსნილ მტერს:

„რადა, ძმობილო,— რად აგრე?
განა დიაცი ვარ ორსუდი?
დედამ გამზარდა შენცა,

ნესხეჩი არა ვარ მასუდი!
თუ მართლა აფშინა ხარ,
იარად რად მერი, ძმისა?
უიარადო გამიშვა,
ხათრი არა გაქვს დვთისა?!
მიწაზე რაგორ ვიარო,
მზე რაგორ ვსინჯო ცისა?
ჯალაფში არ მეტყვიანა:
ჰია, შე ტულაზო მტრისაა?!
სუ, თუ დმერთი გწამს, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაჭმევ, ძმობასა,
ქუდ მოხდილს ქვეყნად ნუ მავლებ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა.
კაცი ხარ სანედიანი,
რად მიწევ ეგრე მტრობასა?!”

ასეთის მშვიდობიანის სიტყვებით გოგოთურმა იმისთვის მიმართა აფშინას, რომ სურდა გონს მოეყვანა და დაეფიქრებინა გალაღებული ვაჟკაცი, გამოეცადა მისი ზნეობრივი ავლა-დიდება, და არა იმისთვის, რომ შეეშინდა აფშინასი—ნაცრად არ გადამაქციოსო.

„გოგოთურ ჭვიქრობდა: ვეჩვენო,
აცა, აფშინას სანედიანი;
ვეხვეწო, თავი ვიდაზლო,
ამის რას მიზამს ნაცვლადა?!”

გონს ვერ მოიყვანა ყოყოჩა აფშინა უცნობ გმირის თავმდაბლობა, მაგრამ ჰკვიანურმა, სიტყვებმა; ის უფრო გათამამდა; ახლა უფრო თავხედურად და ბრძანების კილოთი მიმართა თვისი, ვითომდა მხდალს, მსხვერპლს:

„ჩქარა მინევენ აზვარნი,
არად,— გალოკებ ქვიშათა,
მიგცემ, გათრიონ, უუნჯივით,
ტაღდთა არაგვის წყლისათა“.

მართლაც, გოგოთურმა აიხსნა ხმალი, სიათი, ფარი და გადასცა აფშინას; თითონ კი დარჩა უიარალოდ... გამარჯვებული აფშინა „გაფრენას ლამობდა“.

მაგრამ გოგოთურსაც მოთმენა გაუწყდა
და დაიწყო „გამოცხადებით ჯავრობა“.

„მაშ მივქონ ჩემნ იარაღნი,
კიდევ არ შიარცხვინია?
დადეგ, შე უნამუსოვო,
ქვაზე გინაყო ტვინია!
გაწერა, გაჯავრდა გოგოთურ,
გულში აქცრა ჟინია;
ხელი გააფლო აფშინას,
დადეგ, დაბეგვა ძალიან;
მაგრა შაკონა ბეჩავი
ისე დააგლო გზაზედა.
ჩაეუბნება ჭკვიანად:
— შენ გაგერშილხარ სხვაზედა.

გინდოდა გოგოთურსადა
წამოსჯდომიყავ თავზედა?
შენ რომ ჭკვიანად მოგექმე,
გვედრე, არ შემიბრადია,
ახლა შე მერტყას წელზედა
შენი ზიკ-ზიკა ხმალია;
ცხენიც შე მუავდეს— ლურჯაი,
თანაც ეს შენი ფარია;
ჩაჩქანი, რკინის ჰერანგი,
შენზე არამი არია“...

გატყდა, შერცხვა ყოყოჩა აფშინა...
ახლა კი ცხადად დაინახა სირცხვილისა-
გან „გალურჯებულმა და გაშავებულმა“
ვაჟაკმა, რომ გაბრიყვდა, ვერ იცნო
გმირი და თხოვნით მიმართა გოგოთურს—
დაებრუნებინა მისთვის იარაღი ანდა
გულში ხანჯარი დაეცა.— მართლაც რომ
ძველ ქართველ გმირს შეშვენის ის ჭკვიან-
ური, ღრმა აზრიანი და გამოცდილებაზე
დამყარებული პასუხი— დარიგება და თა-
ნაც სიყვარულ-სიბრძნულით შეზავებუ-
ლი მხილება გოგოთურისა, რომელიც
მოისმინა დამარცხებულმა, უწინ კი ყო-
ყოჩობას, ძალმომრეობას მიჩვეულმა და
ანგარებით და ვერცხლ-მოყვარეობით გამს-
ჭვალულმა, აფშინამ. ეს პასუხი— მხილება

ისეთის შეუღარებელის ხელოვნებით აქვს
შედგენილი ვაჟას, რომ ჩვენ საჭიროდ
მიგვაჩნია აქ მისი მთლად ამოწერა:

„კი უოფილა ადვილი
სხვისად მიცემს აბჯრისა,
სხვის წელზე სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანჯრისა!
კაცისად იარაღისა
აურა სიკვდილთან სწორია.
ესლა-და მოხველ ჭკვაზედა,
ესლა მაიეტ გონია?
ხომ იცი, საქართველოა,
უველა კუთხიდან მტრისანი,
მგზავრს მიშვებ უიარაღოს,
კაცი არახარ დგოთანია?
რას დაძრწი, რას დაეთრევი,
შე უნამუსოვ, ფაფხურა,
რო წისქვილებში მსუნაგი
ქერდი, ქოფავი, ძავ-ურა?
გშიოდა, რატუ არ მითხარ,
გაჭმევდი, გაკაძლებდია,
იარაღს როგორა მყრიდი,
დმერთი არ არის შენშია?
თუ მაინც გიუვარს ხმალია ქნევა,
ქროლვა, ქორებულ ტევება,
შე სამ გამომეუ, გაჩვენო
მტერი საუფიტი ვეება;
დაგეტეს მარტოს ათასი,
გცემდნენ, მოგიკლენ შუაში,
მაჯა დნებოდეს შრომითა,
ხმალი ტყდებოდეს ყუაში.
გასძელ, სხვა ხმალი იმთვე,
მტერი დააფრთხე თხებურა,
მარტომ მისდიე მრავალსა,
პირ-თფლიანმა მკლებურა.
მაშინის ვიტევი, დირსი ხარ
წელზე ხმლის, თავზე — ქულისა;
და არ გეხუროს ჩიქიდა
თავზე დიაცის ცუდისა!
შენ გიცარცვია, ვინადა

საბრალდო არი, ბეჩავი,
 თვის დღეში ომ-უნახველი,
 დაცთ ნაღახის მხვეტავი;
 არ შეგხედრია შავ-ფერა,
 მკლავ მსხვილი, რკინის მკვნეტავი.
 მე შენ იარაღნ რათ მიხდა,
 სიმრუდის გზაზე ნავალი?
 შინაცა აქვის გოგოთურს
 ფარი და ხმალი მრავალი.
 აჭა, აბჯარი, ცხენიცა,
 წადი, მშვიდობით ვლიდია,
 სადაც შენი სთქვა ბიჭობა
 იქავე ჩემი სთქვიდია.
 თანაც გაუხსნა ხელები,
 წამაყენა მხედარი.
 ადგა ბეჩავი აფშინა
 თვალ-მოცრემილი, ღუგჯიააა.

აქ ამოწერილი სიტყვებით პოეტმა სა-
 უცხოვოდ გამოაქანდაკა სასიამოვნო და
 საამური სახე ძველის ქართველის გმირი-
 სა! ეს სახე არ ბრწყინავს, არ ელვარებს,
 თვალებს არ სჭრის მრავალრიცხოვან ფე-
 რადებით. გოგოთურს არ ემჩნევა გადა-
 მეტებული, გაზვიადებულ-გადაჭარბებუ-
 ლი, ხანდისხან ავადმყოფური, თავმოყვა-
 რეობა, პატივ-მოყვარეობა, როგორც ეს
 ცხადად ეტყობა საშუალო საუკუნის ევ-
 როპის რაინდს. გოგოთური აზრის და
 გრძობის გამოსახატავად არ ხმარობს
 ღრმა სიტყვებს, ელვარე ფრაზებს, ლამაზ
 სურათებს. სიტყვა მისი მარტივია, რად-
 განაც ხალხის ლექსიკონიდგანაა ამოღე-
 ბული; ფრაზა მისი უბრალოა, რადგან-
 ნაც ჩვეულებრივ სიტყვიერ მასლიდგანაა
 შეზავებული და ზედმიწევნით ცოცხლად
 ხატავს საგნებს და მოვლენებს.

გოგოთურის პიროვნებაში თქვენ ფი-
 ზიკურ ძალთან ერთად გრძობთ დიდს
 ზნეობრივს და სულიერს ძალასაც; ეს
 უკანასკნელი ძალა უფრო ხიბლავს თქვენს

გრძობა-გონებას, უფრო აცისკროვნებს
 თქვენს წინაშე გოგოთურის რაინდულს
 სახეს; თქვენ იმდენად არ გაკვირვებთ ის,
 რომ გოგოთურმა ფიზიკურად, ძლიერი
 მკლავის წყალობით, „დადვა, დაბეგვა“
 ღონით და ვაჟაკობით ქებული აფშინა,
 არამედ ის, რომ გონიერი, ჰკვიანური,
 ნამდვილი ვაჟაკური მხილება დარიგებით
 გონს მოიყვანა, გულში და სინიდისში
 ჩაახედა და გაადამიანა მცარცველი, გაყა-
 ჩალებული, ნადავლს მიჩვეული ყოყოჩა
 და ზვიადი აფშინა. რამდენი ჰემმარიტე-
 ბა, ზნეობრივი ძალა, დაკვირვება და
 გულთამხილაობა უნდა ყოფილიყო ჩაქ-
 სოვილი გოგოთურის მდაბიო, სადა და
 მარტივს სიტყვებში, რომ გულზვიადი
 ავაზაკი ტკბილ მეგობრად გაეხედა, სოფ-
 ლის მცარცველი და ბოროტმოქმედი ხე-
 ვის ბერად გადაექცია? სწორედ რომ დიდს
 ზნეობრივს ძალას წარმოადგენდნენ ძველ
 საქართველოში გოგოთურები!

და თუ დღემდის საბედნიეროდ საქარ-
 თველოს სახელი არ ამოშლილა მსოფლიო
 რუქიდგან; თუ მას დღემდის მთლად არ
 დაუკარგავს თვისი მიწა-წყალი, თუ დღემ-
 დის მას შეუნარჩუნებია თვისი „ენა, საყ-
 დარი, სარწმუნოება“, — ეს მხოლოდ და
 მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ქართველ
 დედას საუკუნოებათა განმავლობაში ბლო-
 მად აღუზრდია გოგოთურისავით სასახე-
 ლო მამულისშვილები! და თუ დღესაც,
 ამ გაჭირვებულს და დუხჭირს მდგომარეო-
 ბაში, ქართველი ერი ერთა შორის ითვ-
 ლება, ასე თუ ისე მას ანგარიშს უწევენ;
 თუ დღესაც, — მართალია დიდის გაჭირვე-
 ბით, — ჩვენ გვაქვს საკუთარი ენა, ლიტე-
 რატურა, საკუთარი იდეალი და მისწრა-
 ფება, — ეს იმისთვის, რომ დღესაც ჩვენი,
 ვითომდა გამოფუტულ-დაუძლოურებული,
 საქართველო, თუმცა ნაკლებად, მაგრამ

მაინც გვიზრდის სულიერს გმირებს, ახალი ჯურის „ერისთავებს“, რომლებიც, ფიზიკურ ძალის მაგიერ, გონებით, გრძნობით, ქკუით, უანგარო და გატაცებული სიყვარულით გოგოთურებ „დადებენ და დაბეგვენ“ ზნეობრივად დამამცირებელს და აბუჩად ამგდებს „გარეულს“ და „შინაურს მტრებს“. — ამ როლს პირნათლად ასრულებენ დიდნი და პატარა ქართველი „გოგოთურები“. —

გოგოთურ დიდად სიმპატიური ნაციონალურ ტიპია. მაგრამ, ჩვენის აზრით, გოგოთურზე უფრო რთული ზ სიმპატიური ტიპია ვაჟას მეორე გმირი — ალუდა ქეთელაური.

როგორც დავინახეთ, გოგოთურის მსოფლ-მხედველობა და მრწამსი, მისი ოცნება და სურვილი მოქალაქობრივი მამულიშვილურის გრძნობით და შეგნებით არის ნასაზრდოები და გაზრდილ-განვითარებული. რასაკვირველია, ეს ეროვნული გრძნობა და შეგნებაც საკაცობრიო თვისებაა, მაგრამ შემცირებულის, შემოკლებულის ფარგალისა და ზღუდისა. გოგოთურის აზროვნებას და გრძნობას არ აშუქებს ისეთი რამ ზოგადი, საკაცობრიო ფიქრ-ზრახვა და განცდა-დაკვირვება, რომელიც მოეთხოვება მსოფლიო ტიპს, როგორც ადამიანის ღირსეულს და იშვიათს წარმომადგენელს. საუცხოვო მსოფლიო ტიპი, ქართულ ისტორიულ-კულტურულ ნიადაგზე დაბადებული და გაზრდილი, დაგვიხატა ვაჟამ თვისი უკვდავ გმირის ალუდა ქეთელაურის სახელში. საპატიო და სასახლო ჩვენთვის ის არის, რომ ეს მსოფლიო გმირი ჩვენის ერის, ჩვენის მთების ნამდვილი ღვიძლი შვილია: მთისი უწოვია მას ძუძუ „ღალიან-ბარაქიანი“.

შეიძლება ვინმემ სთქვას: მსოფლიო გმირს ჩვენს უვიც და უკულტურო მთებში რა უნდოდა, რა ადგილი აქვსო. ჩვენ შეიძლება ნათლად და მკაფიოდ, როგორც ამას მოითხოვს საგნის სიღიადე, ვერ დავასაბუთოთ ჩვენი დებულება, შეიძლება ანალიზ-სინტეზის ძალამ „გვიქნას ძვირობა“, მაგრამ ის მაინც უტყუარ ქეშმარიტებად უნდა აღვიაროთ, რომ ალუდა ქეთელაური ნამდვილი მსოფლიო და მასთან იშვიათის სულიერის ღირსების მატარებელი გმირია. ჩვენ ამას ვგრძნობთ და ამისთვის ვეცდებით კიდევ ჩვენი ნაგრძნობი ქვემოთ ამისა მკითხველს დაწვრილებით გაეუზიაროთ.

შატილში, ხევსურეთის ერთს მიყრუებულს კუთხეში, სცხოვრობდა ალუდა ქეთელაური. ის იყო „ღოვლათიანი კაცი“ და მასთან გონიერიც („სიტყვა მოუდის გზიანი“). ალუდა ტიპური ქართველი კაცია; მისი ვაჟკაცობა მომეტებულად ოჯახის და თემის დაცვაში გამოიხატება. პოემიდგან არ სჩანს, იღებდა თუ არა ალუდა მხურვალე მონაწილეობას საერთო საეროვნო საქმეებში, იყო თუ არა ის გამსჭვალული ეროვნული გრძნობით და შეგნებით, რომლითაც, როგორც დავინახეთ, ცოცხლობდა და სულდგმულვებდა გოგოთურ. პოემაში მხოლოდ ნათქვამია, რომ ალუდამ „ბევრს ქისტს მათკრა მარჯვენა, — სცადა ფრანგული ფხიანიო“. ამ სიტყვებიდგან სჩანს, რომ ალუდა ქეთელაურის მოღვაწეობა და ვაჟკაცობა მთას არ გასცილებია, ოჯახის და თემის დაცვას ხმარდებოდა. ვაჟას ერთი ასეთი შემთხვევა აქვს პოემაში აღწერილი. —

ერთხელ „ქისტებს წაუსხამ ცხენები, ალუდაისაც ფთიანი“.

„ეს რომ ალუდამ გაიგო,
 თოფს დაუპირა ტალიო;
 აისხა ანადგობი,
 გამაფხავიდას ხმალიო;
 გაუშინჯვიდას ვაღანი,
 ხმაღს არ მუყდის ტარიო“.

აღუდა დაედევნა მსწრაფლად ქისტებს და „მალეც შავლო მან ქისტების ნავალს თვალი“. დაეწია თუ არა, ესროლა თოფი და მოჰკლა ერთი ქისტთავანი. მეორე ქისტი კი, მოკლულის ძმა, ვაჟაკურად შეებრძოლა ალუდას. მაგრამ ბოლოს უკანასკნელმა ისიც მოჰკლა. როცა ქისტი მუცალა სასიკვდილოდ დაიჭრა ვაჟაკურ ბრძოლაში, ერთიც კიდევ ესროლა მომაკვდავმა ალუდას, მერე თოფიც მას გადაუგდო და უთხრა:

„ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,
 ხელს არ ჩავარდეს სხვისასა
 სიტყვა გაუმკა პირზედა,
 დაბლა გაერთხა მიწასა“.

ორმა ვაჟაკმა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს იცნეს ერთმანეთი: — „გულმა გული იცნო და ღონემ-ღონე“. თუმცა ისინი მოსისხლე მტერნი იყვნენ და ერთმანეთს „რჯულძაღლს“ ეძახდნენ, მაგრამ ერთმანეთის ნამდვილი ვაჟაკობის შეტყობამ ისინი უცფად სულიერად დაახლოვა და დაანათესავა. მომაკვდავი მუცალა თავის თოფს, — მაშინდელს დროში ვაჟაკობის უპირველეს ემბლემას, — მტერს აძლევს, როგორც ღირსეულს ვაჟაკს, იარაღის ღირსეულს მატარებელს და მომხმარს.

„ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,
 ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.

ამ ორს სტრიქონში ერთის ხაზის მოსმით მგოსანმა განსაცვიფრებელის მოხერხებით დაგვიხატა ღრმა და რთული ფსიხოლოგია ადამიანისა.

აქ თითოეულს სიტყვას, თითოეულს სიტყვის ბგერას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნათლად გვიშლის ადამიანის, — და ისიც რჩეულ ადამიანის, — გულის თქმისა და ფიქრთა მიმართულების მთელს სურათს. მომაკვდავ ვაჟაკის უკანასკნელ სიტყვებში საუცხოვოდ შეერთებულ-შეზავებულია შეგნება ბრძოლის წაგებისა („ახლა შენ იყოს“), სიძულვილი მტრისა („სჯულძაღლო“), აღმოცენებული საარწმუნოებრივი და ეროვნული სხვა და სხვაობის და მეტოქობის ნიადაგზე და დაფასება, პატივისცემა მოწინააღმდეგისა, მკვლელის პირად ვაჟაკობისა („ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“). — ასეთი რთული და ღრმა სულიერი განცდა ვაჟას ორიოდ უბრალო, მარტივი და სადა ფრაზითა აქვს გამოთქმული. ასეთი ლაკონიური, სხარტული ფსიხოლოგიური ანალიზი რთულის სულიერის განცდისა მხოლოდ დიდ პოეტებს შეუძლიანთ, მხოლოდ რჩეულთ ხვედრია!

პირველ გადაკითხვაზე მკითხველი ვერც-კი შეამჩნევს ამ უბრალო ფრაზის ღრმა მნიშვნელობას, მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივი ბრჭყვიალა სამოსელშიაც არ არის გახვეული. მაგრამ დიდი პოეტი სწორედ იმითი ირჩევა „პატარა“ მგოსნებისაგან, რომ ის უბრალოდ, ძაღდაუტანებლად, ერთის ხაზის მოსმით, ერთის სატყვით, დროზე და თავის ალაგზე ხმარებულით, მთელს თვალწარმტაც სურათს გვიხატავს ან ღრმა აზრებს გვამცნევს.

„კარგს მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო“, ამბობს ხალხური ანდაზა.

მომაკვდავ ვაჟაკის გულის სიღრმიდგან ამოხეთქილმა და ღრმა რწმენით გაშუქებულმა სიტყვებმა წაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ერთ წუთის წინ

სისხლის მომწყურნე, გაშმაგებულ მებრძოლ ალუდაზე და საბოლოოდ გადაქმნა, გადასცვალა მთელი მისი არსება, მსოფლმხედველობა და რწმენა.

„აღუდას თოფი არ უნდა,
 ატირდა, რთგორც ქალია;
 არ აჭყრის იარაღებსა,
 არ ეხარბება თვალით.
 თავით დაუღვა ხანჯარი,
 ზედ ეკრა სშილას ძვალით,
 გულზე ძეკლიგი დააღვა,
 მკლავზედ ფრანგული ხმალით.
 მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
 იტყუდა: „ცოდვა არიო,
 ვაჟაკო, ჩემგან შოკლულო,
 დმერთმა გაცხინას მკუდარიო.
 მკლავზედაც გებს მარჯვენა
 შენზე ალალი არიო,
 შენ ხელ შენს გულზე დამიწდეს,
 ნუმც ხარობს ქავის კარიო,
 კარგი გეოლოა გამდელო,
 დმერთი გიდდეგრძელს გვარიო“!
 სიგრძივ გაჭხურა ნახადი,
 ზედ გადაღვა ფარიო.

აი მოკლე, სადა და მარტივი აღწერა იმ რთულ და რადიკალურ ზნეობრივი და სულიერი ცვლილებებისა, რომელიც მოხდა ალუდას არსებაში მუცალას სიკვდილის შემდეგ. ჩვენ არ გვაკვირვებს ალუდას საქციელში ის, რომ მან ღირსეულად პატივი სცა ღირსეულს მოწინააღმდეგეს სიკვდილის შემდეგ; არც ის არის უჩვეულო და ექსტროორდინალური, რომ ვაჟაკი მოწინააღმდეგეს სიკვდილის შემდეგ იარაღი—ეს ემბლემა ვაჟაკობისა—არ აყარა. არა, ალუდას საქციელში გასაკვირველი და უჩვეულო ის არის, რომ მან უარყო მამაპაპათაგან დაკანონებული და უტყუარად მიმჩნეული ჩვეულება—არ მოსჭრა მოკლულს მტერს მარჯვენა და

სასახელო ტროფეად არ წაიღო თავის თემში სახელისა და პატივის კიდევ უფრო გასადიდებლად. — ხევსურეთში ვაჟაკად ის ითვლებოდა, ვინც „ქავის კარზე“ მტეს მტრის მარჯვენას ჩამოკიდებდა, ე. ი. ვინც მოკლულ მტერს მარჯვენას მოაჭრიდა და თემის საჩვენებლად მოიტანდა. ეს დრო და ჟამისაგან დაკანონებული ჩვეულება დღევანდელის თვალსაზრისით და შეხედულობით, რასაკვირველია, გადამეტებით მკაცრია, ბარბაროსულია, მაგრამ მაშინ ის წმინდა მცნებათ ითვლებოდა, და ვინც მას არ მისდევდა და არ ასრულებდა, თუ კი შესაძლებელი იყო, მხდალად, უღირს კაცად ჩაირიცხებოდა. ვაჟაკის ვაჟაკურმა სიკვდილმა, მისმა უკანასკნელმა რაინდულმა საქციელმა და ანდერძმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს ალუდაზე, რომ ქვა გულის გმირი ცხარედ აატირეს და სწრაფად და ძირიანად შეაცვლევინეს მსოფლმხედველობა, ძვალ-რბილში გამჯდარი და შესისხლხორცებული წარმოდგენა და შეგნება. ალუდამ არამც თუ უარყო საუკუნოებით დაკანონებული ჩვეულება, ვაჟაკის მასახელებელი და მადიდებელი, არამედ შეგნებულად შეიცვალა ის ხალხის მასსაში ღრმად ჩანერგული სარწმუნოებრივი შეხედულობა, რომელიც ყველა სხვა გვარად მორწმუნეს „რჯულ-ძალად“ და ნადირთ მსგავსად სთვლიდა და მტრის მოკვლა, შეურაცხყოფა, პატივის აყრა და დამცირება კარგი და სათნო საქმედ მიაჩნდა. — „ვაჟაკო, ჩემგან მოკლულო, დმერთმა გაცხინოს მკუდარიო“, ეუბნება ალუდა მიცვალებულს. და ეს რომ ცარიელი სიტყვა არ იყო, შეუგნებლად წარმოთქმული, ეს მან შემდეგში ბრწყინვალედ დამტკიცა. ნუ დაგვაფიწყდება, რომ ასეთი ცვლილება მოხდა უსწავლელ-გაუნათლელ-

ბელ, მხოლოდ ომში და ბრძოლაში გაზრდილ, ადამიანში!

გადახდილ ბრძოლის და იმ ღრმა სულიერ ცვლილებების შემდეგ, რაც მის არსებაში მოხდა, ალულა ბრუნდება შატის

„ემა მოდიოდა გორი-გორ
არ ეწონება თავის;
ზირს დასწოლია ნისლეები,
გულით ნადენი, შავია;
ტარტაზე დაუკიდებავ:
მუცლის ძმისა მკლავია“.

უკანასკნელ ტაეზიდგან ჩვენ ვატყობთ, რომ ალულას მუცალას ძმის მკლავი კი ჩვეულებისამებრ მოუჭრია და თემში მიაქვს, როგორც ნიშანი თვისის გამარჯვებისა. ეტყობა, რომ ალულამ მუცალას მარჯვენა არ შეაჭრა მისის განსაკუთრებულის და სამაგალითო ვაჟაკობისათვის, — იმ სულგრძელობისა და შერიგებისათვის, რომელიც მან სიკვდილის წინეთ გამოიჩინა. როგორც შემდეგში დავინახავთ, ხალხის გულის წყრომამ ალულას საბოლოოდ და სამუდამოდ შეურყია რწმენა თემის ზოგიერთ ჩვეულებების კანონიერებაზე და სამართლიანობაზე და მესაფერი პროტესტიც გამოუცხადა...

დაბრუნებული ალულა ასე მოუთხრობს თვის თავ-გადასავალსა ბანზე გადამდგარ „ხევსურთ ქალთა და რძალთა“:

„აქით წასულმა, უშიშავ,
კვალე შევაჭერ მთისასა,
მოკლედავ გადავეწიკე,
ნავალ დავატუვე ქვიშასა.
ბრნ იუენენ, თოფი ვინმარე
წვერს ვერ უწვდენდი ხმლისასა.
იმ ცხონებულსა მუცლასა
რკინა დებიეთ გულადა“?!

სიტყვამ „ცხონებულსა“ გააკვირვა და გააცვიფრა მსმენელი, და ეს უკიდურესი

განცვიფრება მათ შემდეგის ფრაზით გამოხატეს:

„რას ამბობ? ქისტის ცხონება
არ დაწერიდა სჯულადა!“

აი ის ტრადიციული და კანონად მიჩნეული რწმენა, რომლითაც იყო შეკრული-შეგოჭვილი ალულას ნათესავ-მეზობლების გონება.

ალულა განაგრძობს მოთხრობას:

„მით ვაქებ ვაჟაკობასსა,
არ იყიდება ფულადა.
სამ მე ვესროლე, სამ — იმან,
მესმით დავასრულია.
მეგრდზედ ნაკრავმა ტუვიამა
გაუნაძოდა გულია.
ნატუვიარს ბრძამით იფეკდა,
ისრე დალია სულია.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მისსენა რჯულია.
ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტონ ჩვენ გზზრდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულთ
კუზში მოკლის ქშენანი.
ამის თქმით ვწანა-მარაბთ,
ღვთის შვილთ უკეთეს იცინა.
უველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჭფიცინა?!
ვერ გავიშეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწერა, არა ჭქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე, დააკლდეს სახელსა,
შე გირჩევივარ მრჩეულადა“.

ვერ წარმოიდგენთ, თუ რა აღშფოთება და გულის წყრომა გამოიწვია მსმენელთა შორის გაუნათლებელ ალულასი ასეთმა ადამიანურმა და ნათელმა აზრ-მეხედულობამ. მათი გული და გონება ბრაზით და შურის ძიებით აღივსო. სიძულვილ-სიბრაზით გახელებული ბრბო უღმრთებელ განაჩენს

უცხადებს მისი რწმენის უარის მყოფელ და უკუმგდებელ ალუდას:

„მოკვდი, სიკვდილი გიჩვენებ
რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
ახსენ გველის ჰიერელი,
დაცთ გაღუგდე ტრემელადა;
ფარი ქსლის ჩასაბეჭავად,
ხირიმ-გაუდვან გორადა;
დამბაჩა გამადგების
საბრუნლად, თითის ტარადა!
გამოქცევისარ ქისტის შვილს,
გადუქცევისარ ქალადა.
მოჭკალ, მარჯვენა არ მოსტერ,
უგვე მისდევდი მარადა?!»

ასე გასწირეს და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს თავისიანებმა „გულითა ნარიანი“ წინედ მათი სასიქადულო ალუდა.

ამ დროს შატილს დაბრუნდა მინდია, ცნობილი ვაჟკაცი, თორმეტის ქისტის მომკლავი შუბითა ტარიანი“ ამ მინდიას შატილეღნი

„აღუდას აუგს ეტუოდნენ
სიტუვითა შხამიანითა“.

ეწყინა ვაჟკაცს ვაჟკაცის გაკიცხვა, „აუგი“: შუბლი დაეკეცა მინდიას „ნაოქით ზარიანი“ მან საყვედურით მიმართა მკიცხავებს და რჩევა მისცა აჩქარებულად არ ეთქვათ ვაჟკაცის საყვედური. თითონ კი იქვე გადასწყვიტა ახლავე დაბრუნებულ იყო და „ადგილ გაეგო მართალი“, ე. ი. ენახა მოკლული, მუცალა და მით გაექარწყლებინა შატილეღო ეპვი და ვაჟკაციც განეთავისუფლებინა უსამართლო ბრალდებისაგან. „ქუსლი ჰკრა, წითლა (ცხენი) გამალდა, ნიაფ-ქარივით მავალი“.

ერთ დღის შემდეგ მინდია დაბრუნდა. ცნობის-მოყვარეობით გატაცებულნი ხევსურნი შორითვე „შეუძრახიან“ მინდი-

ას—რა ამბავი მოიტანეო. მინდია უპასუხებს:

„ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სტრითა და ჰქეკავთ გულითა,
გულს ათრევიებთ გონებას,
თავს ატრევიებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის რჯულითა!
ერთ ურთს ნუ დაჩაგვრინებთ,
გულით გონება ძმანია.
მართალი არა აღუდა
თავს არ დაშეცნენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტასა,
აი, მოტრედი მკლავია.
ენა ქარქაში გეჭიროსთ,
ადვილ ნუ იტუვით სიტუვასა,
ადვილ ნუ იტუვით ვაჟკაცზე
არა ვარგაო, იმასა!
ხელი აღუდას მართვის:
—წაიდ, მიაკარ ქავადა!“

ალუდა სრულებით არ გაახარა ამ გამართლებამ და მისგან მოთხრობილ ამბის დადასტურებამ. ის უბრალო, პატივ-მოყვარე ადამიანი როდი იყო, რომ უსაზღვრო მხიარულებას მისცემოდა ან დაჟინი ეგო „სისხლ-გაფუებულ“, „ენა ქარიანი“ ხევსურებისთვის: ალუდას ერთი სიტყვაც არ წამოცდენია ვინმეს გასაკიცხად და ჯავრის საყრელად. ამ დროს მისი ფიქრ-ზრახვა მხოლოდ იმ რთულ საკითხს თავს დასტრიალებდა, რომელმაც ძირითადად გადაქმნა, გამოსცვალა მთელი მისი რწმენა — შეხედულება. ალუდას პასუხი დინჯი, გულში ჩამწლომი და დამაფიქრებელია და არა მქუხარე და ცეცხლის მფრქვეველი კრიტიკა ღ უარისყოფა თემში გამეფებულ შეხედულობისა და რწმენისა. აბა ჩაუკვირდით ალუდას ამ მარტივის, მაგრამ აზრით სავსე, სიტყვებს:

„თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
 გან ვერ მოვსტრინდი თავადა?
 ვერ გიქნავ კარგად, მინდიაჟ,
 საქმე მოგირთავ ავადა;
 რაად მინდარის: ვერ მიხმდობს,
 არ გამოდგება ფარადა;
 მთაში წავიდო, არ მითიბს,
 არ მარგებს თივის კავადა.
 წაიდე, თუ გწამ უფალი,
 ნუღარ მაჩვენებ თავალითა.
 კაი უმის მარჯვენა ანი,
 გუფი მეწვევა ბრადითა.
 რაად წურებიან ხევსურნი,
 რადა ტუვრებიან ჯაბრითა?!
 მტერს მოკვლავ, კიდეჟ არ მოვსტრინ
 მარჯვენას მაგათ ჯაგრითა!
 „წესი არ ანი მტრის მოკვლა,
 თუ ხელ არ მასტერ დანითა“
 ვაი ეგეთას სამართადას,
 მონათლულს ცოდვა-ბრადითა!“
 ალუდას არსებაში მომხდარი ცვლილე-
 ბა ისეთი ღრმა და ძლიერი იყო, ისე
 შეარყია მან მთელი მისი ნერვული სის-
 ტემა, ისე აღმოუფხვრელად შეიჭრა მის
 სულსა და გულში, რომ ლამეც მოსვენე-
 ბა დაუკარგა, მტანჯველ სიზმრად გადა-
 ექცა. სულიერ ტანჯვამ შელახა, შეასუს-
 ტა, მოსწყვიტა მძლავრი და ღონიერი
 სხეულიც. ასე ძნელი და მწვავეა რყევა
 და მერე დამსხვრევა ძვალ-რბილში გაშ-
 ჯდარის შესისხლხორცებულის რწმენა
 და შეხედულობისა! არც ერთი ტკივილი
 და ტანჯვა არ შეედრება თვისის სიმწვა-
 ვით ამ სულიერს რყევას, ზნეობრივის
 პრინციპების და მთელი მსოფლმხედველო-
 ბის ძირიანად დანგრევას. მძლავრი და
 უაღრესად ინტენსიურია ტრადედია სუ-
 ლისა! ფიზიკური მწარე ტკივილი და
 ხორციელი ტანჯვა, სხეულის ფუნქციების
 დარღვევით გამოწვეული, თუ კი ეს გან-

კურნებით და მორჩენით დაბოლოვდა,
 თითქმის არავითარ ნიშანს არ ამჩნევს
 სხეულზე, არ არღვევს მის მთლიანობას.
 სულ სხვაა ტრადედია სულისა, სულ სხვაა
 ღრმა და მწვავე სულიერი. განცდა: ის
 წაუშლელს კვალს სტოვებს ადამიანის
 სულში, რომელიც მხოლოდ სიკვდილით
 ლა წაიშლება. აბა დაუკვირდეთ და თვალ-
 ყური ვადევნოთ ალუდას განცდას, სუ-
 ლიერს ტრადედიას, თუ როგორ რთულ-
 დება და ღრმადდება ის; თუ როგორ არ-
 ღვევს ის გმირის რწმენას, მსოფლ-მხედ-
 ველობას, სხეულსაც კი. დაფიქრებულ-
 დაღონებულ ალუდას „და—დედა ეხვე-
 წებიან“ პური მიირთვით. ალუდა უპა-
 სუხებს:

„მე პურ არ მინდა, დედაო,
 გუფი შამეკრა რადამე,
 წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
 რიგში ვიყოფი სადამე.
 წინ გვედგა მიცვალებული,
 ხევსურ ნაწიენი ისინდა.
 სალაშქროდ დამზადებულნი
 ზოგი კარებზე იდგენა.
 მენაც იქ ვიუაჟ, ვსტიროდი,
 როგორც წესია კაცისა.
 გუმანი მქანდა სალაშქროდ,
 ხანიც მოვიდა წასვლისა.
 ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
 ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
 შავხედენ, მუცალი იყო
 ტანთ ეცვა ჯაჭვი, რვალია,
 გულზე ემჩნევა ნიშანი
 მე—დ იმის ბრძოლის წამისა,
 ეფინა ნატყვიარშია
 ლეგა საფევი ბრძამისა.
 კლდედ იდგა გაუტეხლად,
 ცრემლ არ ჩამოდის თავლისა.
 „—მინდა სიკვდილი, არ კვდება,
 მომკალო, მითხრა ხეჯღრითა.

თქვენ დაგჩქეს წუთი-სოფელი,
მე კი წავიდე ქვევნითა,
გაძედი, ხევსურთ შვილებო,
ჯაშქრობით, ხმლების ქნეგითა“.

დავჯე, ჯამ ვინამ დამიდა,
კაცის ხოც იყო წინანი,
ვსკამდი, მზარავდა თუმცადა,
კაცის ხელ-ფეხი ძეგლიანი.

რას ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმზგავსი, შახვებუელი.

„ჭამეო, რამამ მიძახა,

ნუ ჰხდები გაშტერებული:

კიდევ მიმართვით აღუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული“.

მიმატეს კაცის უფვაშით
წვენ-ხორცი შანელებული...

სიზმრად დამტანჯეს, იმით ვარ

გუნება აღელებული“.

ამ სიზმარში გადმოცემულია მთელი ის ჩუმი, მაგრამ მწვავე, სულიერ-ზნეობრივი პროცესი, რომელიც სწარმოებდა ალუდას მგრძობიარე გულში და ფხიზელ გონებაში მუცალის სიკვდილის შემდეგ და რომელიც თანდათან რთულდება მისი ძალზე ამოძრავებულ გონებაში. ეს პროცესი, როგორც სიზმრის უინარსიდგან სჩანს, გარს დასტრიალებს იმ საკითხს, თუ რამდენად საჭირო, სამართლიანი, სანაქებო და საპატიოა ის „ლაშქრობა, ხმლის ქნევა“, რომელიც წმინდათა წმინდათ და უზენაეს სათნოებად მიაჩნიათ „ხევსურთ შვილებს“. ასე თუ ისე გადაწყვეტა ამ საკითხისა, რასაკვირველია, სამკვდრო-სასიცოცხლო აქტია ალუდასათვის. ან დადასტურება და ბრმად აღსრულება ხალხის რწმენისა, ან და გაცლა, გამოარება, მოწყვეტა სამშობლო მხარისა, უარყოფა თვისი უკვე მოხვეჭილ-დამსახურებულ სახელ-დიდებისა—აი რა დილემა დაუყენა წინ ალუდას გადასაწყვეტად

ვაჟაკ მუცალის ვაჟაკურმა სიკვდილმა.—მოყვანილ სიზმრის აღწერილგანაც სჩანს, თუ როგორ „აულელებია“ ალუდასი მთელი არსება ამ საკითხს და თუ საითკენაა გადახრილი სიმპატია ალუდას აღელებულის სინიდისისა და გონებისა: ეტყობა, რომ ალუდა მთელის თვისის არსებით წინააღმდეგია სისხლის ღვრისა, „კაცის ხორცის ჭამისა“ და თუ ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ ამხედრებულა ამ „ხევსურთ შვილებისაგან“ სათნოებად მიმჩნეულ საქციელის წინააღმდეგ,—გულში მაინც სთვლის მას ისეთი „უმზგავსი, შახვენებული“ აქტად, რომელიც მას „ზარავს“.

გაიარა რამდენიმე ხანმა, და ალუდას აღზნებულმა გრძობა-გონებამ საბოლოოდ გადაწყვეტილი მიმართულება მიიღო: მან ყველა კაცი, განურჩევლად რჯულისა და მოდგმისა, თუ კი ის ნამდვილი ადამიანია, აღიარა ღირსად სიყვარულისა. ასეთ დასკვნამდის მივიდა ალუდას განსპეტაკებული გული და არა მისი გონება, აღჭურვილი ბუნებრივი ლოდიკური კანონებით. როგორც განბანილ-განწმენდილ გულიდგან ნაშობმა, ამ გრძობამ ალუდას პიროვნებაში შესაფერი გამოხატულება მიიღო, ღირსეულად გამოითქვა. როგორც ცნობილია, უუწმინდეს გრძობად რელიგიური გრძობა და განცდა ითვლება. ალუდას განახლებულ გრძობა-გონების ნაყოფი—მსოფლ-მხედველობის გამოცვლა რელიგიურ ფორმაში გამოიხატა...

„მოვიდა ჟამი საუფლო“—ხატობა. „მოქუჩდა ქალი და კაცი სახვეწრი ცხვრით ხართა“. ამ „ხატობაზე“ მოვიდა ალუდაც „თითბრის ნაზიკის ხმალითა“, ფიქრში გართული და ნისლივით მობურული და დადგა ხევის ბერის წინ დახრი-

ლის თავით. ხევის ბერმა ჰკითხა, ვის „აწყალობებდა“ ის „ამ კურატითა შავითა“. ალუდა უპასუხებს:

„ეგ სამსხვერპლთა, ბერდავ,
ძღვან მკაფულის ქისტისა.
მუცაფს ეტუოდნენ სახედად,
მკუნთლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყაფობენ
გამიმეტებავ მისთვინა,
რგგარც უნდამდად მკაფულის
თავის ჯამაზის მმისთვინა“.

შეხედეთ, რამდენი ღრმა გრძობა, რამდენი სულის ღმობიერება და გულის სიტკბოა ჩაქსოვილი ამ მარტივს და უბრალო სიტყვებში! რამდენი რაინდობა, სულიერი გოლიათობა და ფართო აზროვნობაა აქ გამობატული!

იმ დროს, როდესაც მომეტებული ნაწილი თანამედროვე მოწინავე, კულტურით და ცივილიზაციით მოამაყე ერებისა დღესაც ვერ ამალლებულა ადამიანთა საერთო ძმობის შეგნებამდე; იმ დროს, როდესაც „კულტუროსანი“ ევროპიელი დღესაც არ ერიდება უმიზნოდ, — მხოლოდ ანგარებისათვის, — შელახოს და შეაგინოს სახელი, პატივი და დიდება ღირსეულ პატარა ერებისა და მიწასთან გასწოროს ისინი; იმ დროს, როდესაც „განათლებულნი“ ევროპიელი დღესაც, მეოცე საუკუნეში, სინიდისის მხილებასაც არ განიცდიან არამცთუ შორეულ მტრის, არამედ ღვიძლი ძმების სისხლის დაღვრისათვის; იმ დროს, როდესაც დღეს ერთ სისხლ და ერთ მორწმუნე ევროპიელი არამცთუ ღმერთს არ „აწყალობებენ“ მოკლულთა თანამოძმეთა სულის, არამედ სიძულვილით ივსებიან ერთმანეთისადმი; იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ქრისტიანულ დიდ ერებში არამც თუ წარმართთა და სხვა არა ქრისტიანულ სარწმუნოებათა

წარმომადგენელების, არამედ ცოტა განსხვავებით ქრისტეს მადიდებელთა ლოცვით შევედრება და „აწყალობება“ კანონითაა აღკრძალული, — აი ამ დროს ხევსურეთის ერთს მიყრუებულს და გაუნათლებელს კუთხეში იშვიათს მოვლენას ვხედავთ; თვალწარმტაცი, მაგრამ თითქმის დაუჯერებელი, სურათი გვეშლება თვალწინ: „უკულტურო“, „გაუნათლებელი“, ბავშვობიდან ომიანობას, ხანჯლის ტრიალს და სისხლის ღვრას დაჩვეული მთის შვილი ალუდა ისეთს შეგნებას, განცდას და მგრძობიარობას იჩენს, რომელიც იშვიათი მოვლენაა განათლებულ ევროპაშიაც და რომელიც მხოლოდ დიდბუნებოვან, რჩეულ ადამიანთა ხვედრია. ვინც ქართველს უკულტურო ერადა სთვლის; ვისაც ზღაპრად მიაჩნია მისი შინაარსიანი ისტორიული ცხოვრება; ვინც არ ჩაკვირვებია ქართველ ერის გმირობის და სარწმუნოებრივ განცდის თავისებურობას; ვისაც არ წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი“ და არ გაუცვინა სიბრძნე ქართველის ერისა, ამ ნაწარმოებებში შენახული, — ის, რასაკვირველია, ვერ დაიჯერებს და ვერ იწამებს, რომ საქართველოს წარსულ ცხოვრების სინამდვილე ალუდასთანა პიროვნებებს შობდა, და ჩვენს პოეტსაც დასწამებს უნიადაგო იდეალიზაციას, უნიადაგო ტიპის შექმნას. მაგრამ ვინც ცოტათი მაინც იცნობს ქართველთა წარსულ ცხოვრებას და ამ ცხოვრების ხასიათს და ვითარებას; ვინც კი დაჰკვირვებია ქართველ კაცის, — მამეტებულად ძველი ქართველი კაცის, — სულის და გულის, — ის პირდაპირ იტყვის, რომ ალუდა ნამდვილი, ცხოვრების სინამდვილედგან ამოღებული, ჭეშმარიტი ქართველი კაცია... და აი რატომ: როგორც ალუდა, ძველი ქართველიც უპირველეს სათ-

ნოებად სთვლიდა გმირობას, ვაჟკაცობას და ამ თვისებებს მტერშიაც დიდად აფასებდა; როგორც ალუდა, ქართველი კაციც შურით და სიძულვილით არ იყო აღვსილი სხვა ერთა წარმომადგენლები-სადმი; როგორც ალუდა, ქართველი კაციც არ იყო არასდროს სარწმუნოებრივ ფანატიკოსობით გაქვრივებული: ის ყოველთვის იჩენდა სარწმუნოებრივ სფეროში დიდსულოვნებას, შერიგება-შეთანხმებას და პატივისცემას. თვით წარმომადგენელი სარწმუნოებისა (ჩვენ ვამბობთ საზოგადოდ), გარდა იშვიათის გამონაკლისისა, ჩვენში არას დროს არ ყოფილან ფანატიკოსები. ისინი ყოველთვის პატივისცემით და დიდსულოვნად ეპყრობოდნენ სხვა რჯულის და რწმენის წარმომადგენლებს. ამით აიხსნება ის იშვიათი მოვლენა მთელ მსოფლიო ისტორიაში, რომ, მიუხედავად ქართველ კაცის ღრმა და ძლიერი მორწმუნოებისა, ჩვენში არ ჰქონია ადგილი მწვალებლობას და სარწმუნოებრივ განხეთქილებას. ის, რასაც ჩვენი არმცნობნი და აბუჩად ამგდებნი, სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმის ნაყოფად სთვლიან,—ეს იყო ნაყოფი და შედეგი ნამდვილის და სწორედ ღრმა რწმენისა და მაჩვენებელი მხოლოდ ქართველ ერის დიდ ხნის ქრისტიანულ კულტურაზე აღმოცენებულ დიდსულოვნებისა. ამ ძველ ქრისტიანულ კულტურას ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გამჯდარი ქართველ კაცის გულში, რომ მისი აღმოფხვრა ვერ შესძლო ვერც არაბების აოხრებამ, ვერც შაჰაბაზის დარბევამ და ვერც ლეკების აწიოკებამ...

ალუდა ნამდვილი განხორციელებაა ძველი ქართველისა— მისი ვაჟკაცობისა, დიდსულოვნობისა, ღრმა და შეგნებულ მორწმუნეობისა. ის წარმომადგენელია ქრის-

ტიანულ კულტურით გრძობა-გონება გაპატიოსნებულ და გაფართოებულ ძველი ჯვაროსანი ქართველისა, რომელიც როგორც ფიზიკურად; ისე ზნეობრივად იშვიათის გმირობის განხორციელება იყო. ბევრი „საქმენი საგმირონი“, ბევრი სასახელო ვაჟკაცობა გამოუჩენია ალუდას თვის სიკაცხლეში, მაგრამ სუყველაფერი ეს ერთად აღებული ვერ შეედრება იმ სულიერს გმირობას, იმ ხასიათის და რწმენის სიმტკიცეს, რომელიც მან გამოიჩინა მისთვის ძალა და მიმზიდველობა დაკარგულ, მაგრამ ხალხის მიერ სათნოებად აღსარებულ, რწმენა-ჩვეულებასთან ბრძოლის დროს. მართალია, ამ ბრძოლის დროს მან დაჰკარგა სუყველაფერი, რაც ტკიბილი და სასარგებლოა ამ ქვეყნად: სახელი, პატივი, ნდობა, სიყვარული, მშობლიური მიწა-წყალი, მამა-პაპათა სასაფლაო და სარჩო-საბადებელი. მაგრამ გმირი მაინც ისე მოიქცა, როგორც ეს ეკადრება ჭეშმარიტ სულით მაღალ გმირს...

გავეცნოთ ალუდას სულიერ ტრადედიას უფრო დაწვრილებით.—ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რანაირის სიტყვებით და რა წინადადებით მიმართა ალუდამ ხევის ბერს ბერდიას. ალუდას წინადადება, როგორც მოსალოდნელი იყო, უკანასკნელს—ამ ხევსურთა ჩვეულების და რწმენა-შეხედულობის დარაჯს და წარმომადგენელს,—რასაკვირველია, არ მოეწონა და საყვედურის და მხილების კილოთი გასცა პასუხი. ალუდამ ცხადად დაინახა ბერდიას სიტყვებიდან, რომ ჩვეულებით დამტკიცებულ ოფიციალურ წესით ის ვერ „შეავდრებდა“ „ბატონს“ ვაჟკაც მუცალას სულს და ზნეობრივ წყურვილსაც ვერ დაიკმაყოფილებდა. მაგრამ ალუდა ქედს არ იხრის ხალხის ზნე-ჩვეულების და რწმენის წინაშე: არ იკლამს გულში მძლავრად

აღზნებულ გულის თქმას და მწვავე ფიქრებით ნაშობ აზრებს; ის ოფიციალურად უცხადებს პროტესტს საზოგადოების შემბოჭველ და დამმონავებელ შეხედულობას და რწმენას. ხევის ბერის გადაჭრილ უარზე—

„გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაჲ;
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაჲ.
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მოგორავს ძირსაჲ.
თან შეახვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შეიღისაჲ,
აღლდა ჭკონდეს მუცელსა,
მაკ მოუნათლავ გმირსაჲ“.
ბერდია ჯავარ აშლილი
სახლისკენ იზამს პირსაჲ.
„—გაკონიდაა, — იძახდა,
ასე აგდება რჯულისა:
საკლავს თითონ ჭკლავს აღუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.
ხადხო, მინდარის გავიგო,
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხეკსურთ შვილებო,
ეველანი—დიდი მცირენი—
სამართალი ვქნათ, უმტვრიოთ
აღუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმენით
ცოლ-შვილის ამომტირენი,
მოკვეთილ იუოს, სხვა ქვეყნის
ცა—ღრუბლის შენამზირენი.
წადით, უმტვრიოთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი შეეცით საძნოვარს,—
ცასა წვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ:
ცხვარი, ძრახა და ხარები.
მატიღს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს—შინში და ქალები;

ჭრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შესაბრძლები“.

აი რა მკაცრი სასჯელი მიუსაჯა ალუდას ხალხის რწმენისა და ჩვეულების წარმომადგენელმა: ჩვენ აქ სიტყვას „რწმენის“ არ ვხმარობთ სიტყვა „სარწმუნოების“ მაგივრად, ვინაიდან ბერდია არ იყო (ხევის ბერები დღესაც არ არიან) მთებში ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოების წარმომადგენელი. ბერდია წარმომადგენელია განსაკუთრებით მთიულთა ადათ-ჩვეულებისა, მათი, დროთა ვითარებისაგან შებღალულ, შერყვნილ და ბოლოს კრუმორწმუნოებად გადაქცეულ, ქრისტიანულ რწმენისა. ამავე დროს ბერდია განხორციელებაა მთიელთა ისტორიულად გამოკვეთილ ხასიათისა და მსოფლმხედველობისა. და აი ამ ხალხის წარმომადგენელმა სასტიკი და ულმობელი მსჯავრი დასდო თემის რწმენის შემლაზველ და შეურაცხმყოფელ ურჩს წევრს.

სჩანს თემმა უცვლელად აღასრულა ბერდიას განაჩენი და ერთის, მართალია უჩვეულო და იშვიათის შემთხვევისათვის, განსწირა ყველასათვის დიდად პატივცემული და სასარგებლო თვისი შვილი.

მაგრამ ეს განწირული შვილიც გმირულად შეხვდა თვის ბედს: ქედი არ მოიხარა თემის ძლიერების წინაშე; არჩია სულის სიმშვიდე, რწმენის სიმტკიცე, სინიდისის სისპეტაკე პირად ბედნიერებას და მათ შესწირა უწინდელი სახელი, დიდება, ტკბილი მამა-პაპათა მიწა-წყალი და სამლოცველო. ვაჟას შესანიშნავის ხელოვნებით აქვს აწერილი გულჩამთუთქავი სურათი გაძევებულ ალუდასი და მისი ოჯახობის ქარბუქში, თოვლ-ყინვაში უგზო-უკვლოდ გაუვალ მთებში სახიფათო მოგზაურობა. მხოლოდ დიდს მხატვარს შეუძლია დახატოს ასე მძლავრად და მას-

თან მოკლედ ტრალიზმით აღსავსე სურათი. ამოვსწეროთ ეს შესანიშნავი ადგილი ვაჟას პოემიდან:

„თოვლი სთავს, ქარი ბობოქრობს,
 უელეშე შაკრულა მთებისა;
 ჩამოდის ხევად ზოგები,
 ჩამონასწლეტი კლდებისა.
 გაუბამ უინუელს ლურჯადა
 უბე კალთები წიქლებისა,
 მიუნაქრია ერთიან
 ვიწრო სავალი გზებისა.
 ვის მოსწეენია სიცოცხლე,
 გზას ის ვინ გაუდგების?
 წინ მიდის მგზავრი, მიჰკვავლავს,
 ხუთივ უკვება ჰეგებისა.
 სიმძლით შეწუნებული
 მთას დმუის ჯოგი მკლებისა.
 „კარგს ნურას ჰინახვთ, ხეესურნა“,
 ერთი დიაცი სწერებისა.
 „ავაჰმე, ჩვენს სახლკარო,
 ქვა-ქვაზე აღარ დგებაო,
 ცინეზე, ჭერხოს ბოძებზე
 ეხლა უოგები სხდებოა“.
 დედა ეტეოდა ალუდას:
 „შვილო, იარე ნელაო,
 შენთან ვერ გავძლებ, ვერც მენა,
 ვერც შენი ცოლი ლელაო.
 ბაღლები აგვიბოჟინდა,
 ნელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
 ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
 ვაჰმე, როგორა ბნელაო!
 ნეტავ არ დასჭირდება
 ხეესურთა შენი შევლაო?!
 ვის რა წყალ-ჭაღა გვისტუმრებს,
 სად რასა დავილეგითა?
 უბინო უსახლკარონი
 სხვაგანაც დავიწეგითა.
 ვეღარ მოუვალ ჩვენ სახლ-კარს,
 გაღმა შატლის ზეგითა.
 თავის მიწა-წყლის გაწირვა

ძნელი უოფილა მეტადა;
 მომაკვდავს დაუფერებულვარ,
 გონი გამხდა კეტადა.
 მუნლებ არ მომდევს, გულშია
 ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
 ვაჰ, მამანაჰის საფლავნო,
 კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!
 ჯავრებით ეტევის ალუდა:
 — დიაცნო, ნუ ხართ ვბედადა,
 მოდით, მომეგვით, ვიღინოთ,
 დმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
 ჯვარს არ აწეინოთ, თემს თუ სწევით,
 ნუ გადიქვევით ცეტადა!“
 ერთხელ მანუნდა ალუდას,
 ერთხელ მობრუნვა თავისა:
 „მშვიდობით, სჯინეგებო
 გამახარელნო თვალისა!
 მშვიდობით ჩემო სახლ-კარო
 გულში აშმელელო ბნალისა!
 მშვიდობით, ჩემო ბატონო
 უმათა მიმცემო ძალისა!“
 გაწირეს მგზავრთა სამუდამოდ
 წყალი და მიწა თავისა.
 შტერად დამდგარან მთის წვერნი,
 ისმის ხვივილი ქარისა.
 გადავიდნენ, ქედი გადავლეს,
 თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
 ერთი მოისმა შტრითა
 მწარე ქვითინი ქალისა“.

ამ უკანასკნელ საბედისწერო მომენტშიაც ალუდა ნამდვილი გმირია, — გმირი გონებით მაღალი და გრძობით სვეტაკი. საზოგადოების უღმებელობამ, მისმა სიმკაცრემ და პირადი უბედურობის სიმწვავემ ვერ შეურყიეს გმირს გულის სიმშვიდე, ვერ შეაძულეს ის, რაც წინედ უყვარდა; ვერ აღმოუფხრეს პატივისცემა იმისა, რასაც წინედ პატივსა სცემდა. სამშობლო მიწა-წყალი, თემი, „დიდი ბატონი“ — ყოველივე ეს კვლავ წმინდა

და სასიამოვნოდ მოსაგონებელ საგნად დარჩა სამშობლოდგან გაძევებულ, თემის სიმკაცრით განწირულ და „დიდი ბატონის“ მსახურიდგან დაწყველილი ალუდასთვის.— „ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუსწყვეთ“— გულმართლად ეუბნება ალუდა გაბოროტებულ და გამწარებულ დედას. ამ მარტივი სიტყვებით უკანასკნელად მოუსვა მგოსანმა თვისი მადლიანი კალამი და საუცხოვოდ დაასურათა და დაამთავრა ისედაც იდეალური სახე ალუდასი!—

პოემა „ალუდა ქეთელაური“, როგორც ვხედავთ, უმთავრესად ფსიხოლოგიურის და ფილოსოფიურის ხასიათისაა. მასში ბლომად არის გაბნეული. აგრეთვე ღრმა სოციალური აზრებიც.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად გამოთქმულა ის აზრი, რომ ვაჟა საკმარისად არ არის მომზადებული, განათლება აკლიაო და სხვ. ჩვენც გვქონდა შემთხვევა (იხ. „ცხოვრება და ხელოვნება“ წერილები: „ლიტერატურული შენიშვნები“) გვეთქვა მის შესახებ—ღრმა განათლება რომ მიეღო ვაჟას, მაშინ ის სხვა ვაჟა იქნებოდა, უფრო ღრმა აზრიან ნაწარმოებს მოგვცემდათქო. ჩვენი და სხვისი ასეთი შეხედულება ვაჟაზე, უნდა გამოვსტყდეთ, ნახევრად მაინც უსამართლო და შემცდარია. მართალია, ვაჟა არ არის მეცნიერი ანდა მეცნიერების რომელიმე დარგის წარმომადგენელი; მართალია, მან ზედმიწევნით არ იცის უცხო ენები, რომ შეეძლოს ევროპის მწერლების და მათი იდეების პირდაპირ, უშუამავლოდ, შეთვისება; მართალია, ვაჟა არ ახდენს პირად ბაასის და მსჯელობის დროს ღრმა მოაზროვნის ღუმალღესად გონება გაწვრთნილი პიროვნების შთაბეჭდილებას; მართალია, ვაჟამ მომეტებული ნაწილი თვისი ცხოვ-

რებისა მთებში და უბრალო ხალხში გაატარა... მაგრამ ამისდა მიუხედავად, ვინც მისი ნაწერებს დაკვირვებით წაიკითხავს, ჩაუკვირდება და ეცდება განითავისუფლოს თავი ვაჟაზე უკვე შემდგარ და გავრცელებულ შეხედულებიდან, ის აუცილებლად მოიხიბლება და თან განცვიფრდება ვაჟას ნაწარმოებების სწორედ ღრმა აზრიანობით, შინაარსიანობით და იდეათა მრავალ-გვარობით. ჯერ სხვა მისი ნაწერებს თავი დავანებოთ; დაუკვირდეთ ხელახლავ მხოლოდ მის პოემას „ალუდა ქეთელაური“. მგონი, არ შეეცდეთ, თუ პირდაპირ ვიტყვით, რომ იმისთანა ღრმა შინაარსიანი, იდეური და ფილოსოფიური პოემა გენიოსებად აღიარებული მწერლების ნაწარმოებებშიც ერთი-ორი და თუ შეგხვდებათ! არამც თუ რომელიმე შუათანა ნიჭის და ტემპერამენტის მხატვარი—მეაზროვნე, თვით მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო გენიოსი და „უუდიდესი მწერალი რუსეთის მიწისა“—ტოლსტოიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს „ალუდა ქეთელაურზე“ და მას თვისი მსოფლმხედველობის, უწმინდესი სულის კვეთების და ტრადედიის საუკეთესო გამომხატველადაც ჩასთვლიდა.

თუ როგორ მოხდა ასეთი, პირველ შეხედვით, წარმოუდგენელი და დაუჯერებელი მოვლენა, რომ დაბალ სასწავლებელში სწავლა დამთავრებული, სოფლის მასწავლებლად დიდხანს ნამყოფი, ბოლოს სოფელშივე სამუდამოდ დაბინავებული, ფორმალურად არა ჯეროვანად განუვითარებელი ჩვენი მგოსანი ღრმა აზროვნობას იჩენს, იდეათა სიმდიდრით აკვირვებს მკითხველს (იხ. „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველი ჭამია“ და სხვა) და სოციალოგიურ,

ფილოსოფიურ და რელიგიურ წარმოდგენით და შეხედულობით უდიდეს ევროპის მწერლებს უთანასწორდება, — ამის ახსნა, ჩვენის აზრით, არც ისე ძნელია. ნუ დავივიწყებთ, რომ ვაჟა ბუნებით დიდის ნიჭით არის დაჯილდოებული: ღრმა და მახვილი გონებით, მგრძობიარე და სათუთი გულით და ზე — აღმფრენი საუცხოვო ფანტაზიით.

მაშინ, როდესაც სხვა ჩვეულებრივი ნიჭის პატრონს დიდი ხნის სწავლა, კითხვა, დაჰყვირება, მოგზაურობა და სხვა მრავალი ამისთანა საშუალებები დასჭირდება, — ვაჟა ამას, როგორც დიდად ნიჭიერი ადამიანი, ადვილად ითვისებს და შეიგნებს. სხვას შეიძლება მთელი წლები და დიდი მეცადინეობა დასჭირდეს იმ იდეების და აზრების გაგებისათვის, რომელსაც ვაჟა, როგორც რჩეული ადამიანი, შემთხვევით წაკითხულ ციტატის ან სადმე მსჯელობის დროს გაგონილ ფრაზის წყალობით ნათლად ითვისებს და შეიგნებს. ასე ძალდაუტანებლად, ანგარიშ მიუცემლად და შემთხვევით მდიდრდება აზრებით ფორმალურად გაუწვრთნელი დიდი ნიჭის პატრონი; ასე ფაქიზდება მისი გრძობა და ფრთებს ისხამს მისი ფანტაზია (ამის მაგალითს რუსულს მწერლობაში წარმოადგენენ კოლცოვი და გორკი).

მართლაც რომ ჰკითხოთ ვაჟას: სად დავისგან შეითვისა ესა თუ ის აზრები, იდეები, ის ვერ გიპასუხებთ. ვერ დაგისახე-

ლებთ ავტორებს და წიგნებს, რომლებშიც ეს აზრები და იდეები პირველად გამოითქვა. ცნობილია, რომ ბექდვითი სიტყვის და თარგმანის წყალობით დღეს აზრები და იდეები საუკეთესო სწავლულებისაგან, ფილოსოფოსებისაგან და მხატვრებისაგან გამოთქმულნი, ადვილად და მსწრაფად ვრცელდებიან და შეუმჩნევლად შედიან მკითხველის შეგნებაში. — აი, ჩვენის აზრით, სწორი ახსნა იმ მოვლენისა, რომ ევროპიულად მოუძნადებელი და გაუწვრთნელი ვაჟა აზრების და იდეების სიმდიდრით არც ერთს უმაღლესად განათლებულ მხატვრებს არ ჩამოუვარდება. ჩვენ ამითი იმის თქმა კი არ გვინდა, რომ შეგნებულად, სწავლით და მეცადინეობით აზრების შეთვისება და გონების განვითარება საჭირო არ იყოს დიდი ნიჭისთვის, რომ პოეტს — მხატვარს მხოლოდ „ბუნება ჰქმნიდეს“ და შეეძლოს იყოს „უსწავლელად ნასწავლი“ (?!). არა, ჩვენ მხოლოდ ვხსნივთ, ვარკვევთ იმას, თუ რანაირად შეიძლება აიხსნას ვაჟას ნაწარმოებთა ღრმა აზრიანობა და იდეური სიმდიდრე იმ დროს, როდესაც მას შესაფერი სწავლა და ცოდნა არა აქვს.

თუ რამდენად დაუფასებელი იქნებოდა ვაჟასათვის ღრმა და ფართე განვითარება, — ეს ჩვენც გვაქვს წარმოდგენილი და გაგებული!

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)



ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

ჰიპოქრატე

(წერილი მეხუთე)

ჩვენი თვალთუხილავი მტერ-მოყვარენი

„იყავით მეცნიერ
ვით მამა თქვენი ზეცისა“
(სახარება)

I

იმ ცოცხალ არსებათ, რომელნიც შეეს-
ვიან ხოლმე ადამიანის სხეულს და არსებობს,
მზა-მზარეულად სჭაშენ და ხრავენ ადამიანის
სისხლს და ხორცს, ეწოდებათ **პარაზიტე-
ბი** *) . —

ეს მუქთა-ხორა არსებანა, პარაზიტები
ეკუთვნიან როგორათაც მცენარეთა სამეფოს,
აგრეთვე ცხოველთა სამეფოსაც. ზოგი ამთ-
განი ადამიანს დიდს უბედურებას ატეხს თავ-

*) სიტყვა პარაზიტი ბერძნულია. თვალსაჩინო
მაგალითს წარმოგვიდგენს ყველასთვის ცნობილი
პარაზიტი—მცენარე ფითრი, რომელიც ბებერ
მუხაზე ან მსხალზე მოიკალათებს ხოლმე და არ-
ხეინად სწოვს ცოცხალი ხის მზა-მზარეულ წვეწვს.
—იზრდება, ვითარდება, მარგალიტივით თეთრ
ხილს იხზავს, ფრინველები ამ ხილს სჭამენ და
სხვა ხეებზედაც ნისკარტით სთესვენ. ბოლოს,
როცა ფითრი მთლად გამოსწოვს წვეწვს, მისი
მკვებავი პატრონი (ხე) კვდება და ფითრიც თან
გადაჰყვება უსაზრდოობით, რადგან თვითონ საზრ-
დოს შოვნის, შრომის უნარი არა აქვს. პარაზი-
ტი იმ ადამიანსაც ეწოდება, ვინც სხვითა ოფლით
მონაგარს სჭამს, მუქთაზორობს. ძველს სა-
ბერძნეთში მთელი კლასი ჰყვანდათ მუქთა ხრ-
ავებისა, რომელთაც საზოგადოების პარაზი-
ტები ერქვათ, უქმად დაეხეტიალებდნენ, მუქ-
თად ცხოვრობდნენ სხვითა მონაგარით. ამ ჯურა
პარაზიტები საქართველოს შვილებში ჩვენდა სა-
მარცხინოთ დღესაც არიან.

ზე, ზოგს კი იმდენად საგრძობელი ზანადი
არ მოაქვს ჩვენთვის.

პარაზიტთა მეტი ნაწილი მაგალითად **ბაქ-
ტერიები**, თუ არ მიკროსკოპით ისე თვალთ
სულაც არა სჩანან, ნემსის წვერზე თუნდ ხუ-
თასამდე ბაქტერია დაეტევა. ამიტომაც ეწო-
დებათ ამათ **მიკროორგანიზმი** ანუ **მიკ-
რობი**. მთელს კაცობრიობას ეგვლასზე მეტად
სწავრავენ, სტანჯავენ და სულაც ანად გუ-
სხვა და სხვა ჭირის ბაქტერიები. ეს ჭეშმა-
რიტება მეცნიერებამ პირველად აღმოაჩინან
მხოლოდ 1837 წელს.

მაგრამ უოველთა ხილულთა და უხილავთა
შემოქმედს მიკროორგანიზმთა შორისაც გაუ-
ჩენია ადამიანის კეთილის შეოფენი. არიან
იმისთანებიც, რომელთაც პირიქით მეტად
დიდი საკებლობა მოაქვთ ჩვენთვის, მაგა-
ლითად ეს უხილავი ჩვენი მეგობრები გვიმ-
ზადებენ ღვინოს, ზურს, სპირტს, არაყს,
ლეღს, ძმარს, უვეღს, მაწონს, ქეფიარს, გუ-
მისს და სხვ...

ქართულთა ამთ უვეღს დედას ვეძახით—
ხაში-დედა, მაწონის დედა, ძმარის დედა, ან
ვამბობთ: მაწონი შედედა, უველი შედედა,
ცომი გაფუგა, ტკბილი აღუდა (მაჭარი),
ღვინო დაძმარდა, რძე აიჭრა და სხვ... და
სხვ. აბა რა ვიცოდით თუ უვეღა ამ ქიმიურ
პროცესებს ერთ გვარი თვალთ უხილავი მცე-
ნარები გამოიწვევენ ხოლმე და ისიც რო-

გორ,—ეგვლას თურმე თავის უნარი აქვს, უწეებულ რამ ხელობას ადგია.

1) **შაქარმიცეტები** აღუდებენ უურძნის ტობილს *), ამზადებენ მაჭარს, ღვინოს, არაყს, თხლეს, სპირტს, ლუდს, ქეფისს, კუმისს და სხვ. ლუდის ქარხნებში განგებ მთაშენებენ ხოლმე სუფთა კულტურას ამ **საკობებისას** **), შაქარმიცეტებს ანუ *Saccharomyces cerevisiae* (ლუდის დედა, ლუდის სოკოები).

2) ჰურის ხაშის **ბაქტერიები** მშენიერად აფუებენ ცრამს, ხოლო როცა ჰური ცხვება ჩვენი კეთილის მყოფი ბაქტერიაც სიცხისაგან კვდება.

3) ბაქტერიები არამც თუ ღვინოს ამზადებენ, მთელი ქარხანებია სიდაც ხის ნახეჩხიდანაც კი ამზადებენ ძმარს ამ ბაქტერიების წყალობით.

4) ეგვლას თუმცა დგრიტვა, **უორგანიზმო ფერმენტი** (ენზიმი) ადუდებს, მაგრამ ეგვლას მანინც ბაქტერიები ამწიფებენ, აგემრიელებენ. სწავლულმა ეგვლას მკეთებელმა ისიც კარგად იცის, რომ რძის დამამუაგებელ ბაქტერიას შეუძლიან დიდი ზარალი მისცეს.

5) მაწონიც ცოცხალ **ბაქტერიებისაგან** მზადდება, რომელთაც ლაქტობაცილა ეწოდებათ ე. ი. რძის ბაცილები. ***)

*) არღვევენ ყურძნის შაქარს,—ჩნდება ალკოჰოლი (ას გრადუსიანი სპირტი) და ნახშირმეფა გაზი, რომელიც წინწყლებს ისერის, პირის საამოთ შუშხავს.

**) Дрожжи, дрожжевые грибки, бродильные грибки.

***) როგორც ვიცით პროფესორმა მენიკოვმა დიდი სახელი გაუთქვა მაწონს. ილ. მენიკოვი, ტომით რუსი, პასტერის ინსტიტუტის განყოფილებიკ გამგეა პარისში. თავის მეცნიერული გამოკვლევანი მაწონის შესახებ დიდი ხანია გამოაქვეყნა. სახელოვანი პროფესორი ურჩევდა ექიმებს და მართლაც მაწონი უებარი წამალი გამოდგა კუჭის და წელების უწესობების დროს.

ამ გვარივე თვალთ უხილავი მცენარეები გვიმზადებენ სამკურნალო სასმელებს—**ქეფირს და კუმისს**. ქეფირის სოკოები დღეს ეგვლას აფთიაქში შეგიძლიანთ შეიძინოთ და იქვე გასწავლიან მომზადებასაც.

ადამიანს აი ამდენი თვალთ უხილავი მკობრები ჰყავს *), რომელნიც დიდის ენერ-

ხოლო „კარგად მყოფთ“ ჰპირდება ასი წლის სიცოცხლეს თუ რომ მაწონს ხშირად სჭამოთ, რადგან მაწონის ბაცილები ძლიერ ხოცვენ იმ ბაცილებს, რომელნიც ადამიანის სქელ წელებში გროვდებიან ბლომად და უშხამავენ ადამიანს სისხლს და უმოკლებენ დღეს.—

ერთს რამეში არ ვეთანხმებით პატივემულ პროფესორს: იოღურთა თათრული სახელია მაწონისა, ხოლო მაწონი ქართველებმა ნოგს დროიდან იციან, ადუდებენ და საჭმლად ხმარობენ. ჰო და რაღა ბულგალარების მაწონში იპოვა რძის ბაცილები (ლაქტობაცილინი)? ქართველებს სჩანს აქაც ბედი არა გვაქვს.

მაწონი რო შესანიშნავი საჭმელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ეს დიდი ხანია ბევრსა გვწამდა. (თქვენი მორჩილი მონა ჰო წელიწადია დაჟინებით გიახლებათ მაწონს), მაგრამ მაწონი ელოდა იმისთანა ავტორიტეტის დადასტურებას, როგორიც არის პროფესორი მენიკოვი. ამიტომაც თვით პარისში მილიონერთა აქციონური საზოგადოება შესდგა, რომელიც მაწონის აღემიციემობას აწარმოებს და მთელ პარისს ჰკვებავს მათდა სადღეგრძელოდ. დღეს მთელს ევროპაში და ამერიკაში უფრო მეტს პატივშია მაწონი ვიდრე ჩვენში—, „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“... ეს სამწუხარო მოვლენაა, რადგან მაწონი უებარი წამალიცაა და საჭმელიც. მაწონმა მე თითონ გადამიჩინა ერთი ბავშვი სიკვდილს, რომელსაც გაძნელებული, ხანგრძლივი ფაღარათობა სტანჯავდა. მაწონის მეტმა ვერაფერმა წამალმა ვერ უშველა.

*) ამას წინეთ ვწერდით (იხ. „დედამიწა და მისი ზედაგი“) მეგვარჯილე ბაქტერიის შესახებაც, რომელიც ჩვენს ნათესს ბოსტნეულობას აწვდის, უმარჯვებს და უმრავლებს აზოტიურ ნივთიერებას, რის გამოც მოსავალი ერთი ორად მეტი მოდის.

გიით უსასყიდლოდ მუშაობენ ჩვენდა სასარგებლოდ, საკეთილდღეოდ. აბა ვინ რა იცოდა!..

ვინ რა იცოდა, რომ მარტოოდენ რუსეთში რასაც ეს თვალთ უხილავი არსებანი ჰურს აცხობენ, ზაფხულსა და ქარნებს აწარმოებენ ჯუღისას, სპირტისას და სხვ., ყველა ეს ადებ-მიტეპობა რომ ვიანგარიშით, აბა იფიქრეთ სად ავა! ჩ-ს (ჭოკის), რომ ჰატივი დაუსწავთ და ჭ-თივე (ჭოეთივე) რომ გაფარმავლოთ, ამით მაინც კიდევ ვერ აღირიცხვის; იმოდენა ფუფს და თანხას ატრიალებენ უფულ წლივ! თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მთელი ბიუჯეტი ამ მიკროორგანიზმითა უნარზეა დამყარებული*). ახლა ისიც ვიანგარიშით რამდენ მილიონ მუშას და მოხელეს აქცისის უწყებისას აძლევენ საღსარს ცხოვრებისას!

დღეს მეცნიერება ისე სარგებლობს მიკროორგანიზმითა სასარგებლო ძალით და მათი უნარით, როგორც ჩვენ ხარ-კამეჩით—საითაც უნდათ, იქით მიატრიალებენ ხალხე შექარ მიტეპების უნარს და ძალასაც.

დაიდ, ბატონებო, დღევანდელი ჩვენი კეთილდღეობა, უფველივე მეცნიერების უნარი და არა იმ თოფისა და ზარბაზნისა, რომელიც კაცობრიობის სამარცხვინოდ დღესაც გრიალებს. მეცნიერება აშუქებს უფველივე კუთხე-კუნჭულს ადამიანის სიცოცხლისას—ცხოვრებისას. მეცნიერება ღამობს **სამოთხე ქვეყნადვე შექმნას და ადამიანიც** ადამიანად, აქციოს—იქმნას იგი მართლაც და **გვირგვინი შემოქმედებისა და მეუფე ბუნებისა.**

იქვე დავასახელოთ ის ბაქტერიაც. რომელიც ფიჭვსა მსახურებს—კლდეში გატარებულ ფიჭვის ძირკვებს საზრდოს უზიდავს.

*) აქციზი სპირტისა და ყველა სასმელებისა, აგრეთვე ტრაქტორთა და სამიკრობების გადასახადები იანგარიშით.

II

ქართველებს ჩვეულებად გვაქვს, ღხინის დროსაც-გი ჩვენს მოამაგდარ წინაპარებსაც მოვიხსენიებთ—მათს შესანდობასაც შეგველოდ დაფლეთ ხალხე. წმ. მამებსაც დაუწყისებოათ „საუკუნოდ იუფს ხსენება და კურთხევა მისი“-ო...

როცა ბაქტერიებზე ვწერთ, გრძნობა საშართღიანობისა გვაფლებს მოვიხსენიოთ სახელი ამ შესანიშნავ ადამიანისა, რომლის თვალმაც პირველმა დაინახა უხილავი სამეფო შემოქმედისა*).

დაიდ ბატონებო... 1675 წელს მეტად დიდი სასწაული მოხდა კაცობრიობის ისტორიაში!.. ადამიანის თვალმაც პირველად დაინახა ურინხვი რაზმი აქამდე უხილავ ცოცხლად არსებათა, რომელთა შორის დღეს ვიცნობთ მტერსაც და მოეგარესაც.

ჭოლანდიის ერთს ჰატარა ქალაქში, დეფოტში, სცხოვრობდა ვინმე **ანტონი ლევენჰუკი**. ამ კაცს არავითარი მეცნიერული მომზადება არა ჰქონდა. წინეთ ამსტერდამში ერთს სავაჭრო სახლში ჯერ დახლიდრად და მერე ბუნჯალტრად მსახურებდა. 22 წლისამ ვაჭრობაზე ხელი აიღო და თავის საყვარელ სვანს, ბუნების მეტყველების შესწავლას შეუდგა. უფ-

*) კაცობრიობა იმდენად ბრმა და აბუეტია, რომ ჯერაც აღმერთებს ალექსანდრე დიდს მაკედონიელს, იულიოს ცეზარს, ნაპლეონ I-ს და სხვ., რომელთაც თავის სახელის განდიდებანს მილიონებით კაცთა სიცოცხლე ანაცვალეს, ამოყოლიტეს. ხოლო რომელთაც მეცნიერულ მეღვარ შრომით აღმოაჩინეს საშუალება, რომლითაც მილიონი ადამიანი გადაარჩინეს სიკვდილის პრეტულებს და კეთილდღეობაც მიანიტეს, ამათი სახელის მომგონი და მახსენებელი ძნელად თუ ვინმე არი და თუ ახსენებს იმ აღტაცებით, იმ ენტუზიაზმით კი არა, როგორც ნაპლეონს ან მაკედონიელს. ეს უტყუარი ნიშანია, რომ ადამიანში ჯერაც ბევრი მხეცური ელემენტი ურევია, სტარობს.

რო კი **ზოოლოგიის**, ცხოველთა ვითარების, სწავლას მისდევდა. ლევენჰუკმა თვით მანუქათავისებურად საგნის გამადიდებელი მიწები, რომელსაც მერე მიკროსკოპები დაერქვა. **ჩასაც არა მგონია** მიკროსკოპის ქვეშ სინჯავდა და გატაცებული იკვლევდა.

ხსენებულს 1675 წ. სექტემბერში ლევენჰუკმა სრულებით შემთხვევით, წვიმის წყალს დაუწყო მიკროსკოპით სინჯვა. ეს წყალი წვიმის შემდეგ რამდენიმე დღე იდგა გაფისულ ბოჭკაში. ლევენჰუკმა სინჯვა რო დაუწყო (გამადიდებელ შუშით) გაოცებული დარჩა, — ნაწვიმარ წყალში ათასობით და ასიათასობით ფუთფუთობდნენ რაღაც ნაირი ცოცხალი არსებანი!..

კაცობრიობის საბუნებრივად ეს ვაჭარი კაცი ძალიან გამჭრიახე და ცნობის მოყვარე აღმოჩნდა. მაშინათვე თავის თავს შემდეგი კითხვა მისცა: საიდან და როგორ გაჩნდნენ ამ წყალში ეს თვალთ უხილავი ცოცხალი არსებანი?.. მხოლოდ მაშინ მოუსვენა გულმა და აზრთა ბრძოლამ, როდესაც მიხვდა და იმ დასკვნას დაადგა, რომ ბოჭკაში ესენი თავის თავად ვერ გაჩნდებოდნენ და მამასადამე ამოდენი **ლაშქარი მიკროორგანიზმოებისა** უთუოდ ჰეარში ირეოდა, მერე წვიმის წყალმა ჩამორეცხა ღია ბოჭკაში დაიწყო ფუფუნება...

ჰოლანდიელმა კვლევებელმა ბოლდის ისიც აღმოაჩინა, რომ ეს უხილავი არსებანი ძლიერ ადვილი მოსაშენებელი უოფილან. რო ავიდოთ **ბუჩო** (თივის ნაფშენეტი) და ჩაისებულ დაფუძულდროთ, გაცივდება თუ არა, შიგ მთელი რაზმი გაჩნდება ბაქტერიებისა ანუ როგორც ესხა მეცნიერები ეძახიან **Bacillus Subtilis** (ბაცილუს სუბტილის) მეტადრე ჰილბილის ნამდუღრში ძლიერ ადვილად სწნდებიან (სახელი ადარ მახსოვს). სწინს ამ ნამდუღრებში უფრო მეტს საზრდოს, უკეთეს

პირობებს ჰოლდობენ თავის ადრძინებისთვის დასახელებული ბაცილები.



ლევენჰუკის კვლევა-ძიება და მისი მოსახრებანი უოველივე ნამდვილი და მეცნიერული აღმოჩნდა. დღეს უველსათვის ადვილი მისახლამია რა დიდი ბუნებრივად მიანიჭა მთელს კაცობრიობას ამ ენერგიით სავსემ, ბუნებითი ნიჭიერმა უსწავლელმა კაცმა. ხოლო იმ დროის მეცნიერებს, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკათ, სიცილათაც არ ეოთ: „ჰოლანდიელ ჰსტიგციმულ ვაჭარს უთუოდ ცუდი სიზმარი უნახავს, რაღაც მოღანდება და ბოდავსო“... ასე ოხუნჯობდა მეცნიერთა მეტი ნაწილი. — ზოგმა-კი გაიგეს თუ არა ლევენჰუკის ახალი აღმოჩენა, წამსვე დაფიცდნენ — დაუწყო წვიმის წყალს მიკროსკოპით სინჯვა, მაგრამ... ვერეფერი კი ვერ დაინახეს.

მთელს ევროპაში მაშინ განთქმული იყო მხოლოდ ერთად ერთი „ინგლისის სამეცნიერო სამეფო საზოგადოება“. ჰო და, წარმოიდგინეთ, რომ ამათაც კი აბუნად აიგდეს ვაჭარფილოსოფისის აღმოჩენა. უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ არც ამ საზოგადოებას და არც თუ სხვა მეცნიერებს არავის არ ჰქონებიათ ხეიანი მიკროსკოპი.

მეცნიერთა ოხუნჯობის და დაცინვის მასუხად ლევენჰუკმა დიდებული რამ აღმოჩენა გამაჰვეენა. ამან თავის გამოჩენილ მიკროსკოპით პირველმა დაინახა სისხლის მოძრაობა და სისხლში მცურავი ნამცეცები, ბირთვები. ბოლოს ისე გაიმარჯვა ამ თავგამოღებითი მშრომელმა ლევენჰუკმა, რომ ზემონათქვამმა სამეცნიერო საზოგადოებამ ეს აბუნად აგდებული მეცნიერი თითონვე აიჩნია თავის საზოგადოებაში.

აი ეს როგორ მოხდა.

1677 წ. სექტემბრის 15-ს ხსენებულ სამეცნიერო საზოგადოების კრებაზე, თავმჯდომარემ **რობერტ ჰუკმა** შემდეგი მოხსენება

წაიკითხა: „... ძლიერს მივაღწიე მიზანს და იმის-
თანა მიკროსკოპი მოვაწიე, რომელითაც ჰილ-
პილის ნამდუღარში მთელი მსოფლიო აღმო-
ვაჩინე ცოცხალ მიკრო-ორგანიზმებისა და აკერ
მობრძანდით და თქვენის ბედნიერის თვალით
იხილეთო“... თავზარდაცემული მეცნიერები
მასთანვე მისცვივდნენ რაბერტ ჰუკის მიკ-
როსკოპს და ვეგლანი გაოცებულნი დარჩნენ.
მასთანვე შეადგინეს ოქმი, რომელზედაც
ხელი მთაწერეს იმისთანა განთქმულმა მეც-
ნიერებამაც-კი როგორც იყვნენ, მაგალითად
კრისტოფ კენი და ნემიას გრიუ. აღტა-
ცებაში მოვიდა ის გამოჩენილი გრიუ, რომელიც
საფრანგული დაუღო მტენარეთა ან-
ტომას!

ამ ფაქტის შემდეგ ვეგლა მეცნიერი იმ
აზრს დაადგა, რომ ბუნებაში სხვა მსოფლიოც
აჩსებობს და სუფევს საშუალო თვალთ უხილავ
აჩსებთა, რომელნიც თავისებურად სტოცხლო-
ბენ და ცხოვრობენ. —

ასე და ამგვარად დაეღო საფრანგული მეც-
ნიერების ახალ დარგს, რომელიც ჯერ მანინტ
მძიმედ მიდიოდა წინ, საკვირვლად ძნელად
იკიდებდა ფეხს. თითქმის 200 წელიწადმა
გაიარა ვიდრე ამ უსაჭიროეს სწავლას ცხოვ-
რებაში პრაქტიკულად გამოიყენებდნენ *).

*) ასეთი სიძნელე საქმისა უფრო იმითიც აი-
ხსნება, რომ მეცნიერებს ხეირიანი მიკროსკოპი
ხელთ არა ჰქონდათ. სულ პირველად რთული
მიკროსკოპის გამადიდებელი მინები 1590 წელს
მოამზადა ზაქარია იანსენმა ნიდერლანდში, მაგრამ
რა მიკროსკოპი იყო ეს მიკროსკოპი ეს იქიდან
სჩანს, რომ სამასი წელიწადი, სამი საუკუნე რამ-
დენიმე თაობა მოუწდა ვიდრე 1886 წ. ჩვენი
დროის მიკროსკოპი შეიქმნა ძლიერ იარაღათ
მეცნიერთა ხელში. ადამიანის შემოქმედებითმა
ნიჭმა აქაც დიდებულად გაიმარჯვა—აბზე და
ცვისი ითვლებიან დღევანდელი მიკროსკოპის მა-
მამთავრებად.

აქ არ უჭიძლება არ ვახსენოთ იმათი სახელები,

1837 წ. მეცნიერმა **ბაზიმ** პირველმა გა-
მოაქვეყნა, რომ აბრეშუმის ჭიის ავადმყოფო-
ბას გამოიწვევს ხოლმე ერთგვარი მიკროორ-
განიზმი, რომელიც მტენარეთა საშუალოს ეკუ-
თვნის (სოკოებს). —

მას მერე შონლეინმა აღმოაჩინა 1839 წელს
ქეჩის მიკრობი, ხოლო 1846 წ. აღმოაჩინეს
სირკველის მიკრობი და სხვ.

პირველში, რასაკვირველია, მეცნიერებსაც

ვინც მიკროსკოპის გასაუმჯობესებლად იღვწო-
დენ: 1646 წ. ფონტანამ შესცვალა მინები, შექმ-
ნა რთული მიკროსკოპი დღევანდელ ტიპისა.
1659 ჰიუგენსმა და 1665 ჰუკმა თავის წვლილი
შეიტანეს მიკ. ტენიკაში. 1668 დივინიმ, 1672 წ.
ნიუტონმა ახალი პრინციპი გამოაჩინეს, რომელიც
განავითარეს სმიტმა, ბრიუსტერმა და ცოტახან
შემდეგ ამიჩიმ. ხოლო ეილერის ახალი თეორია
გააუმჯობესეს მარტინმა 1759 წ. ვან-დეილემ
1807 წ. ფრაუნჰოფერმა 1811 წ. და ამიჩიმ
1816 წ.

დიდი სამსახური მიუძღვის მიკროსკოპის გან-
ვითარების საქმეში აგრეთვე საფრანგეთის ოპტიკს
შეველიეს, რომელმაც 1824 წ. სელინგის გამო-
ანგარიშებას დაემყარა და ძლიერ გააუმჯობესა
თვით შენობა მიკროსკოპისა (რთული ობექტი-
ვები გამართა და სხვ.) შემდეგ განაგრძეს შრომა
ლისტერმა (1830 წ.) და ამიჩიმ. ამიჩი სამარ-
თლიანად იწოდება იმ წმ. მამათა შორის, რომელიც
მიკროსკოპს აშენებდნენ. ბოლოს მუ-
შაობდნენ აგრეთვე გირტნაკი (1855 წ.), ა. როს-
სი 1839 (ლონდონში), ვენგამი (1857 წ.) ასე
მიადწია მიკროსკოპის საქმემ სამოცდაათიან წლე-
ბამდე, როდესაც დაუდგა ახალი ხანა მიკროსკო-
პის შენობის (კონსტრუქციის) განვითარებისა.
პროფესორის აბბეს (იენში) თეორეტიულ მუშაო-
ბამ და ცეისის დაუცხრომელმა შრომამ და მის-
წრაფებამ, რომელსაც ოპტიური სახელოსნო
ჰქონდა იენში, და აბბეს ხელმძღვანელობით დი-
დის მეცადინეობის შემდეგ შექმნეს ის სასწაულთ
მომქმელი იარაღი, რომელსაც მიკროსკოპი ჰქვიან.

დღეს ყველა ქარხნები პროფესორის აბბეს და
ცეისის პრინციპებით ხელმძღვანელობენ მიკროს-
კოპის აშენების დროს.

ჯერ საუკვოდ მიანდათ, რომ ბაქტერიებს შეუძლიანთ საქონლის სხეულში მართლაც და სპონიელი ჭირი გამოიწვიონ, მაგრამ, როდესაც 1854 წ. მეცნიერმა პოლენ დერმა აღმოაჩინა ციმბირის ჭირის ბაქტერია (ჩხირები), ხოლო მეცნიერმა დავიანემ თავის შესანიშნავ გამოკვლევით დამტკიცა ამ ჩხირების არსებობა, მას შემდეგ, რასაკვირველია, ყველა მეცნიერი მიემხრო იმ აზრს, რომ ეს თვალთ უხილავი ბაქტერიები სისიკვდინე ჭირის მიზეზნი უოფილან და დიდო უნარინგ შესძლებიათ.

თუმცა ასეთი თვალსაჩინო მაგალითი გამოქვეყნდა, მაგრამ წარმოდგინეთ, რომ ურწმუნო თამა მეცნიერთა შორისაც ბევრი აღმოჩნდა. ასე უოყმანობდნენ, ირხეოდნენ, რადაცას და ვიდასაც ელოდნენ.

ამ შესისის მოლოდინში გამოჩნდა კიდევ ძლიერი ავტორიტეტი, განთქმული მეცნიერი, დიდებული რობერტი კოხი* (Koch), ჩვენი დროის შესანიშნავი ბაქტერიოლოგი, დამფუძნებელი ამა სწავლა-მოდღერებისა.

ამ ახალ მეცნიერების (ბაქტერიოლოგიის) ისტორია არის იგივე რობერტ კოხის მოღვაწეობის ისტორია.

ეს საღმერთებელი ადამიანი მეცნიერი კოხი დაიბადა 1843 წ. სწავლობდა მედიცინას ჰეტტინგენში 1862—1866 წ., კურსი როდაცა: ზნა, ჯერ ასისტენტად იყო ჰამბურგის საზოგადო საავადმყოფოში, შემდეგ კერძო ექიმობდა გერმანიის სხვა და სხვა პატარა ქალაქებში, ხოლო 1872 ვიდრე 1880 წ. მაზრის ექიმად მსახურებდა ვოლშტეინში (რუსეთის საზღვარზე).—აი ამ დროს, ამ ხანაში, გენიოსი ადამიანის ნიჭმა არ ითაკილა პრავინცია, აქ გამაღა მძღავრი ფრთები—ზედი-ზედ რამდენიმე შესანიშნავი აღმოჩენანი გამოაქვეყნა ბაქტერიოლოგიიდან. ყველა ქვეყნის მეცნიერები აღტაცებული და კაცებული ეგებებოდნენ რობერტ კოხის სწავლა

მოდღერების. ინფექცი ჭრილობა-იარებისა, სისხლის სიღამზლე, ციმბირის ჭირი, უოკვლივე მეცნიერულად გამოამზევა, თავის ძლიერის ნიჭით გააშუქა, აღწერა, დააკანონა. ამ გვარ მოღვაწეობით რ. კოხმა განსაკუთრებული უურადღება დაიმსახურა მეცნიერთა შორის და გერმანიის მთავრობამაც დიდად დააფასა. 1880 წ. კოხი დანიშნეს ორდინარნი წევრად გერმანიის სამედიცინო სასანიტარო საბჭოში. სწორედ ეს ხანა იყო დიდებული, ბედნიერი ხანა კაცობრიობის ისტორიაში. 1882 წ. რ. კოხმა აღმოაჩინა ჭლერქის ბაქტერიებიც და მით მთელი ეპოქა შექმნა მედიცინაში. გამოქვეყნების დღეს, მთელი ქვეყნის ტელეგრაფის მართულებმა, სადაც კი დეადამწის ზურგზე კულტურის ნასახი იყო, ეველგან მოჭვინეს ეს სასიხარულო ამბავი. კაცთა ნათესავის იმედი და მისხნული რობერტი კოხი იმ დიდდან გახდა მსოფლიო მეცნიერი და საღმერთებელი ადამიანი.—მაგრამ გენიოსის ნიჭმა ესეც არ იკმაკა ჭლერქის ბაქტერიების აღმოჩენის შემდეგ, ამ ხანებში გერმანიის მთავრობამ შეადგინა საკანგებო კამისია და რობერტ კოხის მეთაურობით გაგზავნა ეგვიპტეში და ინდოეთში ხოლერის აღცილობრივ შესასწავლად. ამ მოგზაურობას შედეგად ის მოჭვევა, რომ კოხმა აღცილობრივ აღმოაჩინა ხოლერის ბაქტერიები, რომელნიც ფუფუნებდნენ ხოლერის ნაწლეგებში და თვითონ სასმელ წყალშიაც აღმოაჩინა ხოლერის ვიბრიონები.

კაცობრიობის საბედნიეროდ რობერტ კოხმა ხელთ მისცა მეცნიერებას ორი უსაშინელები ჭირის, ღვთის რისხვის ბაქტერიები: **ხოლერა** და **ჭლერქი**, რომელნიც ანადგურებდნენ და ბუზებივით ფლეტდენ აურებულ ხალხს.—1885 წ. მეცნიერი კოხი დანიშნეს ბერლინის უნივერსიტეტის ორდინარ პროფესორად და ახლად დაარსებულ ჰიგოიურ ინსტიტუტის დირექტორად. 1890 წ. კოხმა

კვლავ შესძრა მთელი მსოფლიო. ამ წელს გამოაქვეყნა თავის აღმოჩენილი წამალი ჭლერქის განსაკურნებელი. კვლავ ამოძრავდა ტელეგრაფის მართულები, ხალხი და მეცნიერება. ეს წამალი **ტუბერკულინი** თუმცა **უბარი** არ გამოდგა, მაგრამ დიდად წასწია წინ ჭირის ბაქტერიების აცრის საქმე (შრატის მომზადება და შრატით აცრა).


მთელი მსოფლიოს მეცნიერები და ექიმები რობერტ კოხის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ბერლინის საჰიგიენო ინსტიტუტში. აქ სწავლობდნენ, მიკროსკოპის ქვეშ ეცნობებოდნენ მთელ თავად უხილავ მსოფლიოს ჭირის ბაქტერიებისას; ამ შედეგარმა მუშაობამ ბევრი რამ აღმოაჩინა და მათ შორის აღმოაჩინეს საშინელი ჭირის, **დიფტერიის** (ყალათმა) ბაქტერიები და საწინააღმდეგო საშუალება — დიფტერიის შრატით აცრა. —

მსოფლიო მეცნიერი რობერტ კოხი მარტო იმით კი არ არის შესანიშნავი, რომ აღმოაჩინა გამანადგურებელი სხვა და სხვა ჭირის ბაქტერიები აღმოაჩინა, რობერტ კოხს დიდი სამსახური მიუძღვის მეცნიერების წინაშე კიდევ იმითი, რომ დიდად გააუმჯობესა მიკროსკოპის ტექნიკა, ბაქტერიათა აღმოსაჩენად გამოიხატა საუკეთესო საშუალება (ფერადები) ბაქტერიების შესადგობათ, ხოლო უმთავრესი ხერხი და ნიჭიერი მოსაზრება იმაში გამოიხატება, რომ კოხმა მოახერხა იმ ნაირი **ხელოვნური** ნიადაგის მომზადება, რომელზედაც შესაძლო გახდა ბაქტერიების მოშენება, მათი საზრდოება-კვებვა და გამრავლება. უკვლავ ჭირის ბაქტერიას თავის საყვარელი განსაკურთხებელი საზრდო-საკვები გამოუნახა.

წინეთ ბაქტერიებს სხვა და სხვა სითხეებში ამრავლებდნენ (პასტერის მეთოდს). ამ გვარო კულტურა უოველთვის უსუფთაო იყო და შიგ სითხეში უპოველად შეერეოდნენ ხოლმე სხვა გვარი ბაქტერიებიც, რაიც ძლიერ აძნელებდა კვლევა-ძიებას. კოხმა გამოიგონა იმ გვარი საშუალება, რომელნიც **ხაშივით** იყენებოდნენ. მაგალითად **ჟელატინა** (თევზის ბუშტის წებო), აგარ-აგარა (ლორწოიანი მცენარეა) და სხვ. ამ საგნებზე გაადვილდა ბაქტერიების ცალკე-ცალკე მოშენება, ახალშენის კულტურა.

დღეს რობერტ კოხის მეჩხებით ისე გაადვილდა რომელიმე ჭირის ბაქტერიის აღმოჩენა, რომ უკვლას, ვისაც კი ეხალისება 5—6 თვეში სწავლობს ამ დიდებულ მეცნიერებას ბაქტერიოლოგიას. ჩვენს დროს მთელ დედამიწის ზურგზე, სადაც-კი განათლების სხივმა შეაშუქა, უკვლავან ლაბორატორიებში აურაბელი მეცნიერები და ექიმები კოხის მეთოდით მუშაობენ მიკროსკოპით ხელში და მით ღამობენ აღმოაჩინის ხსნას უოველივე ჭირისა და ბაცილისაგან... შემდეგ წერილში ჩვენ ვცდებით წარმოგიდგინოთ ეს თავად უხილავი ვაჟბატონები, გაგაცნოთ ის ბაქტერიები, რომელნიც იმარჯვებენ იქ, სადაც ხალხი ცრუ რწმენით არის გაუღენთილი და თავის უმცრებით შავსა და ბნელ ცხოვრებას განიცდის. მას ვისწავლოთ, ბატონებო, ჯერ ჩვენ თითონ და მერე უქადაგოთ ჩვენს უმცრეს მოძმეთ **გზა კემმარიტებისა**, მეცნიერების შუქით განათებული.

ილ. ალხაზიშვილი.



მემკვიდრეობის და აღზრდის გაგება ადამიანის ბუნებაზე

(სამეცნიერო წერილი)*

ყოველი სულიერი არსების დანიშნულება ქვეყნად ის არის, რომ შექმნას თავისივე მზგავსი არსება და ამით უკვდავი ჰყოს თავისი მოდგმა. ბუნებას მუდმივ სახეში აქვს მთელი მოდგმის სარგებლობა და არა კერძო ინდივიდისა. სიცოცხლის ხანგრძლივობაც ყოველი ცხოველისა დამოკიდებულია იმაზე თუ რა დრო და ხანი უნდა ამა თუ იმ ცხოველს, რომ შესძლოს თავისი უმთავრესი დანიშნულება შეასრულოს ქვეყნად, ესე იგი, შექმნას რაც შეიძლება მეტი თავისივე მზგავსი არსება მოდგმის გასაძლიერებლათ. ინდივიდი მომაკვდავია, ხოლო მოდგმა კი უკვდავია. ყოველი ცხოველის, მაშასადამე, ადამიანისაც სხეულის ის უჯრედები ექვემდებარებიან სიკვდილს, რომლებიც ინდივიდის სხეულისათვის საჭირონი არიან, ხოლო ის უჯრედები კი რომლებიც გამრავლებისათვის არიან დანიშნულნი—მამრობითი და დედრობითი სქესური უჯრედები—უკვდავნი არიან.

მამრობითი და დედრობითი სქესური უჯრედების შეერთებით წარმოსდგება ახალი არსება. ამ გვარად კერძო პირი კვდება, მაგრამ სახე—მოდგმა კი უკვდავია.

მამა-კაცის და დედა-კაცის შეუღლება წარმოსდგება იმ ბუნებრივი მისწრაფებისაგან, რომელსაც ერთი სქესი მეორე სქესის წარმომადგენლის მიმართ გრძნობს.

*) საჯარო ლექცია წაკითხული ქუთ. სახალხო უნივერსიტეტში.

ეს სქესური მისწრაფება საერთოა როგორც ადამიანისთვის, ისე ყველა სულიერი არსებისათვის ქვეყნად. ეს ლტოლვილება უდიდესი ბუნებრივი გრძნობაა, ამაზე დაწყარებული ბუნებაში მოდგმათა და სახეთა უკვდავება, უკვდავება მთელი ქვეყნიერებისა. ამიტომ მამაკაცის და დედა-კაცის შეუღლება არის არა მხოლოდ გრძნობათა დაკმაყოფილება, არამედ ერთი უდიდესი და უწმინდესი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე. დიად, შეუღლება დიდი მოვალეობაა და ამიტომ ყველას გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს მისი დიადი დანიშნულება. ამიტომაცაა რომ მეცნიერებაც ამ კავშირს ასე დიდ სერიოზულ აქტით სთვლის, მამა-კაცს და დედა-კაცს ისეთი მოთხოვნებიანი და ისეთი საზომი წამოუყენა, რომელიც ხან და ხან სიმკაცრემდისინაც კი მიდის და ჩვენის აზრით მეტად გაზვიადებულიც არის. აი როგორ მსჯელობენ ზოგიერთნი მეცნიერნი ამის შესახებ!

— ვისაც არა აქვს ღონისძიება თავის შვილებს სიღარიბე ააცდინოს, ცოლს ნუ შეირთავსო, ამბობს დარვინი, რადგან ასეთი დაუფიქრებელი ცოლის შერთვით უფრო მეტად ვრცელდება სიღარიბე, რომელიც არის უმთავრესი მიზეზი ყოველი ბოროტებისაო; მეორე მხრივ კი, თუ ნიჭიერნი და წინდახედულნი კაცნი უნაყოფონი დარჩებიან, ხოლო უნიჭონი და ღარიბნი კი შეირთავენ ცოლებს და გამრავლდებიან, ამით ნიჭიერნი განდევნილნი იქნებიან უნიჭოთა უმრავლესობი-

თაო. ადამიანმა, როგორც სხვა დანარჩენმა სულიერმა არსებამ, დარვინის მოძღვრებით, თავის განვითარებას მიაღწია არსებობის ბრძოლით, რომელიც მის მსწრაფლ გამრავლებისაგან წარმოსდგა. თუ ადამიანს სურს კიდევ უფრო მეტი წინსვლა და წარმატება მუდამ არსებობის ბრძოლაში უნდა იმყოფებოდეს. ადამიანთა შორის მუდმივ ცილობა უნდა იყოს და გამარჯვება ნიჭიერთ და მათ შთამომავლობას უნდა დარჩეს.

— ამ გვარივე აზრი წარმოსთქვა დარვინის მეორე თანამოაზრემ ჰეკელმა. ეს მეცნიერი ამტკიცებს, რომ სულიერთა და მცენარეთა შორის მხოლოდ მცირე რიცხვი უძლებს სავსებიდ არსებობის ბრძოლას, უმრავლესობას კი არა აქვს საკმარისი ძალ-ღონე და ადრე თუ გვიან იღუპება. მკაცრი და უღმობელი ბრძოლაა ქვეყნად, ამას ვერაფერ ვერ უარ-ჰყოფს, სააქაო მეჯლისზე წვეულნი ბევრნი არიან, ხოლო ღირსეულნი კი ძლიერ მცირეო...

— აქედგან სჩანს, რომ თუ ქვეყნად ესეთი სასტიკი ბრძოლაა არსებისათვის, მაშ. საჭიროა, რომ შეუღლება მოხდეს ისეთს მამა-კაცს და დედა-კაცს შორის რომელნიც სრულებიდ საღნი არიან, როგორც სულიერად ისე ფიზიკურად, ერთი სიტყვით ისეთნი, რომ შექმნან ძლიერი შთამომავლობა რომელსაც შეეძლოს არსებობის ბრძოლის გაძლოლა.

მართლაც, ადამიანი დაბადებისთანავე არსებობის ბრძოლაშია, მხოლოდ სიკვდილი უღებს ბოლოს ამ ბრძოლას. მაგრამ ამ საყოველთაო ბრძოლაში კიდევ უფრო უსაშინელესია ბრძოლა სხვა და სხვა გვარ ავთმყოფობებთან, და ამ გვარ განუწყვეტელ ბრძოლაში გამარჯვებული ის

არის, ვინც ძლიერია სულით და ფიზიკური აგებულებით.

— ძლიერ და საღ მამა-კაცს და დედა-კაცს ძლიერი შთამომავლობა ჰყავთ, ხოლო ავთ-მყოფ ცოლ-ქმარს ავთ-მყოფი შვილები გაუჩნდებათ, სულის და სხეულის სიძაბუნე მემკვიდრეობით შთამომავლობაზე გადადის. მემკვიდრეობა კი არის აუცილებელი და უდიდესი ბუნებრივი კანონი, რომლის ძალით ყოველი სულიერი არსების უმთავრესი თვისებანი შთამომავლობას გადაეცემა.

— ამ თვისების—მემკვიდრეობის წყალობითაა, რომ ქვეყნად განუწყვეტლივ მიმდინარეობს სხვა და სხვა გვარ სულიერთა არსებობა.

თუმცა მემკვიდრეობა კონსერვატიული თვისებაა, რომლის ძალით შთამომავლობაში წინაპართა თვისებანი მკვიდრდება, მაგრამ ამავე დროს ამ ძალის წყალობითვე შესაძლო არის არსებათა წინ-სვლა და განვითარება. მართლაც, მემკვიდრეობის ძალა გადასცემს არსებას იმ სასარგებლო და არსებობის ბრძოლაში გამოსაყენებელ თვისებებს, რომლებიც მის წინაპრებს შეუძენიათ ბერჩევის კანონის წყალობით. თუ ევროპიელი ბავშვი დაბადებისთანავე განირჩევა ველური კაცის ბავშვისაგან თავისი გარეგანი აგებულებით და სულიერი თანდაყოლილი ძალით — ეს მხოლოდ მემკვიდრეობის გავლენით უნდა აიხსნას.

— ის გვარი მემკვიდრეობისა, რომელიც იმით აღინიშნება, რომ შთამომავლობით გადადის გარეგანი თვისებათა მზგავსება—ტანის, სახის მოყვანილობა, კანის, თმისა და თვალების ფერი ადვილი გამოსაცნობია და ყველამ იცის. ხოლო რაც შეეხება პსინხოლოგიურს, ესე იგი სულიერ მხარეს მემკვიდრეობისას, იგი

უფრო რთულია. სხვა და სხვა მეცნიერთა გამოკვლევებიდან აღმოჩნდა და დამტკიცდა, რომ სულიერი მიდრეკილებანი, ქკუა-გონების სისუსტე და სიძლიერე, ნიჭი, ფიზიკური სიმანხიჯე და ბევრი სხვა და სხვა გვარი ავით-მყოფობანიც ემორჩილებიან მემკვიდრეობის კანონს. სიკლექეს, სიფილისს, მრავალ სხვა და სხვა გვარ სულით-ავითმყოფობას, ხასიათის სისუსტეს, სულიერ უთანასწორობას მეცნიერებამ სათავეში მემკვიდრეობის გავლენა უპოვა; დღეს სხვა ფაქტორთა შორის მემკვიდრეობას განსაკუთრებული ძალა და გავლენა ადამიანის ბუნებაზე უკვე დამტკიცდა. დედ-მამის ხორციელი და სულიერი თვისებანი მემკვიდრეობით აჩნდება შვილებს. ასეთია ბიოლოგიური კანონი. მამები მჟავესა სჭამენ და შვილებს კბილები აქვს მოკვეთილიო, იტყოდნენ ძველი ებრაელები; ხოლო ჩვენმა ხალხმა კი სთქვა: მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოიხატე.

ერთს დაპყვება სულის შეურყეველი სისწორე, ხასიათის განწყობილება, ფიზიკური სიძლიერე, ამტანი ყოველ გვარ ცუდი გარემოებისა, ხოლო მეორეს კი იმ გვარი სულის სიმსუბუქე, რომ ცოტა რამ არის საჭირო მისი შერყევისათვის ან და ისეთი ფიზიკური სენი, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ მისი წინაპრები.

შეიძლება სალი დედ-მამის შვილები სხვა და სხვა ცუდი გარემოებათა გავლენით უძლურნი შეიქმნენ, მაგრამ ის კი იშვიათია, რომ ჭირიან და სულით-ავით-მყოფ დედ-მამას სრულებით სალი და ძლიერი აგებულების შვილები ეყოლოთ. შვილს თუ არა შვილის-შვილს მაინც უწევს დედ-მამის ცოდო. ნერვების სისუსტე, ბნედა, ისტერია, სულით-ავით-მყოფობა, ლოთობა, ფიზიკური სიმანხინ-

ჯე და სიძაბუნე, აი ეს ის განძია, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ სუსტი და გადაგვარებულთა მამა-პაპანი. საკმარისია მამა მხოლოდ ქორწინების ღამეს დაითვრეს, რომ შვილი სულით ავითმყოფი გაუჩნდეს. ხანში შესულ დედ-მამასაც ხშირად ეყოლებათ სულით და ფიზიკურად გადაგვარებული შვილები.

როგორ სწარმოებს სახელდობრ და ნიშნობლივ მემკვიდრეობის კანონი, ჯერ მედიცინამ რიგიანად არ იცის, ჯერ სავსებით ვერ არის გამოკვლეული. არსებობს მოსაზრება რომ მემკვიდრეობა გამოისახვის ორგანიულ წვლილებაში, იმ ელემენტებში—უჯრედებში, რომლებსგან შესდგება ადამიანის ტვინი და სხეული. აი მემკვიდრეობის კანონები:

ა) მემკვიდრეობა პირდაპირი, როდესაც დედ-მამა თანასწორად გადასცემს თავის შთამომავლობას თავის უმთავრეს თვისებათ.

ბ) მემკვიდრეობა უპირატესობისა—მამა გადასცემს თავის თვისებებს ვაჟს და დედა ქალს; ან მამა ქალს და დედა ვაჟს.

გ) მემკვიდრეობა უკუმოქცევეთი—ატავიზში, როდესაც მამის თვისებანი შვილზე კი არ გადადის, არამედ შვილის შვილზე, ასე რომ შვილის-შვილი უბრუნდება პაპის თვისებებს.

დ) მემკვიდრეობა, რომლის ძალით რომელიმე მემკვიდრეობითი თვისება შთამომავლობის ერთს რომელიმე ასაკში გამოაჩნდება.

ასეთია ულმობელი კანონი მემკვიდრეობისა. ამ მემკვიდრეობის წყალობით მოხდა კაცობრიობის თანდათანობითი განვითარება და ბოლოს მიღწევა იმ გასაოცარ სულიერ და ზნეობრივ განვითარებამდე, რომელზედაც იგი დღეს დგას, მაგრამ ამასთანავე მემკვიდრეობის გავლენ-

ით მიძიმდება და იტვირთება საზოგადოება სხვა და სხვა ავთომყოფობით, ხორცილად და სულიერად გადაგვარებული ქვერები, რომლებიც აფერხებენ მის მნიშვნელობას და კეთილდღეობას.

აქედგან ნათლად სჩანს, თუ მართლაც საჭირო ყოფილა სისაღე იმ მამა-კაცისა და დედა-კაცისა, რომლებიც გაიზარავენ შეუღლებას, ვინაიდან მათ უწინარეს ყოვლისა უნდა ახსოვდეთ, რომ შეუღლება არის არა ვნებათა დაკმაყოფილება, არამედ დიდი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე, წინაშე თავისი სვინიდიის და შთამომავლობისა, ამიტომ ვისაც გულში უღვივის გრძობა საერთო ინტერესის და სიყვარულისა, გრძობს და იცის თავისი მანკიერი შთამომავლობა და აგებულება, თუ ღონე შესწევს, უნდა უარჰყოს სრულებით ცოლ-ქმრობის კავშირი და მანკიერი შთამომავლობის შექმნა.

წარმოიდგინეთ, ზოგი იმ აზრისაა, რომ კანონის ძალით უნდა აეკრძალოს ამ გვარ პირებს შეუღლება. ჩვენ კი კერძოდ იმ აზრისა ვართ, რომ ესეთი კანონი მიზანს ვერ მიაღწევს. მხოლოდ საჭიროა შეგნება თავისი ზნეობრივი მოვალეობისა და შეაჩერებს ამ გვარ მანკიერ შეუღლებას მხოლოდ და მხოლოდ ესეთი შეგნება და არა კანონის ძალის დატანება. ეს ისეთი რთული და ძნელი საკითხია, რომ ძალდატანებით ვერას გახდებით. მართლაც, ვის აქვს ნება ძალა დაატანოს და ააღებინოს ხელი ადამიანს, თუნდაც იგი მანკიერი შთამომავლობის იყოს, პირად ბედნიერებისაგან; ადამიანის ბუნება ეგოისტურია, მას პირადი ბედნიერება სწყურიან, დიდად განვითარებული უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივ, დიდად შეგნებული უნდა ჰქონდეს საზო-

გადოებრივი ინტერესი, რომ დასთრგუნოს და მოიკლას ეს სურვილი და პირადი ბედნიერება შესწიროს საზოგადოების ინტერესს.

მეცნიერი უელესის აზრით როდესაც სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაშინ ბრძოლა არსებობისათვის კაცთა-შორის უფრო შესუსტდება, ქალთა მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდება, ქალები ეკონომიურად დამოუკიდებელნი შეიქმნებიან მამა-კაცებისაგან, მაშინ იგინი თავს დააღწევენ იმ მონურ მდგომარეობიდან, რომელსაც ღღეს განიცდიან, შეიქმნიან დამოუკიდებელნი და თავისუფალნი წევრნი საზოგადოებისა; აი სწორედ მაშინ ქალი ქმრის შერთვის ღროს უფრო მეტს არჩევანში შევა. ღღეს ქალი თუ მისდევს ფიზიკურად და სულიერად მაზინჯს მამა-კაცს, ეს იმიტომ რომ იგი ლუკმა პურისთვის ჩადის ამ მის ღირსებისთვის დამამცირებელს საქციელს; დასამცირებელია, რასაკვირველია, ეს მამაკაცისთვისაც, რომელიც სარგებლობს ამ შემთხვევაში თავის სოციალური და ეკონომიური უკანონო უპირატესობით. როდესაც დედა-კაცი განთავისუფლდება რა ამ ღღევანდელ სოციალურ მონობისაგან, არ იქნება ცხოვრებით იძულებული ავით-მყოფ მამა-კაცის მეუღლეთ შეიქმნეს, მაშინ უვარგისი მამა-კაციც უნაყოფო დარჩება და ამ გვარად საზოგადოება ამ მხრივ განთავისუფლდება მანკიერა წევრისაგან და თან და თან საღი შეიქმნება.

ესლა ჩვენ უნდა შევეხოთ ფრიად დიდ საკითხს: შესაძლოა ბრძოლა, გასწორება და შევლა იმ არსებისა, რომელიც მანკიერი შთამომავლობისაა თუ არა? შესაძლოა ბრძოლა იმ თანდაყოლილი მანკისა სულიერი და ზნეობრივია იგი თუ ფიზი-

კური, შეგვიძლია იმ ცოდნის და გამოცდილების წყალობით, რომლითაც დღეს ადამიანი აღჭურვილია, აღმოვფხვრათ ადამიანის არსებაში მემკვიდრეობით თანდაყოლილი და გადმოცემული ბუნებრივი სისუსტე და შევქმნათ სუსტიდან ძლიერი და მაგარი არსება თუ არა?

აი საკითხი ფრიად საგულისხმო ყოველი შეგნებული ადამიანისთვის, საზოგადოების ნამდვილი წევრისთვის. დიადი საკითხი, ვინაიდან საერთო წარმატება, წინმსვლელობა საზოგადოებისა მაშინ არის უზრუნველ ყოფილი, როდესაც იგი შესდგება საღ ბუნებოვან წევრებისაგან.

მე აქ არ შევენები სხვა და სხვა ავთ-მყოფობათა მემკვიდრეობითი გარდაცემას, როგორც მაგალითად ჭლეტი, სიფილისი და სხვა ამ გვარი ავთ-მყოფობაა, ეს მერმისში შეადგენს განსაკუთრებულ ლექციას, რომელსაც მე შემდეგში მოვახსენებთ, დღეს მხოლოდ განზრახული მაქვს შევეხო ადამიანის ბუნების ზნეობრივ და სულიერ მხარეს. ვეცდები განვმარტო რამდენად ცვალებადია ეს მხარე ადამიანის ბუნებისა, რამდენად შესაძლოა შევცვალოთ თანდაყოლილი სულიერი და ზნეობრივი მიდრეკილებანი; რამდენად შესაძლოა ბრძოლა მემკვიდრეობის გავლენასთან და ძალასთან, ესე იგი რით? აღზრდით და შესაფერი ცხოვრების გარემოებათა ზეგავლენით!

უწინდელ დროში როდესაც მემკვიდრეობის კანონი, მისი გავლენა შთამომავლობაზე არ ჰქონდათ ჯერ შესწავლილი, ადამიანის სულიერი და ზნეობრივ მხარეზე სულ სხვა წარმოდგენისა იყვნენ. წინად ფიქრობდნენ რომ ჰკუთ-გონება, ნიჭი, ზნეობრივი და სულიერი სიძლიერე ადამიანისა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ იქნებოდა აღზრდილი ადა-

მიანი სიყრმიდგანვე. ბავშვის სულიერი არსება—ეს დაუწერელი დაფაა, ამბობდნენ იგინი, რომელზედაც აღზრდელს რაც უნდა იმას დასწერს, ესე იგი ჩაუნერგავს გულში იმ დედა-აზრებს, რომლებსაც ის საუკეთესოთ სთვლის.

შემდეგ კი, როდესაც უფრო დაუკვირდნენ ადამიანის ბუნებას, გამოიკვლიეს სხვა და სხვა ბიოლოგიური კანონები, განსაკუთრებით კი მემკვიდრეობის კანონი და მისი გავლენა ადამიანის ბუნებაზე, დარწმუნდნენ რომ ეს აზრი უსაფუძვლოა.

დღეს გათვალისწინებული გვაქვს ყველას ძლიერი ძალა მემკვიდრეობისა, სხვა და სხვა სულიერი თვისებების მემკვიდრეობითი გადაცემა შთამომავლობაზე. ბავშვი რო დაიბადება მას თან დაჰყვება ის სულიერი და ზნეობრივი მასალა, რომლისაგანაც შემდეგ ხასიათი მკვიდრდება. მაშასადამე ის აზრი, რომ ბავშვის ბუნება დაუწერელი დაფაა, უსაფუძვლო შეიქმნა და უწინდელ მეცნიერთა აზრი და რწმენა აღზრდის შესახებ ფრიად გაზვიადებული; ეს აზრი შეიცვალა და დაუთმო მეორე უკიდურესობას, ესე იგი იმას, რომ აღზრდას სრულებით ყოველივე მნიშვნელობა მოაკლეს.

აღზრდას არავითარი ძალა აღარ აქვს, ამბობდნენ ისინი, რადგანაც ადამიანს დაბადებისთანავე თან დაჰყვება ყოველი სულიერი თვისება ზოგი კი სრულებით მოკლებული; მაგალითად ერთი სულით ძლიერი, მეორე კი მოკლებული ზნეობრივ თვისებათა- ზოგი კი ავაზაკიც. ამ აზრის წარმომადგენელთა შორის უნდა დავასახელოთ გამოჩენილი მეცნიერი ლომბროზო, რომელიც თვის შესანიშნავ მეცნიერულ გამოკვლევაში ცდილობს დავიმტკიცოს, რომ ზოგი ადამიანი მემ-

კვიდრეობის ზეგავლენით ბუნებრივი ავაზაკია—დამნაშავეა. ამ გვარ ადამიანს, ლომბოზოს აზრით, თანდაყოლილი აქვს უზნეო მიდრეკილებანი, მას ვერავითარი აღზრდა ვერ გაასწორებს და ვერ აღმოფხვრის მის ავებულებიდან ცუდ ბუნებას, ამიტომ ერთადერთი საშუალება, რომელიც დარჩენია საზოგადოებას—განდევნოს იგინი თავის წრიდგან და ამით თავი დაიხსნას მათი ცუდი ყოფაქცევისაგან. ამ გვარ ბუნებრივ დამნაშავე პირს სათავეში ლომბროზომ უპოვა მანკიერი წინაპრები—ლოთები, გარყვნილები, ავაზაკები და სულით-ავათმყოფნი; ამ გვარი მემკვიდრეობით ახსნა მათი თანდაყოლილი ავაზაკობა.

თვით დიდებული ფილოსოფოსი ვოლტერიც კი ადამიანის ბუნებას შეუცვლელად სთვლიდა. ადამიანს რომ თავისი ხასიათის გამოცვლა შეეძლოს, ამბობს ფილოსოფოსი, მაშინ ის იმისთანას აირჩევდა, რომელიც მას თვითონ მოეწონებოდა, ბუნების სრული ბატონი შეიქნებოდაო. აბა, სცადეთო, განაგრძობს ვოლტერი, და ზარმაცს ჩაუნერგეთ მუშაობის სიყვარული და მხნეობა, სიცოცხლით სავსე ადამიანი კი მოადუნეთო; ეს ისე მოუხერხებელია, მისი აზრით, როგორც შეუძლებელია, რომ ბრმას თვალი აუხილოთ.

ბევრი სხვა სახელოვანი მეცნიერი შეგვეძლო დაგვესახელებინა, რომელიც ამ გვარი აზრისაა და ექვობს და ზოგიც კი სრულებით უარჰყოფს იმ აზრს, ვითომ შესაძლებელი იყოს ადამიანის სულიერი არსებათა შეცვლა.

ხოლო მეცნიერება, აღმზრდელთა და მთელის კაცობრიობის გამოცდილება და ჩვენი შეგნებაც იმას გვიჩვენებს, რომ ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება ემორ-

ჩილება რა მემკვიდრეობის ზეგავლენას, მასთანავე, როდია ისეთი რამ, რომელიც სრულებით უცვლელი იყოს, შესაძლოა ზოგიერთი მემკვიდრეობით თანდაყოლილი სულიერი თვისებანი მხოლოდ შევასუსტოთ, ზოგიც სრულებით აღმოვეფხვრათ, იქნება ისეთი თვისებაც, რომელიც მეტად განავითაროთ და მეტი ძალა მიეცეთ.

დარვინი ამტკიცებს, რომ ყოველი სულიერი არსება იმას ცდილობს, რომ ცხოვრებას შეეწყოს, შეეფარდოს და შეეთვისოს, ხოლო ამ ცდას შედეგად ორგანოებისა და ინსტინქტების ცვლილება მოსდევს და ამ გვარად შთამომავლობა იძენს ახალ თვისებებს.

ყოველი ადამიანის სულიერი და ზნეობრივი მხარე ერთის მხრივ მემკვიდრეობის შედეგია, დაბადებით თანდაყოლილია, ხოლო მეორე მხრივ კი ცხოვრებაც იჩენს იმაზე ძალას. ცხოვრების ცუდ გარემოებას შეუძლიან ადამიანი სულით დაავადოს, სულიერად უთანასწორო შექმნას, შესძინოს ახალი მიდრეკილებანი, რომლებიც მას მემკვიდრეობით არ დაჰყოლია, როგორც, მაგალითად, ლოთობა, თამბაქოს წევა და სხვა უზნეო ყოფაქცევა. ესევე ითქმის ცუდ აღზრდის შესახებ, თუ ბავშვი არ არის მიჩვეული თავის შემავრებას, ყოველი მისი სურვილი მუდამ დაკმაყოფილებულია, ცოტა რამ არის საჭირო, რომ გაანჩხლდეს ან სასოება წარიკვეთოს, ასეთი ადამიანი მოკლებული იქნება ყოველ სულიერ ძალას; ცხოვრებაში ის მუდამ მონა და მორჩილი იქნება თავისი ხასიათის ცუდი თვისებებისა. მხოლოდ მუდმივი ბრძოლის წყალობით შეგვიძლიან დავთურგნოთ ჩვენი ნაკულოვანებანი, გამარჯვება მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი,

როდესაც სული სძლევს, როდესაც გონება ბრძნებას აძლევს, ხოლო სხეული კი ემორჩილება. ფილოსოფოსი სოკრატის მთელი სიცოცხლე აგებული იყო საუცხოვო ზნეობრივ საძირკველზე, თავისი სიცოცხლეც კი შესწირა ამ მაღალ დედა-აზრებს, და აი ასეთი ძლიერი კაციც კი იტყოდა ხოლმე, რომ ბუნებით თან დამყვა ბევრი ცუდი და უზნეო თვისებაო, რომელიც დიდის და ხანგრძლივი სულიერი ბრძოლის შემდეგ აღმომეფხვრა ჩემი არსებიდან. ფილოსოფოსმა კანტმა: სთქვა ძილში ვიყავ და მეგონა— სიცოცხლე მხოლოდ ნეტარებაა, გამომედვიძა დავინახე, რომ იგი მხოლოდ მოვალეობის ასრულებაა.

მუდმივი შთაგონებით მემკვიდრეობით თანდაყოლილი მავნე თვისებანი აღზრდამ უნდა შეასუსტოს და თუ შეიძლება სრულებით აღმოფხვრას ბავშვში, ხოლო კარგი თვისებანი განუვითაროს, გაუცხოვლოს. აღზრდის შედეგად ადამიანის სულიერი ძალის მიერ სხეულის ვნების დამორჩილება უნდა მოჰყვეს. ბავშვს აღზრდამ უნდა გაუძლიეროს გაუმაგროს ნება და თუ ნება—ეს სულიერი ძალა სუსტი შერჩა, მაშინ იგი ცხოვრებაში მუდმივი ყურ-მოჭრილი მონა იქნება თავის ვნებათა, ცუდი სულიერ მიდრეკილებათა, მაშინ მას არ ექნება ძალა თავის შეკავებისა.

ფილოსოფოსი რუსსოს აზრით ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა ისე აღიზარდოს, რომ იგი შეიქმნას საღი სულიერ აგებულებისა და ძლიერი ნებისა. ფილოსოფოსის აზრით რაციონალური აღზრდა მაშინ უნდა დაიწყოს, ისე ადრე, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ ძუძუთაა. აი ამ ნორჩ არსებაში ფილოსოფოსი ხედავს უკვე სკამარის სულიერ მასალას, საიდგანაც თან-

დათან უნდა შესდგეს ხასიათი; ეხლავე მიაქციეთ ყურადღება, განაგრძობს იგი, ამ თავითვე ეცადეთ მიაჩვიოთ ბაღლი თავის შეკავებას, მოთმინებას და თავის დაჭერას; იცოდეთ რომ თუ ბავშვი სტირის—ეს ორი მიზეზია მისი ტირილისა, პირველი რომ მას შიან, მეორე კი თუ იგი მადღარია—მუცელი სტკივა ან სხვა რამ ტკივილი აქვს. ჩაუკვირდით და ეცადეთ გაიგოთ ტირილის მიზეზი, ეცადეთ რომ ბავშვმა არ იჭინჭულოს; ზოგი დედა, როგორც კი ბავშვი იტირებს, გასაჩუმებლათ მაშინვე ძუძუს ჩაუდებს პირში, ეს ფილოსოფოსის აზრით რყვნის ბავშვს, ხდის მას უზნეოთ, აძლიერებს მასში თვით-ნებობის ძალას და ეხლავე იწვევს უხასიათობას. მიაჩვიეთ ბავშვი დანიშნულ დროზე ძუძუს წოებას, ეს აჩვევს ბავშვს ეხლავე წეს-რიგს. მიექცეთ ბავშვს დიდის მოთმინებით, თავ-დაჭერით, სულიერი სისწორით, მაგრამ იმის ნებას ნუ მისცემთ, რაც თქვენის აზრით ამ წუთში მეტია და საჭირც არ არის მისთვის, თუნდაც ეს მცირე და ძლიერ უბრალო რამ იყოს. ნუ მიაჩვევთ ბავშვს ფუფუნებას, ღორმუცლობას, მიაჩვიეთ სიცივესაც, სიცხესაც, ვინაიდგან ეს აუძლურებს მის სხეულს, ხოლო უძლურ სხეულში—სულიერი მხარეც უძაბუნდება. ეცადეთ, ბავშვი ისე გაზარდოთ, რომ მასში მერმისში შეიქმნას ძლიერი ნების არსება. ისე გაზარდეთ ბავშვი, თუ გინდათ რომ ის თავისუფალი იყოს, რომ მას არ ჰქონდეს არავითარი ჩვეულება, თორემ რომ შევა ასაკში თავის ჩვეულებების მონა შეიქნებაო. დიად, მართალია რომ „ყოველი მზგავსი მზგავსა შობს, ასე ბრძენთაგან თქმულია“, მაგრამ ისიც გამოორკვეულია, რომ აღზრდის წყალობით, კეთილი შთაგონებით, დახელოვნებით, პა-

ტიოსან და განათლებულ საზოგადოების წევრია და შესაფერ გარემოებებში მყოფი ადამიანი სწორდება ზნეობრივ, იძენს სულიერს ძალას და ნებას, რომლის წყალობით იგი სძლევს იმ მემკვიდრეობით თანდაყოლილ მანკიერებას, რომელიც მას მამა-პაპათა უნდვრძეს.

ჩემი მოხსენება სრული არ იქნებოდა, რომ ერთი გარემოებაც არ აღმენიშნა აქ, რომელმაც შესაძლოა ცოტა დისონანსი შეიტანოს იმ ოპტიმისტიურ დასკვნაში აღზრდის შესახებ, რომელიც მე აქ მოგახსენეთ.

მე მსურს აღვნიშნო, რომ იქნება ისეთი შემთხვევაც ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ისეთი ადამიანის ბუნებაც, როდესაც აღზრდას, თუნდაც ძლიერ რაციონალურს არავითარი კეთილი შედეგი არ მოაქვს და სრულებილ უძლურიცაა. დიად, იქნება ასეთი შემთხვევაც! ეს მაშინ როდესაც თქვენ გაქვთ საქმე თვით პიროვნებასთან, რომელშიაც სამწუხაროთ ეს სულიერი და ზნეობრივი სულიერი მასალა ბუნებით თანდაყოლილი სრულებილ აღარ არსებობს მასში. ასეთი პიროვნება წარმოადგენს ავადმყოფს—გადაგვარებულს არსებას. ამგვარი გადაგვარებული—დეგენერატი მოკლებულია ყოველივე ზნეობრივ წარმოდგენას ანუ როგორც ფრანგი—მეცნიერი ეძახიან, არის ზნეობრივ ბრმა ადამიანი. ესეთი სულით ავადმყოფი ადამიანის ბუნება შედეგია ძლიერ მძიმე მანკიერ მემკვიდრეობისა, რომელიც, განსაკუთრებით, ცუდ გარემოებათა გავლენით გაძლიერებულმა მანკიერებამ შექმნა გადაგვარებული შთამომავალი. ესეთი არსება როგორც გონებრივ ისე ზნეობრივ იდი-

ოტია; ასეთს სულით ავადმყოფს ზნეობრივი გადაგვარების ნიშნები უფრო ადრე გამოაჩნდება ვიდრე შეატყობდნენ ჰკუგონების სისუსტეს და მეხსიერების სიჩლუნგესა. ზნეობრივი სულით ავადმყოფი მოკლებულია მეგობრობის და ნათესაობის სიყვარულის გრძობას; არ ესმის მშობლიური სიყვარული, იგი მხოლოდ ეგოისტური გრძობით არის გატაცებული, გულცივია, ბოროტის და სასტიკის ხასიათისა. ამისთანას ბავშვობითვე ეტყობა უხასიათობა, დაუჯერებელია, ანჩხლი და ჯიუტია; თავის ტოლებში განირჩევა სიზარმაცით, სიცრუით და გარყენილობით. ისეთი გრძობები როგორც არის სიყვარული, პატიოსნება, თანაგრძობა მისთვის სრულებით გაუგებარი გრძობაა. რის გაღვიძება შეუძლია ამგვარ არსებაში აღზრდას, როდესაც ის სრულებილ მოკლებულია ბუნებით ზნეობრივ ძალას.


საბედნიეროდ ამგვარი პიროვნება, რომელშიც არავითარი სულიერი მასალა არ არის თანდაყოლილი ბუნებით, იშვიათი მოვლენაა, შეადგენს გამონაკლისს, აღზრდაც სრულებით უძლური და უნაყოფოა, ვინაიდან „არა-რაიდგან არა რა წარმოსდგების რა“

საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ რაციონალურ აღზრდაზეა დამყარებული ადამიანის ხასიათის ჰარმონიული განვითარება და კაცობრიობის განკარგება.

ვათავეთ ჩვენს ლექციას დიდებული ბეკონის სიტყვებით:

აღზრდა ასწორებს ადამიანის ბუნებას და იმორჩილებს მას.

ექიმი ბადრიძე.



თავ. გრიგოლ ორბელიანი

და

რომანტიული მიმართულება ქართულს ჰოეზიაში

(გუძღვნი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. კ. ნ. აფხაზს)

მიდრე გრიგოლ ორბელიანის ჰოეზიის განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროთ ვრაცხთ შეგვიხატოთ მოკლედ ორს დიდს მიმართულებას მსოფლიო მწერლობაში: ცრუ-კლასიკურს და რომანტიულს, რომელთა გაფლენა ქართულ მწერლობაზე ეჭვ დაუდებელია. მით უმეტეს საჭიროა ამ ორი მიმართულების განხილვა, რომ ქართულს მწერლობაში მათ შესახებ ნაკლებად შეხვდებით წერილებს... რომანტიული მიმართულების კვალი ცხადათ სჩანს ქართულს ჰოეზიაში... ჩვენი ჰოეტები გრ. და ვანტ. ორბელიანები რომანტიკოსები იყვნენ... ნიკ. ბარათაშვილისაც ემჩნევა რომანტიზმის გაფლენა... რომანტიზმის კვალი ამჩნევია ილიას და აკაკის ჰოეზიასაც...

ცრუ-კლასიკური მიმართულება. რას უწოდებენ კლასიციზმს? ეს სიტყვა წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან: „classici“... მეფის სერვიოს ტულდის ჟამს (578—534 წლ. ქრ. წინეთ) ამ სახელს უწოდებდენ ეგვიპტე უფრო მდიდარს კლასს რომის მოქალაქეთა შორის მეუთხმეტე და მეოთქმეტე საუკუნეში. დასავლეთ ევროპაში მოხდა ესრედ წოდებული განხლება, რომელიც იყო შედეგი ძველი საბერძნეთის და რომის ცხოვრების შესწავლისა... ამ შესწავლის მეოხებით ხალხმა გამოიღვიძა, დაგმო ძველი წესები და მიაშურა იმ ტაძრისკენ, რომელშიც გაისმოდა პირიქების თავისუფლების შესახებ მოძავრი დადებისა... ამ გარემოებამ მეტად იმოქმედა როგორც მეცნიერებასა, ისე ხელოვნებასა და საზოგადოებრივს ცხოვრებაზე. მათში ცხადათ

გამოჩნდა ახალი იდეა, ახალი შინაარსი, ახალი მითხვენილებანი... ამ ეპოქას ერქვა ეპოქა „რენესანსისა“... სწორედ ამ დროს კლასიკოსებს ეძახდნენ რომაულ ლიტერატურის „ოქროს საუკუნის“ მწერლებს, რომელთა ნაწარმოებნი მდიდარნი არიან როგორც აღნაქვისის, ისე გარეგან გამოხატულების მხრით (მუსიკალური, შენივრათ შემუშავებული ენა)... ასეთი მწერლები იყვნენ ბერძენთა შორის ჰომეროსი და რომაელთა შორის ოვიდიოსი, ვირგილიოსი, ჰორაციოსი, ციცერონი და სხვ... შემდეგში კლასიკოსებს უწოდებდნენ ეგვიპტე-ნიოს მწერლებს... მაშასადამე, კლასიკური ნაწარმოები ისეთი ნაწარმოებია, რომელიც სამაგალითთა, ფასდაუდებელია როგორც აღნაქვისის (იდეა, საგანი), ისე გარეგანი გამოხატულების მხრით... ქართულ ძველ მწერალთა შორის, მაგალითად, კლასიკოსია—**შოთა რუსთაველი**... ძველი (ბერძნულ-რომაული) მწერლობის შესწავლამ წარმოშობა კლასიციზმი ევროპაში... ამ მიმართულების მოციქულნი საჭიროთ სთვლიდნენ ძველი მწერლების შესწავლას და ამ შესწავლას ახალ-განათლების ქვაკუთხედათ დასახავდნენ... განსაკუთრებით კლასიციზმი განვითარდა საფრანგეთში, რომლის სიტყვა-გაზმულს მწერლობაში აღორძინდა ცრუ კლასიკური მიმართულება, რაც გამოიხატებოდა ძველ-მწერალთა მიბაძვაში. ცრუ კლასიკური მიმართულების მწერლები სესხულობდნენ ძველი მწერლებისაგან აღნაქვისს, სახეებს და შემოქმედების შემართვას... ცრუ კლასიკოსების ნაწარმოებში მკითხველს ხვდებოდა ბერ-

ძნულ რომაული სახელები (აქილესი, ჰექტორი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა), ხოლო მისი შინაარსი იყო ქრისტიანული, ფრანგული, თანამედროვე. სწანს, რომ ნაწარმოებს ჰქონდა მხოლოდ ძველი ფორმა და შინაარსი კი თანამედროვე. თეორიული ცოდნა ცრუ კლასიკური მიმართულების შესახებ მოგვცა მწერალმა ბუალამ (1638—1711 წწ.) თავის: „l'art poetique“-ში. პირველი დებულება ამ ნაწარმოების ისაა, რომ ჰოეტმა უნდა მიბაძოს ბუნებას, რომელსაც დიდი ადგილი უჭერს ძველ მწერლებში. მეორე დებულება: ბერძნულ-რომაული მწერლები გამოხატავდნენ მართვული კლასების და მოქალაქეთა ცხოვრებას. ბუალას აზრით, თანამედროვე მწერლებმა უნდა დაგვისურათხატონ უმთავრესად ცხოვრება სამეფო კარისა და ქალაქისა, რასაც შეუძლია მოგვცეს კარგი სამეტყველო კაილოს მაგალითები. მესამე დებულება: ფორმა და სტილი (ენის სიაგ-კარგე)—უმთავრესია ჰოეზიაში. მეოთხე დებულება: ბუალას სიტყვით, რაც უნდა უმაღლესი აზრი სთქვა, თუ მის გამოთქმით სიენა იქნება შეურაცხყოფილი, მას არავითარი გავლენა ექნება... ნაწარმოების შეთხზვასა და დაფასებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გონებას, რომლის მეხებით ჰოეტურს ნაწარმოებს ეძლევა ფასი. ამის გამო ჰოეტური ხელოვნების შესწავლა შესაძლებელია, თუკი საამისოდ შეითვისებ მის წესებს. კერძოთ ბუალას აზრით, ეპოსში უნდა ყოფილიყო უსათუოდ მოწოდება, მიმართვა და სიტყვა: „ემდერნი“, ის სიტყვა, რომელიც ჰომიროსის „ილიადა“-ს პირველ სტრიქონშია ნახმარი. მოწოდებაში ჰოეტი მიმართავდა მუზას, ანუ ჰოეზიის მფარველს დამრთს და ან დაუსრულებელს სიბრძნეს, თუმცა ქრისტიან მწერალს არ სწამდა არც მუზა არც სხვა დამრთები ბერძნ-რომაელთა (აპოლონი...). ლირიკულს (ჰოეტის გრძობათა გამომხატველ ლექსში) ნაწარმოებში ჰოე-

ტები ხმარობდნენ განზრახ შეკეთებულ ფრანგებს, გამოხატავდნენ უაღბს აღტაცებას და სხვა... დრამატიულს ნაწარმოებში (დრამა, ტრაგედია და კომედია) ჰოეტებს არ უნდა ედღაღტნათ სამი ერთობისთვის: ადგილისა, დროისა და მოქმედებისა. დრამატიული მოქმედება უნდა დაწყებულიყო და გათავებულიყო ოცდა ოთხს საათში, ერთსა და იმავე ადგილს. შინაარსი (აღნიჭვისი) დრამატიული ნაწარმოებისა უნდა ყოფილიყო ადებული ბერძნულ-რომაულ ზღაპარ-თქმულებათაგან (მითები) და ან თურქთა ცხოვრებიდან. ცრუკლასიკურ ნაწარმოებთა შინაარსი არ იყო შეფარებული საფრანგეთის თანამედროვე ცხოვრებასთან და და სოფელ-მხედველობასთან (XVI—XVIII სუკ.) ცრუ კლასიკური მწერლები ემორჩილებოდნენ საზოგადო სავალდებულო წესებს, რომელნიც აქარწულებდნენ ჰოეტის ფანტაზიას (გამოსახვის ნიჭს) და მის გრძობათა ლტოლვას, მის სულის კვეთებას. შემოქმედებითი ნიჭი და ხელოვნებითი შემოქმედება სავალდებულო წესების მეხებით დაჩაგრული იყო. მწერლების მიერ გამოხატული ქვეყანა უფრო მათი აზროვნების ნაყოფი იყო, მდგომი სივრცისა და დროს გარეშე. მოქმედი პირებიც არ ეკუთვნოდნენ არც ერთს ეპოქას. ცრუკლასიკური მიმართულების მეხებით დამყარდა განყენებითი გონების ბატონობა. მართლაც, საფრანგეთში ძლიერ გაბატონებული იყო გონება, რომელიც თანდათან იჭერდა იქ სარწმუნოების ადგილს... საფრანგეთის შვილია ფილოსოფოსი დეკარტი (რენე ანუ კარტეზიუსი 1596—1650 წ.წ.) ის ითვლება იმ ფილოსოფიური მოძღვრების მამად, რომელიც ამბობს: განუსჯელად, გამოუკვლევად ნურაფერს მიიღებ... გონების ბატონობამ უკუ აგდო ჰოეზიაში პირაფრული აღმართვება და პირადი თავისუფლება: აქედამ დაიბადა ზიზღი უბრალო ხალხისა და მის ჰოეზიისადმი... საფრანგეთის აკადემიკონი (1635

წელს დაარსდა აკადემია) ხალხს უწოდებდნენ „პირუტყვის, რომელსაც არ ძალუძს შეიგნოს კარგი ნაწარმოები“, — „მდაბალს ბრბოს, რომელსაც არა გაეგება რა მისი, რასაც უმადლესობის ბეჭედი აზის“. განსაკუთრებით ცრუ-კლასიკური მწერლობა საფრანგეთში განვითარდა ლიუდოვიკ მე-XIV დროს (1643—1715). იმ დროს მეფის უფლებამ იმ სიმაღლეს მიაღწია საფრანგეთში, რომლის მსგავსი მას იქ არცაღეს ქვეყნებს... მთელი თავად-აზნაურობა (ფეოდალები) და სამღვდელთაობა განდნეს მის ურემოჭრილ უმებად... ჰოეტებიც მის კარზე სცხვრობდნენ და მის სიჭველეს და სიბრძნეს შეაქებდნენ... ჰოეზია მეფის უფლების მაქებარი განდა, რადგან ჰოეტები „თბებოდნენ მეფის მზის სხივებზე“... შესანიშნავ ცრუ კლასიკოსებად საფრანგეთში ითვლებიან: ა) კორნელი (1606—1684). მან დასწერა ტრაგედია: „სიდი“, „ჰორაცი“, „როდოგიუნა“; ბ) რასინი (1639—1699). მან დასწერა: „ანდრომასა“, „ბრიტანიკი“ და „ფედრა“ „ესტერი“, „გოფოლია“, გ) მოლიერი (1622—1673)... ამათში რასინი თვისს ნაწერებში ხატავდა მხოლოდ სამეფო კარის კაცთა და თავად-აზნაურთა ცხოვრებას. მოლიერი იმითაა შესანიშნავი, რომ გამოხატა თავის კომედიებში თანამედროვე სინამდვილე. მისი ტარტიუფი (მუხმუხეჯა) საერთაშორისო ტიპია... თავისი ნაწერების მეტხებით მან მრავალი ნათელი აზრი გაავრცელა... თვის ნაწერებში ის მიუგერძებლად ეკიდება დიდს და ჰატარას, თავადს და გლეხს, სიმარტივეს და სიდიდეს და სხვა... მოლიერს დიდი გავლენა ჰქონდა ფრანგთა ზნეობრივს აღზრდაზე: ის ჰკიცხვდა მკურნალთა სკოლის მასწავლებელთა უკაცობას, ფარისეველთა მჩვენებითს კეთილმსახურებას... ამ სოფლის ძლიერთა ზნეობრივს სიღუბჭირეს.

ცრუ-კლასიკური მიმართულება გავრცელდა

ინგლისში და გერმანიის ერთა შორის, მაგრამ ამ მიმართულების მწერალნი ხსენებულ ქვეყნებში მაინც და მაინც შესანიშნავნი არ არიან... ცრუ-კლასიკური მიმართულების მეტხებით დამყარდა ევროპაში გონების ბატონობა, გონების ეპოქა (ეოტე), რომელიც იწვება და ძლიერდება მეთვრამეტე საუკუნეში... მთავარი დახასიათება ამ ეპოქისა შემდეგია: უნდა შეურყეველად ვიწამოთ გონებას; მას შეუძლია ყოველივე სოფლად მოაწიოს გონივრულად და სამართლიანად... ამ ეპოქის დამყარებას ხელი შეუწყო იმ იდეების გავრცელებამ საფრანგეთში, რომელიც იქადაგეს ინგლისში ბეკონმა, ლოკემ და გობზმა. ინგლისის გავლენა საფრანგეთის მწერლობაზე მეთვრამეტე საუკუნეში ეჭვადუღებელია. ინგლისის ხსენებულ მწერლები მუხლთმოდრეკით თავიანთ სტუმბუნ გონებას, რომელსაც სთვლიდნენ კაცობრიობის ერთად ერთს ხელმძღვანელად... ინგლისის ფილოსოფოსი ლოკი იყო მომხრე კანსტიტუციური სახელმწიფოსი... იგივე ქადაგებდა ბავშვის ნიჭთა ბუნებრივს განვითარებას და საწმუნებრივს თავისუფლებას... საფრანგეთში ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს სიკვდილის შემდეგ († 1715 წ.) მეტათ დაეტა ზნეობა. მთელი სამღვდელთაობის, თავად-აზნაურობის და სამხედრო წოდების წარმომადგენელნი თავმთყურობი იყვნენ ჰარიჟში და დროს ატარებდნენ ქეითსა, ღებინსა და გარეუნილებაში... თვით ლიუდოვიკ მეთხუთმეტეც ხომ ამბობდა: „ჩემს შემდეგ თუნდ წარღვანც მოხდესო“. იეზუიტები (კათოლიკეთა ერთი ჯურის ბერები) დიდის სისასტიკით ებრძოდნენ ყოველივე მას, რაც მათს სწავლა-მოდგრებას ეწინააღმდეგებოდა... თავად-აზნაურობამ ხელთიგლო საფრანგეთის მართვა-გამკება და ზიზღით უტქეროდა ესრედ წოდებულს „ხალხს“, რომლის ოფლით სცხვრობდა და რომელსაც ათასნაირს გადასახადს ახდევინებდა... მაგრამ ხალხი „მესამე წოდების სახით, წვრილი მე-

საკუთრები, გლეხნი და მუშები სრულიად არ წარმოადგენენ შეუცნებელს მასსა... მას ემხნეობა ზრდა და წარმატება. განსაკუთრებით აღსანიშნია ბურჟუაზიის ზრდა, რომლის ხელში გადავიდა ფაქრობა და მრეწველობა, და რის შედეგადაც მან თანდათან მოიპოვა გავლენა სახელმწიფო საქმეებზე... სწორედ ბურჟუაზიის შუაგულში დაიბადნენ ფილანთროპები, რომელნიც გამოესარჩლენ მესამე წოდებას და კრიტიკულის თვალსაზრისით უცქეროდნენ უოველივე წინანდელს, უმანდელს და სხვათა შორის სასულიერო წოდების და თავდაზნაურობის უპირატესობას სახელმწიფო ცხოვრებაში. ერთს შესანიშნავს ამგვარ მდგაწედ ითვლება ვოლტერი, რომელიც ხალხისთვის გასატების ენით სწერდა სხვა და სხვა საკითხების გამო და იბრძოდა მეცნიერების და განების განამარჯვებლად... ის ითვლება სარწმუნოების თავისუფლების მოძღვრად, ტანჯულთა და ჩაგრულთა მოსარჩლედ. თავისი ფილანთროპიურს ნაწერებში ის იყო მომხრე თანასწორობის კანონის წინაშე... რაიც შეუხება ეკონომიურს ან სოციალურს თანასწორობას, ამის შესახებ მას არა უთქვამს რა. ის არ იყო რევოლუციონერი, როგორც ამას შეცდომით ფიქრობდნენ მის შესახებ... ის იყო მომხრე განათლებული აბსოლუტიზმისა (ერთმთავრობისა). აი რას ამბობდა იგი: „ხალხი უოველთვის გამოყრუებული და მქისეს; ის გრფავა ხარების, რომელთათვის საჭიროა სხრის მცემელი, უდელი და საკვები. მე ფოიქრბ, რომ საჭიროა არსებობდნენ უზრდელი ადამიანები. როდესაც მდაბალი ხალხი დაიწეებს მსჯელობას რამეს შესახებ, მაშინ უოველივე დაიდუბება“. მხოლოდ ის კია, რომ მეფე მისი აზრით უნდა აღსავსე იყოს ხალხის შესახებ მზრუნველობით და მუდამ კანონს სცემდეს პატივსა. უოველივე ცვლილება სახელმწიფოში უნდა მომდინარეობდეს მეფისაგან... ვოლტერი იყო ესრედ წოდებული

ენციკლოპედისტი... ენციკლოპედისტებივე იფუნენ დიდრო, გოლბახი, მონტესკიე და სხვა... მონტესკიე თავის თხზულებაში: „კანონთა სული“ ემხრობდა კონსტიტუციურს მონარქიას. კანონმდებლობის ინიციატივა უნდა ეკუთვნოდეს, მისი აზრით, ხალხს, რომლის წარმომადგენლებად უნდა იფუნენ თავდაზნაურთა და ბურჟუათა შვილები. მეფე მისი თხზულება აღსავსეა ჰუმანიური, კეთილშობილური აზრებით, რის გამო მას დიდი გავლენა ჰქონდა... ენციკლოპედისტები მისდევდნენ ესრედ წოდებულს სკეპტიციზმს (იჭვიანობას). სკეპტიციზმის შედეგით გაჩნდა კრიტიკა არსებულ წესწეობილებისა. მან დამუყარა სიდაბობილუ მეცნიერებაში და ღმომიერება სარწმუნოებაში. სკეპტიციზმა გამოიწვია მტკიცე სურვილი ძირითადი ცვლილებისა საფრანგეთში. გეტნერი ამბობს: „ენციკლოპედისტის საშუალებით მდალი დრომა აღიმართა, ბრძანება გაიცა, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ, ეფინებოდნენ ახალი სკოლის შეხედულებანი ხალხში...“ მეცნიერის ბრანდისის აზრით, ენციკლოპედისტმა ხელი შეუწყო რამდენადმე თვით რევოლუციის მოხდენას საფრანგეთში: შესანიშნავი ფილანთროფისი რუსსო, მაგალითად, თავიანთ სცემდა ხალხს. ის იყო ქომაგი დარბი და დატავი კლასებისა და მოწინააღმდეგე ძლიერთა და მდიდართა... მისი აზრით, დემოკრატიული წესწეობილება—ნამდვილი იდეალური წესწეობილება—საფრანგეთის განათლების იდეები მოეფინა იტალიას, ისპანიას, გერმანიას და რუსეთს. უველგან დაეტყო კვალი მათის გავლენისა... უველგან დაუწეეს თავიანთსცემა გონებას და მასზე დიდს იმედებს ამუყარდნენ... გონება გახდა ქვეყნის ღმერთად, სათაყვანებელს კერზად... გონების ბატონობა დამუყარა ცრუ-კლასიკურმა მიმართულებამ ცხოვრებასა და მწერლობაში... ამ მიმართულებამ თავისი როლი

შეასრულა და განუტევა სული სწორედ მაშინ, როდესაც საფრანგეთის რევოლუციის მოხდა (1789 წ.). ამის შემდეგ დაიბადა ახალი სოფლმხედველობა, ახალ აზრებთან შეერთებული, ძველმა რევოლუციამ დაიწყო. ახალ სოფლმხედველობას სტირდებოდა ახალი სალიტერატურო ფორმა, ახალი თეორია... „აქა ჩასახან ღვინო ახალი თხიერსა (ტიკტორა) ძველსა, არამედ ღვინო ახალი ჩასახან თხიერსა ახალსა“ — ნათქვამია სხარებაში... ეს ახალი სალიტერატურო ფორმა მოგვევლინა რომანტიზმის სახით... მკრამ რომანტიზმს, როგორც სალიტერატურო მოვლენას, წინ უძღვოდა ერთი საყურადღებო მიმართულება, რომელიც მისი წინამორბედაა. ეს მიმართულება იწოდება სენტიმენტალიზმად (ქართულად: „მგრძობელობა“)... მგრძობითი მიმართულება ისეთი სალიტერატურო მიმართულებაა, რომელიც უმთავრესს უურადღებებს აქცევს არა გონებას, როგორც გვიმოდღვრებდა ცრუკლასიკური მიმართულება, არამედ გულსა, გრძობას... მგრძობელობითი მიმართულება წარმოადგენდა სრულს წინააღმდეგობას ცრუკლასიკურ მიმართულებას. მგრძობელობითი მიმართულებაში გააბატონა გული და მასთან შეერთებული გრძობები... ის წინააღმდეგა იმ სულის შემხუთავს წესებს, კანონებს და ჩვეულებებს, რომელთაც ცრუკლასიკური მიმართულება იძლეოდა. ხელფრენებსა და ჰოეზიასში გაამეფა თავისუფლება გულის და გრძობათა... მგრძობელობითი მიმართულება წარმოიშვა მაშინდელი (მეთვრამეტე საუკ.) ცხოვრების პირობების შედეგად... მისი სულის ჩამდგმელი ის ახალი კლასია, რომელსაც ბურჟუაზია ეწოდება... მის წიაღში ჯერ გაჩნდნენ ფილოსოფოსები, რომელნიც ბურჟუაზიის უფლებათა ქამაგნი იყვნენ... თუ არისტოკრატები მეფის კარშიყო ყოფნას ბედნიერებად სთვლიდნენ, კატაკრებული იყვნენ ფეოდალებით, ემორჩილებოდნენ მონურათ სამეფო კარის

„ეტიკეტს“ (ზნე-ჩვეულებას) და ამასთანავე თავისი ზნეობის მხრით საეტიკონი იყვნენ, ბურჟუაზია სულ სხვა რამეს ეტროფოდა. მან გააღმერთა ოჯახი და ოჯახური ცხოვრება... ოჯახური ცხოვრების სიამ-ტკბილობა დამყარებულია ზნეობრივს გრძობაზე, — სიყვარულზე ოჯახის წევრთა ურთიერთშორის; აქედან წარმოსდგა იმის ცდა, რომ დაცული ყოფილიყო ოჯახის ზნეობრივი დედა-ბოძი, ქალს მინიჭებოდა ღრმა პატივისცემა და სხვა... ცხადია, რომ ჩვენ აქ გრძობასთან გვაქვს საქმე, და სწორედ ამ გრძობის შეტანამ ლიტერატურაში წარმოშობა მგრძობელობითი მიმართულება (სენტიმენტალური)... ამ მიმართულების სამშობლოდ ითვლება ინგლისი. ეს იმ კარემების ბრალია, რომ ინგლისში ეველასზე ადრე დამყარდა თავისუფლება, და იქაურმა ბურჟუაზიამ მალე მოიპოვა პოლიტიკური უფლებანი... ბურჟუაზია ინგლისში მისდევდა პურიტანობას (ერთგვარი სექტაა პრეტესტანტობისა), რომელთანაც შეერთებული იყო ზნეობრივი სიწმინდის მტკიცე დაცვა... სწორედ ამ ბურჟუაზიის შვილნი იყვნენ ის მწერლები, რომელთაც განამტკიცეს მგრძობელობითი მიმართულება და გამხატეს თავის ნაწერებში ინგლისის ერის ნამდვილი ცხოვრება... ამათში შესანიშნავი იყვნენ: ტომსონი, გრეი და იუნგი. ტომსონის თხზულებათა შორის უურადღების ღირსია: „წელიწადის ოთხი დრო“. მასში ეგრძობილმა პირველად დაინახა ბუნება, როგორც პოეტურ ადმატრენის წყარო... ეს თხზულება გამსჭვალულია ბუნებისადმი ღრმა სიყვარულის გრძობით... მასში კატაკრებულია ჭიმი, ქებათა-ქება ბუნებისა... გრეის თხზულება: „სოფლის სასოფლაო“, შესანიშნავია იმ მხრით, რომ მასშია გამხატული ბუნების სიყვარული, მარტივი, სადა ცხოვრება გლეხთა, მოწივნებითი სულიერი განწივობილობა, რომელიც არ მიდის სასოწარკვეთილებამდის, აგრეთვე სულიერი

სიდაბლვე ჰოკეტისა, მისი მარტობა, მისი დაღვრემილება... უფველივე ეს კი მგრძობელობის უტყუარი დამახასიათებელი ნიშნებია. იუნგი თავის ნაწერებში სვედანობის, მწიქანების გამოხატულება... ის სასწაწკვეთილების მოძღვარია. ის ამბობს: „ბრძენმა ადამიანმა უნდა უცქიროს ამ სოფელს, როგორც სკრთო საგადმყოფოს... ამაში დარწმუნდება თითოეული ჩვენი სიკვდილის უკანასკნელს წუთებში“. იუნგი ამ სახით მიანიხილავს «მსოფლიო სვედის» მამათ-მთავრად... რინარდსონის „საჯანსაღი რამანები“ მეტად დიდის ურადლების დინია... ამ რამანებს აქვს სურათაქტეფო ხასიათი... მათში გრძობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. მეტად შესანიშნავი ტიპია „საჯანსაღი რამანები“ კლარისსა, რომელიც იდეალია უმაღლესის და უსაყვარელის დედობრივობის... აგრეთვე თვისი უარყოფითი ხასიათით ცნობილია მათში ტიპი ლოველსისა, რომელიც გახდა სკრთო სახელად იმ ჯურის ადამიანებისა, რომელიც არავითარს საშუალებას არ ერიდებიან თვის ხარციულ ვნებათა დასაკმაყოფილებლად.

ფრიად სიმპტიურს აზრებს აგრეთვე სტერნი... ადგილ თუნდა მისი ეპიზოდი: „შეშია“... ჰოკეტი დედას იმის გამო, რომ შეშია გალიაში დამწვევული... ის გააღებს გალიის კარს და თავისუფლებს მას. მოვიყვანთ მისი ნაწერადამ ზოგერთს ადგილს: „მონებაჲ, რითაც უნდა შეიმოსო, — მაინც მწარე სასმელი ხარ. ხოლო შენ, სამიგზის ტკბილო და ალერსით სავსე ღვთაებაჲ, თავისუფლებაჲ, შენ, რომელსაც უფველნი ცხადად თუ მალვით გადმერთებენ, სასიამოვნო ხარ ვეფლასთვის, და სამუდამოდ დარჩები ასეთი, სანამ ბუნება არ შეიცვლება. მწველსი, რომელიც იკვებება ხმელი ჰურით, უკეთუ შენ მას უდიდო, უბედნიერესია თვით მეფეჲ...“

გერმანულს ლიტერატურაში დიდი ადგილი დაიჭირა მგრძობელობითი მიმართულებამ,

რომელიც გადმოინერგა ინგლისილამ. გერმანიაში მეტად გაცხადებული იუნგის რინარდსონით... ახ რას ამბობს რინარდსონის შესახებ ერთი გერმანელი მწერალი მეთვრამეტე საუკუნისა: ჯადოსანი ხომ არ არის რინარდსონი?! დიან, ის უფელს მბრძანებელია, ის გძვეთ თქვენ, ადგიტაცებთ და გათრობთ. რინარდსონო — შენ უფველი ადამიანი ხარ, შენ რამანის მწერალთა მეფე ხარ! ძველნი ამაყობენ ჰომირსით და ჩვენ იმავე უფლებით შეგვიძლია ვიამყოფოთ — რინარდსონით... მგრძობელობითი ჰოკეტი გერმანელებს ძლიერ მოეწონათ. გრძობის ადვილა, გამოღვიძება, ნაციონალური შეგნების გადრმაკება სჯირო იყო გერმანელებისთვის, რომელიც ფრიად დასცა ოღდა ათის წლის ომმა (1618 — 1648).. მგრძობელობითი მიმართულება გერმანულს ლიტერატურაში გახდა წყაროდ იმ დიდი ლიტერატურული მიმართულებისა, რომელსაც რამანტიზმი ეწოდება.

მგრძობელობითი მიმართულების მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიაში შემდეგია. ისტორიულად ეს მიმართულება დაიბადა ბურჟუაზიის მიერ თვის უფლებათა შეგნების ნიადაგზე... ფსინოლოგიურად — ეს მიმართულება ერთგვარი რეაქციაა გონების იმ ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც ცრუკლასიკურმა მიმართულებამ დაამყარა, — ის ერთგვარი ლტოლვილებაა გრძობათა საშეფოში, — ნატეკასა სარწმუნოების და ცხეობის საფარს ქვეშე ცხორებისა... ამავე ნიადაგზე დაიბადა უკმაყოფილება არსებული წესწეობილებით, რომელიც ბოკილს სდებდა ადამიანის თავისუფალს განვითარებას... აქედამ წარმოსდგა ის მსოფლიო სვედა, რომელიც ასე გარკვევით გამოხატა რამანტიზმში და რომლის მეხებით ადამიანი იძულებული შეიქმნა შთაქვრიტა თვის სულიერს ბუნებასა, ცხორებასა და ადამიანთა ურთიერთშორის დამოკიდებულებაში და გამოკეტონს საშუალებანი მათი

ცხოვრების სიხვის მოსახლობად... მკრძანბე-
ლობითმა მიმართულებამ საძირკველი ჩაუდგა
ისეთი ეპოქის დამყარებას, როდესაც მძლავრი
შეიქმნა მოთხოვნილება მოწეობილიყო კაც-
ობის ცხოვრება სახარების მიერ ნამო-
დურის სიყვარულის, სიშრთლის და სამარ-
თლიანობის დასაწყისებზე... მან წარმოშვა
გმირი, რომელიც წინააღმდეგი იყო ცხოვრე-
ბის თანამედროვე წეობალებისა, ისე კი, რომ
ეს გმირი ამასთანავე იყო მხდალი: ის იმდე-

ნად არ ამხელდა და არ იბრძოდა, რამდენადაც
სტიროდა, თავის ბედს უჩიოდა, ცნებობდა
და თავის დაცვის ნიჭიც არ ჰქონდა... მას
სწამდა, რომ ბოროტს კეთილი სძლედა,
თუმცა გაჭირვების ჟამს მზად იყო უარ ეყო
ეს თავისი რწმენა და მთელი თავისი იმედი
დაეშვა რაღაც სხვა ცხოვრებაზე (კოტლია-
რევესკი).

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ქართველი ქალის დანიშნულება

თანამედროვე წყობილებაში საზოგა-
დობის საძირკველს ოჯახი შეადგენს.

თუ ოჯახი ზნეობრივ სახეს მოკლებულ-
ლია, თვით საზოგადოება საშიშ მდგომარე-
ობას განიცდის. რაში უნდა იხატებოდეს
ოჯახის ზნეობრივი სახე?

ამისთვის საჭიროა უმაღლესი გავიგოთ, რას
წარმოადგენს თვით დღევანდელი ოჯახი.

დღევანდელი ოჯახია კავშირი ორ სქესს
შორის. ამ კავშირის მიზანია საერთო
შვილების აღზრდა.

ოჯახი მხოლოდ მაშინ იქნება ზნეო-
ბრივ საფუძველზე დამყარებული, როცა
ეს კავშირი ზნეობრივია და როცა ოჯა-
ხი თავის მოვალეობას პირნათლად ასრუ-
ლებს.

საოჯახო კავშირი დღევანდელს ცხო-
ვრებაში ქორწინების სახით სწარმოებს:
ეს კავშირი რომ ზნეობრივი იყოს, საჭი-
როა, რომ ის აგებული იყოს სიყვარულ-
ზე. თუ ჩაუკვირდებით დღევანდელს ცხო-
ვრებას, დავინახავთ, რომ ქორწინებას
უმეტეს შემთხვევაში სიყვარული კი არ
უღვეს სარჩულად, არამედ ანგარიში.

დღეს კერძო საკუთრების ხანაა. უმთავ-
რესი კერძო საკუთრება ფულია, მას ეძებს
ყველა. დღეს ფულმა ყოველივე დაიპყრო
და დაიმორჩილა: მწერლობა, ხელოვნება,
მეცნიერება, სარწმუნოება. ქორწინებასაც
ფული დაეპატრონა. დღეს ფულით თხო-
ვდებიან, ფულისთვის ირთვენ ცოლს.

ამ გარემოებამ წარმოათქმევინა ჩვენს
აკაკის შემდეგი სიტყვები:

ცოლს რომ ირთავთ, რას დაეძებთ:

შეგებადს და შვილის მოვალეობას?

თუ ფულსა და პატრიარქიას,

სინდისის დამამხობელს?

ღირსება ქალისა დღეს ფულით იხო-
მება. ამგვარ პირობებში ქორწინება უზ-
ნეოა, რადგანაც ის აშენებულია ანგარე-
ბაზე.

არის მეორე მხარეც. ყოველი კავში-
რი მაშინ არის ზნეობრივი, როცა მო-
კავშირენი ერთნაირ პირობებში იმყო-
ფებიან, ერთნაირის უფლებით არიან აღ-
ქურვილნი.

დღეს მამა-კაცს ბევრგვარი უფლება

აქვს, დედაკაცი კი ყველა ამას მოკლებულია. დედაკაცთან შედარებით მამაკაცს ფართო ასპარეზი აქვს ცხოვრებაში; დედაკაცის ასპარეზი ვიწროა, იმის ერთადერთ მთავარ სარბიელს ჯერ კიდევ ოჯახი შეადგენს; ოჯახს გარეშე დარჩენა მისთვის დიდი უბედურობაა. ამ პირობებში მყოფი ქალი ძალაუფლებურად ცდილობს, გათხოვდეს და ამგვარი მდგომარეობა აიძულებს მას, უმეტეს შემთხვევაში სიყვარულით კი არ გათხოვდეს, არამედ ანგარიშით.

ჩვენ შეგვეძლოა დიდხანს შევჩერებულიყოთ ყველა ამ მხარეებზე, რომლებიც დღევანდელს ქორწინებას ზნეობრივ სახეს უქარგავენ, მაგრამ ნათქვამიდანაც ცხადია შემდეგი:

სანამ ქალი უფლებრივად არ გაუთანასწორობება მამაკაცს, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება აგებული იქნება კერძო საკუთრების პრინციპზე, მანამდინ შეუძლებელია ქორწინებამ სრული ზნეობრივი სახე მოიპოვოს.

მიემართოთ ახლა ოჯახის მოვალეობას. გრიბოდოვის ფამუსოვმაც კარგად იცოდა, რომ შეილები საყოლად დიდი ჰკუა არ არის საჭირო. თავი და თავი შეილები ალზრდაა.

შვილების აღზრდაში ერთნაირად მოვალენი არიან ქმარიც და ცოლიც, მაგრამ რადგანაც დღევანდელს პირობებში მამაკაცი უმთავრესად ოჯახის გარეშე ტრიალებს ოჯახისავე შესანახად, დედაკაცი კი შიგ ოჯახშია, ამიტომ შვილების აღზრდის საქმესთან უფრო ქალია ახლოს, ვიდრე მამაკაცი.

საზოგადო მოსაზრებიდან გადვიდეთ ჩვენს ცხოვრებაზე და ჩაუვირდეთ ქართულ ოჯახს, ქართველ დედას. რომ მივმართოთ ჩვენს საუკეთესო პოეტებს, დავ-

რწმუნდებით, რომ ძველ დედებს ყველა თაყვანისცემით და აღტაცება-მოწიწებით იხსენიებს.

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სუღიცა თქვენი გამგებოდათ!
ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული აწდა თქვენგვარი.
ჰგოდებს ნიკო ბარათაშვილი.
ქართლის დედაო, ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა.

უგალობს ილია და ამასავე გვეუბნება აკაკი:

ჰეი, ჰეი, ვეღარ ვხედავთ
დღეს ძველებურ ქართველ დედებს.
მათ მაგიერ მომავალზე
აღარავინ გვაიმედებს.

ძველი დედების ხსენებას აკაკი ქებადღიდობას უძღვნის:

დიდება იმათ დედაბას!
დიდება იმათ სახელსა!
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ვეღარ ახელსა!

როდესაც იგივე პოეტები უწინდელს დედას დღევანდელს აღარებენ, გული სევდით ევსებათ.

ჯანი გავარდეს აწ შეილსაც, მამულს,
ოდონდ ვაამთ ჩვენს საკუთარს გულს,
რის ქართველობა, რა ქართველობა!
ვითომ რას გვაწებს უცხო ტომობა?

სევდით სავსე კილოთი მოსძახის ნიკო ბარათაშვილი.

კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბეძმა,
სრულად შოკიკლა სიცოცხლისა და.
ეუბნება ილია დღევანდელს ქალს.
მომწონს კაღინა, მაღინა,
მძულს ვარდები და იაო.
სამშობლო რასა მიქვია,
მეწუქრსაც წაუღიაო.

აი როგორ ახასიათებს დიდებული აკაკი თანამედროვე ქალს.

რაში გამოიხატება, ამ პოეტების აზრით, ქართველი დედის მოვალეობა? შვილების აღზრდაში **ეროვნულ ნიადაგზე**.

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მუცხადი;
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვაჟი.

ეუბნება ილია თანამედროვე დედას.

აკაკის ქართველი დედა ამბობს: ჩვენ ვალათ გვადევს, შვილები მამულისათვის ვზარდოთ და მამულს ვანაცვალოთო:

მამულისთვის მიშობაა
მისი ჭირის სანაცვალათ.

ძველი ქართველი დედა ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, თანამედროვე კი არა.

შესაძლებელია, ძველ ქართველ დედას ბევრი ნაკლი ახლდა, მაგრამ მას ჰქონდა ერთი უტყუარი და დიდი ღირსება: ეს-მოდა თავისი მოვალეობა მამულის წინაშე. ის ოჯახში იყო კარჩაკეტილი, კერიასთან ატარებდა თავის სიცოცხლეს, ხოლო შვილს მამულისათვის ზრდიდა.

თანამედროვე ქართველმა ქალმა ბევრში უკან ჩამოიტოვა ძველი ქართველი დედა, მაგრამ ერთში კი ჩამორჩა: ის გადაგვარდა, მას აღარ ესმის თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ყოველდღიურობამ, პირადმა ცხოვრებამ შთანთქა ის და დაუკარგა იდეალი. სიმები, რომლებითაც ძველი დედის გული შეერთებული იყო თავის ხალხთან, დღევანდელ დედას თითქმის სრულებით დაუწყდა და მშობელი ერის კვნესა და ვარამი იმის გულს აღარა სწვდება. გადაგვარების სენი განსაკუთრებით ინტელიგენციას და მალალი წრის ქალებს მოედო. რაში ეტყობა

დღევანდელ ინტელიგენტ ქალს ქართველობა?

ერთი უმთავრესი პირობა ქართველობისა — ქართული ენაც-კი აღარ შერჩენია?

აი როგორ ახასიათებს ამ წრის ქალებს ჩვენი აკაკი:

დღეს ერთი ქალი გამცნეს
სახელოვანი, ქებუელი;
დედ-მამა უავდა ქართველი,
ქართლშია დაბადებული;
მაგრამ ისეა ნასწავლი
და ისე განათლებული,
რომ დედაენაც არ იცის,
სძულს კიდეც დაგიწყებული!

რამ გამოიწვია, ჩვენი პოეტების აზრით, თანამედროვე ქართველი ქალის ასეთი გადაგვარება?

ქარმან ჩრდილოეთის ევკლასზე პირველ
გამოცვალა მათ გული ცხოველ.

ჰგოდებს ნ. ბარათაშვილი.

ამავე აზრის არის ილიაც:

კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალაო.

ეუბნება ის ქართველ დედას. ამ გვარი ახსნა არ არის მთლად ქვეშარიტი. ტარიელსა და ნესტანს ჰირმა და დაჩაგრულმა ბედმა კი არ შეაძულა ერთმანეთი, არამედ უფრო გაუძლიერა სიყვარული. ქართველი ქალის გულში რომ იყოს ცეცხლი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული, დაჩაგრული ბედი ამ ცეცხლს უფრო გააძლიერებდა. ვანა პოლონეთის ქალს კი არ არგუნა ისტორიამ კირთების ქვეშე დაჩაგრული ბედი? მაშ რატომ იგივე არ დაემართა პოლონელ დედას, რაც ქართველს? რატომ არის მაშ პოლონელი დედა ყველგან პოლონელია და ქართველი დედა კი თავის პატარა სამშობლოშიც ქართველი აღარ არის?

იმიტომ, რომ კირთების ქვეშე დაჩაგ-

რულ ბედს წინ დაუხვდა პოლონელი ქალის მამულის სიყვარულით აღგზნებული გული და შავმა ბედმა ეს გული ვერ განელა, ვერ შეანგრა მისი კედლები. კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედს-კი საქართველოში დაუხვდა ქართველი ქალის გაციებული გული, რომელშიაც მამულის სიყვარულით ერთ დროს დანთებული ცეცხლისაგან დღეს ფერფლი და ნაცარიც კი აღარ დარჩენილა.

აბა თვალი გადაავლეთ ჩვენს წარჩინებულ წოდებას. ჩვენი ხალხის სისხლით მორწყულ მიწას რაღაც გიჟურის გატაცებით დღეს მამები გადამთიელებს ურიგებენ, აქაო და ორ გროსს მეტს გვაძლევნო.

— ფუი ამისთანა გროშებსაც და ამისთანა ვაჭრობასაც! —

— მათი ცოლები და ქალიშვილები კი ქართულ ენას ყოველ დღე ასამარებენ ოჯახში და ოჯახს გარეთ.

და ეს არის ასრულება ზნეობრივი მოვალეობისა მამულის წინაშე?!

ასეთი გადაგვარებული ოჯახები იძლევიან გადაგვარებულ შვილებს და უზნეობას უზნეობა ემატება.

კმარა, ბატონებო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, სირცხვილია!

მე თქვენ მოგმართავთ, ქართველო დედებო, პოეტის სიტყვებით:

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მუთაბადი,

ჩვენ უნდა მფსცეთ მამავალი ხაღხს.

თქვენ გეკუთვნისთ; ის თქვენ გეუბნებათ:

აქ არის, დედავ, შენი მადალი

დანიშნულება და საღმრთო ვაღიო.

გადალახეთ ოცნებით მრავალი საუკუნენი და დაინახავთ, რომ თქვენი მშობელი ერი განსაცდელში იყო, წყვდიადში და ბნელეთში იმყოფებოდა.

ამ დროს მოვევლინა მას ნინო და გამოიყვანა ის ახალი ცხოვრების გზაზე.

თქვენი მშობელი ერი დღესაც განსაცდელშია. მისი არსებობა ყოფნა-არყოფნის სასწორზეა და, რომელი დასძლევს, არ ვიცით. ნუ თუ აღარ მოვევლინება მას ახალი ნინო, რომლის მამულის სიყვარულით ათგზნებული გული გააღბობს ჩვენს გაყინულ გულს, ააგებს შიგ მამულისადმი ღრმად მომქმედი სიყვარულის წმინდა საკურთხეველს და გამოიყვანს ქართველ ერს აღორძინების გზაზე?

ახალი თანამედროვე ნინო უნდა გაჩნდეს თქვენ შორის. მე მრწამს, რომ ის მოგვევლინება.

ივ. გომართელი.

არითმეტოკა დასაწყისს სკოლაში

რა მიზანი უნდა ჰქონდეს ანგარიშის სწავლებას პირველ-დაწყებით სკოლაში? ან რა შედეგი მოჰყვება ამას? მართალია, ეს კითხვები თავისთავად მარტივია, მაგრამ ცხადია ისიც, რომ სკოლებში სწავლებას სასურველი შედეგი არ მოსდევს. პირველ დაწყებითი სწავლების შეგნებულ-

ნი მუშაკნი დარწმუნდნენ, რომ საზოგადოთ სწავლება პირველ დაწყებითს სკოლებში და კერძოთ არითმეტოკისა ისე არ სწარმოებს, როგორც საჭიროა. ამას ჰმოწმობს ის ფაქტი, რომ პირველ-დაწყებითი სკოლის კურს დამთავრებულები ვერ მიჩვეულან წიგნების კითხვას, კითხვის ხა-

ლისიც კი არა აქვთ, არ შეუძლიანთ ხე-რიანად უბრალო წერილის, ბარათის დაწერაც; ერთის სიტყვით თავიანთი არითმეტიკული ცოდნითაც ვერ სარგებლობენ სკოლის გარედ. და ის მცირედიც, რასაც ბავშვები იძენენ სკოლაში, მალე ავიწყლებათ.

მასწავლებლებს ავიწყლებათ, რომ ის არის მხოლოდ ძვირფასი, რაც ბუნებრივია, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. სახალხო სკოლების მასწავლებლებს კი არა აქვთ საკმარისი მომზადება და საკმაო საერთო განვითარება და განათლება. ამიტომაც მათ ვერ გამოუჩვენიათ თუ რა და როგორ უნდა ასწავლონ, უინიციატივო მასწავლებელი კი მასწავლებელი არ არის.

არითმეტიკიდან პირველ-დაწყებით სკოლების პირველ განყოფილებაში უნდა ასწავლონ ანგარიში ოცამდინ, შუა განყოფილებაში ასამდინ, უფროს განყოფილებაში კი ოთხი მოქმედება განყენებულ რიცხვებზედ ყოველივე რაოდენობისა და სახელ-წოდებულ რიცხვებზედ. ეს მშრალი სქემა არაფერს ეუბნება გონებას და გულს.

პირველ და მეორე განყოფილებაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ზეპირ ანგარიშს. მასწავლებელი გულ-მოდგინედ სწვრთნის ბავშვებს, ხელში კი არაფერი სახელმძღვანელო არ უჭირავს; რამდენი იქნება $2+3$, $10-6$, 4×2 და სხვა. მასწავლებელი აკეთებინებს ამოცანას: ერთ ვაჭარს ჰქონდა 5 ფორთოხალი, აქედან ორი გაჰყიდა, თითო ექვს კაპეიკად; დანარჩენი თითო 5 კაპ. რამდენი ფული აიღო ვაჭარმა ფორთოხლებში? რომელი მოვაჭრე? საიდან გაჩნდა ის მიყრუებულ სოფელში? რა ფორთოხლები? ეს ყოველისფერი საინტერესო არ არის.

საინტერესო კი აი რა არის: როგორია პირველი კითხვა? მეორე? დასწერეთ $5 \times 2 = 10$.

განა მოუვა თავში სახალხო მასწავლებელს სრული უბუნებრივობა ამისთანა დაწერისა და ანგარიშისა? ასე ასწავლიდნენ და ასევე ასწავლის. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ორს განყოფილებას ერთად უფროს და პირველს განყოფილებას. პირველ განყოფილების მოწაფეებს აძლევს მაგალითებს გასაკეთებლად და მოუკიდებლად, $10-2-2-2 \dots 3+3-3 \dots 2+3+4 \dots$, და სხვა. რასაკვირველია, ბავშვებიც უტყქერიან ანგარიშს, როგორც ფორმალურ საქმეს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ცხოვრებასთან; ამიტომაც კურსის დამთავრების შემდეგ, მალე ავიწყლებათ ყოველისფერი სამუდამოდ.

მასწავლებელი ამზადებს მოწაფეებს გამოცდისათვის, ცდილობს ყველაფერი კარგად აჩვენოს; ღელავს, შიშობს, რომ მოწაფეები დაივიწყებდნენ ამოცანების გაკეთებას აუზებზედ, ცხვრებზედ, გადნობ-გადანობაზედ, და სხვა.

ეს გასაკვირველიც არ არის, რადგანაც თვით მასწავლებელსაც ხშირად ავიწყდება ამ ამოცანების გაკეთება. მაღლობა ღმერთს, გამოცდებმა კარგად ჩაიარეს. მაგრამ რა დარჩა ბავშვს სამი წლის სწავლისაგან? ლენტები, ჩაფრები, რომელნიც, როგორც უცხო და დაშორებული სოფლის ცხოვრებას, მალე შორდებათ. აბა მიეცით ახლად კურს დამთავრებულ მოწაფეს კითხვა, თუ რამდენი ფულის შეგროვება დასჭირდება ადამიანს, რომ საბძელი ააშენოს? რამდენი დღეა ესა თუ ის მიწა? მაშინ დარწმუნდებით, რომ სკოლას მისთვის არაფერი მიუცია, რომ კარგი მოცდენე „ჩაფრებისა“ და „ლენტებისა“ ამ

შემთხვევაში სრულიად უმწეოა. იგი დაგამტერდებათ შეშინებულის თვალებით, რომლებიც გაიძახიან: ეგ არ უსწავლებიათო“.

იყო დრო, როდესაც გლებ-კაცობაში გაისმოდა უკმაყოფილო დრტვინვა სოფლის სკოლებისადმი. ამ დრტვინვაში აშკარად სჩანდა, რომ გლებ-კაცები ამისთანა სწავლაში არა ხედავენ არავითარ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ეხლაც არა ერთხელ გავვიგონია გლებ-კაცებისაგან: „სწავლობდა, სწავლობდა და უბრალო ბარათის დაწერაც კი არ შეუძლიანო“

სკოლის გამოცდილება არითმეტიკის სწავლების შესახებ შემდეგს გვიჩვენებს:

1. ბავშვს პირველ ნაბიჯიდანვე საქმე უნდა ჰქონდეს რეალურ რაოდენობებთან.

2. რეალური რაოდენობანი აღებულ უნდა იქმნას ბავშვის ცხოვრებიდან.

3. ერთერთ შორის დამოკიდებულება რეალური რაოდენობებისა; მათზე სინტეტიური მსჯელობა უნდა ეფარდებოდეს ბავშვის შეგნებას და განვითარებას. აი უმთავრესი დაბულებანი „პრაქტიციზმისა“.

„პრაქტიციზმი“ ცარიელ ციფრების 2, 3 სწავლების მაგიერ, უფრო ბუნებრივად სცნობს აჩვენოს ბავშვებს 2 კაკალი, ან სურათი, რომელზედაც 3 ბიჭია დახატული. იმისთანა ამოცანების გაკეთების მაგიერ, რომლებშიაც ფორთოხლებზეა ლაპარაკი, პრაქტიციზმი გვიჩვენებს გავაკეთოთ ბავშვებთან იმისთანა ამოცანები, რომლების შინაარსი აღებულია ბავშვის ცხოვრებიდან. ვინ იტყვის, რომ ამისთანა მუშაობა ჰკლავს „საერთო განათლებას“? ამ მიზნით პრაქტიციზმი გვიჩვენებს ანგარიში დაუკავშიროთ ხელ-საქმეს. ვიდრე ბავშვს საქმე ექნება აბსტრაქტიულ საყენებთან, „პრაქტიციზმი“ საჭიროდ სცნობს თვით ბავშვმა გააკეთოს ხისაგან საყენი,

გაზომოს ამითი კლასი და სხვა. ნუ თუ ეს ავნებს ბავშვის განვითარებას? მაგრამ ეს ცოტაა. არსებულ სკოლის პრაქტიკას სრულიად არა აქვს სახეში განუვითაროს ბავშვებს ინიციატივა და თვით მოქმედება, — „პრაქტიციზმი“ კი აძლევს ბავშვებს მხოლოდ ერთ სქემას, რომელშიაც ყველა ბავშვს შეეძლება შეიტანოს თავისი საკუთარი შინაარსი.

1. გირჩევთ—მესამე მყოფზე განყოფილებაში თვით ბავშვებმა შეადგინონ ამოცანები, დასვან კითხვები, გამოიყვანონ დასკვნები და სხვა. ნუ შეეშინდებათ მოწაფეებს, თუ გაყოფის შემდეგ ნაშთი დარჩებათ. ცხოვრებაში უნაშთო გაყოფა შეუძლებელია.

2. ანგარიში ფეხ-და-ფეხ უნდა მისდევდეს ხელ-საქმეს. ბავშვებს მარტო წარმოდგენა კი არ უნდა ჰქონდეთ ამა თუ იმ ზომაზედ, არამედ დეე თვითონ შექმნან ესა თუ ის ზომა, საჭირო სიდიდისა და ფორმისა. საკმარისი არ არის ბავშვმა იცოდეს, რომ ეს საყენია, არამედ თვითონ უნდა გააკეთოს საყენი. მხოლოდ ამისთანა საყენი იქნება ბავშვის გონების საკუთრება.

3. ამოცანების შინაარსათ აღებული უნდა იქმნეს ის, რასაც ბავშვი ჰხედავს, რაც მას გარშემო ახვევია, რაც აუცილებლივ უნდა იცოდეს სოფლის მცხოვრებმა. საჭიროა, მაგალითებრ, შემოუვლონ ბაღს თხრილი: დეე თვით ბავშვებმა შეადგინონ ამისთვის საჭირო ხარჯის რაოდენობა; დეე, მათ დაიჭირონ მუშები და ანგარიშიც თვითონ გასწიონ, თუ რამდენი ერგება თვითოულ მუშას მუშაობის გათავების შემდეგ. მიწის დამუშავება, დათესვა, ვაჭრობა, ჯგუფობრივი მუშაობა, სოფლის მეურნეობა და სოფლის ცხოვრება,—აი რა უნდა შეადგენდეს ამოცან-

ნების უინაარსს. მხოლოდ მაშინ იგრძნობენ ბავშვები თავს თავიანთ მშობლიურ სტიქიაში და გამოიჩინენ ინიციატივას და შემოქმედებას.

4. არსებული არითმეტიკული კრებულები არაფერს აძლევენ ბავშვებს. მე ვურჩევ მასწავლებლებს მისცენ ბავშვებს იმისთანა სამუშაო, რომელსაც მოუწოდებთ მთელი თვე ყოველ დღიური მუშაობისა, მაგალითებრ, განსაზღვრა სოფლის მამულის შემოსავლისა, დღეს ბოსტნის შემოსავალს განსაზღვრავს ბავშვი, ხვალ ბალისას და სხვა. ამისთანა მუშაობას დიდი აღმზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს. შეუმუშავებს მათ მიზნისადმი დაჟინებით მისწრაფებას.

5. არსებულ სკოლას არავითარი კავშირი არა აქვს მცხოვრებლებთან. მამას სრულიად არ აინტერესებს ის, თუ რას აკეთებს იმისი შვილი სკოლაში. ჩვენ მიერ მოწონებული სქემა კი ანგარიშის სწავლებისა აერთებს სკოლას ხალხთან. დღეს ვასიკო ჰკითხავს მამას, თუ რამ სიგანე კვლები უნდა გაკეთდეს კომბოსტოსათვის, ხვალ ფიტრების ფასს, განსაზღვრავს ბოსტნის შემოსავალს და სხვა. მაშინ დაინახავს გლეხი, რომ სკოლაში საქმეს ასწავლიან მის ბავშვს, რომ იმის ვასიკოსაგან სკოლა ამზადებს სოფლის მომავალ შეგნებულ მუშაკს და სასარგებლო წევრს ოჯახისას და საზოგადოებისას.

6. ყველაზედ თვალსაჩინო გლეხ-კაცი-სათვის ის არის, რომ იმისი ბავშვი იძენს სკოლაში ელემენტარულ ცოდნას ანგარიშში. ეხლა ყოველივე სოფლის კუთხეში სწრაფად ვითარდება კოოპერატიული საზოგადოებები. არიან იმისთანა მაზრებიც, სადაც გამრავლებულია კრედიტის, სამეურნეო, მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოებები. ცხადია, რომ ახა-

ლი პარობები სოფლის ცხოვრებისა მედგრად თხოულობენ ახალ ძალებს, ახალ შეგნებულ მუშაკებს. ვინ უნდა მისცეს სოფელს ამისთანა მუშაკნი, თუ არა სკოლამ.

გაცნობა ზომებისა

სიგარძის ზომა.

1. აიღეთ არშინი, გაზომეთ სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ჩვენის კლასისა და დასწერეთ.

შენიშვნა. მოწაფეები ზომავენ ფანჯრებს, კლასის დაფას, მაგიდებს და ყველა საგნებს, რომლებიც კლასში არიან.

2. გააკეთეთ თქვენ თვითონ არშინი ჯოხისაგან, ძაფისაგან, ლენტისაგან. გოჯები დანიშნეთ ან ჭდეებით, ან ფანქრით, ან მელნით.

3. გაზომეთ სიგრძე, სიგანე, სიმაღლე თქვენის სახლისა, საბძლისა, გაზომეთ სიმაღლე თქვენის ძროხისა, ცხენისა, ძაღლისა და სხვა... ჩასწერეთ თქვენ რვეულში და ხვალ მაჩვენეთ.

4. თქვენ თვითონ გააკეთეთ საყენი და დაჰყავით არშინებათ.

გაზომეთ თქვენი ბოსტანი, ეზო, ყანა და სხვა... ჩასწერეთ რვეულებში და ხვალ მიჩვენეთ.

6. საღამოთი გაზომეთ საყენით მანძილი სკოლიდან ეკლესიამდინ, სოფლის ბოლომდინ, სოფლიდან ტყემდინ და სხვა. ჩასწერეთ ყველა ეს თქვენ რვეულებში და ხვალ მაჩვენეთ.

7. ჰქის სიღრმე 10 არშინია. რა სიგრძის თოკი უნდა მოვაბათ ვედრას, რომ თავისუფლად ამოვიღოთ წყალი?

შენიშვნა. უნდა მივიღოთ მხედველობაში კვანძები და თავისუფალი ბოლო.

8. რამდენი კვალი გამოვა კომბოსტოსი. თუ 5 საყ. ბოსტანს ავიღებთ?

შენიშვნა. სიგანე კვლისა და მათ

შუა ბილიკები თქვენ თვითონ განსაზღვრეთ.

9. რამდენი ვერსია ჩვენი სოფლიდგან ჩვენ ქალაქამდინ.

შენიშვნა. უნდა იცოდნენ რომელ სოფლებზედ მიდის გზა და რამდენი ვერსია ერთი სოფლიდგან მეორე სოფლამდინ, მანძილი სოფლის ერთ ნაპირიდგან მეორემდინ. (უფროსებისაგან გამოკითხვით).

10. დედამ გადასწყვიტა უქმეებისათვის თავის ორ გოგონასათვის, თავისთვის და ძძლისთვის შეეკერა ჩითის კაბები. ერთი გოგონა იყო 7 წლისა, მეორე 10 წლისა, რამდენი არშინი ჩითი უნდა იყიდოს და რამდენი ფული დასჭირდება?

შენიშვნა. თქვენ თვითონ მოისაზრეთ რამდენი არშინი ჩითი მოუნდება თითო კაბას, თქვენ თვითონ განსაზღვრეთ ჩითის ფასი და სხვა.

წონის ზომა.

მასწავლებელი უჩვენებს როგორ უნდა გაკეთდეს უბრალო სასწორი

(აზარმაცთა თეორია). კლასში მასწავლებელი სასწორზედ ასწონის პურს, მარლოს, ქვებს, წიგნებს და სხვა. გააცნობს მისხლებს, გირვანქას, ორ გირვაქსს, ნახევარ გირვანქიანს, მეოთხედს, ფუთს.

1. რამდენი პური მოუნდება ღლეში თქვენს ოჯახს?

შენიშვნა. რამდენს პურს შესჭამს თვითეული თქვენგანი ღლეში—თქვენ თვითონვე მოისაზრეთ.

2. რამდენი ფუთი თივა მოუნდება თქვენ საქონელს ღლეში?

შენიშვნა. მოისაზრეთ. რამდენი თივა უნდა ღლეში ცხენს, ძროხას და სხვა.

3. დედამ რომ ერთი ფუთი ფქვილისაგან პური გამოაცხოს, რამდენ ღლეს ეყოფა თქვენს ოჯახს?

შენიშვნა. მიიღეთ მხედველობაში სართი, სხვა და სხვა ნაირი ფქვილი და სხვა და სხვა სართი.

4. რამდენს იწონით ორთავენი ერთად და რამდენით ერთი მეორეზედ მძიმეა?

შენიშვნა. ხვალ მიაშვებთ რომელ სასწორზედ აიწონენით.

5. გლებ-კაცს მოუვიდა 100 ფუთი ხორბალი. უნდა დაინარჩუნოს სათესლე, საქმელად საქონლისათვის, რაც მეტი დარჩება—ვაჭყიდეთ.

შენიშვნა. მამას მოელაპარაკეთ.

სითხის ზომა.

1. რამდენი წყალი ჩადის თუჯის ქოთანში, ვედრაში, კასრში, ბოჩკაში, ჩასწერეთ რვეულებში და დაწერილი მოიტანეთ ხვალ კლასში.

შენიშვნა. განსაზღვრეთ ვედრის ზომა, ნახევარ ვედრასი და სხვა. შეიძლება ღვინის ბოთლით.

2. რამდენ წყალსა სვამს ღლეში თქვენი საქონელი?

შენიშვნა. საქონელს თქვენ თვითონ დააღვეინეთ წყალი და განსაზღვრეთ რამდენს დაღვეს ძროხა, ცხენი და სხვ...

3. რამდენ რძეს გაძლევთ თქვენი ძროხა ერთ მოწველაზედ და ერთ ღლეში?

4. გამოიანგარიშეთ რამდენი წყალი დასჭირდება მოსარწყავათ თქვენ კომბოსტოს ბაღას?

შენიშვნა. მიაშვებთ, როგორ გამოიანგარიშეთ ეს.

5. სცადეთ განსაზღვროთ, რამდენ ვედრა წყალს გაძლევთ წყარო საათში და ღლე და ღამეში.

6. დახატეთ თქვენ რვეულებში ერთმანეთის გვერდით ვედრა, ნახევარ ვედრა, მეოთხედი ვედრა და ბოთლი და გამოხა-

ტეთ სწორე კუთხეებათ შედარებითი რაოდენობა ყველა სითხის ზომისა.

7. შეძერწეთ თიხისაგან ნიმუშები ბოთლისა, ვედრისა და ბოჩკისა.

ქალაღლის ზომა.

1. გამოსთვალეთ დასტის მეოთხედი ქალაღლი, დასტა და ოზმა.

2. თქვენ ანგარიშის რვეულში რამდენი ფურცელია? სულყველას რვეულებში? ყველა განყოფილებების რვეულებში? მთელ სკოლაში? რამდენ ქალაღს ხარჯავს სკოლა კვირაში, თვეში, წელიწადში? მაზრის ყველა სკოლებს რამდენი ქალაღლი უნდებათ წელიწადში? რამდენი ღირს? შენიშვნა. მასწავლებელს მოელაპარაკეთ.

3. რამდენი ქალაღლი წავიდა თქვენ ამოცანების წიგნზედ? ყველა სასწავლებელ წიგნზედ, რომელიც თვითეულ თქვენგანს აქვს? ყველა წიგნებზედ განყოფილებებში? სკოლის ყველა წიგნზედ?

შენიშვნა. დაეკითხეთ მასწავლებელს. დაბეჭდილი ფურცელი ბევრად ღირს სუფთა ფურცელზედ. დაბეჭდილ ფურცელზე საშუალო ფორმატის წიგნის 16 გვერდია. შეადარეთ რაოდენობა დაბეჭდილ და სუფთა ქალაღლისა.

4) რამდენ ქალაღლს ხარჯავს თქვენი ოჯახი წელიწადში წერილებზედ და სხვა საჭიროებებზედ? მთელი სოფელი? რა ღირს?

ზომა სიბრტყისა.

1. მოხაზეთ თქვენ რვეულებში ოთხკუთხი ხაზი, სანტიმეტრი, გოჯი, დიუიმი, ჩარეკი. მოხაზეთ დედა-მიწაზედ ოთხკუთხი, მეტრი, საყენი.

2. გამოზომეთ მინდორში დღიურის მეოთხედი, ნახევარ დღიური გამოზომეთ სწორ-კუთხოვანი და სამი კუთხოვანი.

3. გამოზომეთ ზედა პირი იატაკისა, ფანჯრისა, კარებისა და შეადგინეთ მათი გეგმა მაშტაბით.

4. გაზომეთ ზედა პირი თქვენის მიწებისა და შეადგინეთ მათი გეგმა.

5. განსაზღვრეთ რამდენი ფიცარი დასჭირდება თქვენს სახლის სახურავს, იატაკს და ყველა კარებებს.

6. განსაზღვრეთ რამდენი ტივის ხე დასჭირდება თქვენს ქოხს და რანაირები.

7. შეადგინეთ გეგმა თქვენის ქუჩისა და გაზომეთ რამოდენა მიწა უჭირავს.

სისქის ზომა.

1. მოხაზეთ კუბიკური გოჯი, დიუიმი, სანტიმეტრი.

2. გააკეთეთ ნაფორებისაგან ან კარდონისაგან კუბიკური ჩარეკი, კუბიკური გოჯი და დიუიმი.

3. გაზომეთ სიფართოვე კლასისა, ფეჩის სიფართოვის გარდა. აგრეთვე თქვენი ქოხის სიფართოვე.

4. გაზომეთ თქვენი სარდაფის სიფართოვე და გამოიანგარიშეთ რამდენი ფული უნდა მიგეცათ იმის ამოთხრაში.

შენიშვნა. ჰკითხეთ მამას, რამდენს იღებენ მიწის მთხრელები კუბზედ.

5. გაზომეთ თხრილი, განსაზღვრეთ მისი სიფართოვე და მისი ამოთხრის ღირებულება.

ღროების ანგარიში.

1. როგორ უნდა განისაზღვროს შუაღდე? როდის ამოდის და ჩადის მზე თქვენ ადგილში ეხლა? რომელ თვიდან და რომელ რიცხვიდან იწყება გაზაფხული? როდის უსწორდება ერთმანეთს ღდე და ღამე?

2. დამიწერეთ, რათ ათის ყოველივე ოთხ წელიწადში ერთხელ ნაკიანი წელიწადი. რათ არის 13 დღით განსხვავება ახალსა და ძველ სტილის შუა.

3. რამდენი წლისა ხარ? რამდენი წლისა მამა შენი, დედა, ძმა და ვინ რამდენი წლით არის ერთმანეთზე დიდი.

4. როდის დაიწყება ყველიერი, თუ აღდგომა 13 აპრილს მოდის? როდის იქნება აღდგომა, თუ ყველიერი დაიწყო 29 იანვარს?

სასანგარიშო ნაწილი. სოფლის მეურნეობა.

განსაზღვრეთ წრეგანდელი სუფთა შემოსავალი თქვენი ხვედრი მიწისა.

შენიშვნა. გამოიანგარიშეთ ღირებულება ნიადაგის მომზადებისა, მოკრეფისა, თესლეულობისა და სხვა.

სავაჭრო და აღმშენებელი ნაწილი.

1. შეადგინეთ ანგარიში ღუქანში ნავაჭრისა.

2. მომეცით ანგარიში ბაზარში გაყიდულსა და ნაყიდისა.

3. შეადგინეთ პირობა შეშის ყიდვისა, ასაშენებელ ხე-ტყისა, აგურისა და სხვა.

4. შეადგინეთ თამასუქები და თამასუქების დაწვრილებითი აღრიცხვა.

5. ვაჭრობის მდგომარეობა.

ამხანაგობის წესი.

1. ორმა მიწის მთხრელმა ამოსთხარა სარდაფი 2 დღეში და მიიღო 10 მან. 50 კაპ. შეადგინეთ ანგარიში მოსავლისა მიწის მთხრელების შესანახად და განსაზღვრეთ; რამდენი მიიღო თვითოეულმა მათგანმა წმინდა მოგება.

2. ღურგალთა ამხანაგობამ, რომელიც შესდგება 10 კაცისაგან, იკისრა ხე-ტყის მოჭრა და სახლის აშენება 400 მანეთად. სამუშაო გაათავა ერთ თვეში. მუშაობა-

ში ამხანაგობა იღებდა ფულოსაც და საქონელსაც. 10 დღის უკან ორმა ღურგალმა მუშაობას თავი დაანება. შეადგინეთ ამხანაგობის დღიური და გასწიეთ ანგარიში. რამდენი მიიღო თვითოეულმა წასულმა მუშამ და თვითოეულმა დანარჩენმა საქმის გათავების შემდეგ.

3. შეადგინეთ ამ გვარი ამოცანები მეფეჩეების, ქვის-მჭრელების, მხატვრების და სხვების ამხანაგობებზედ.

4. ერთმა თქვენგანმა შეადგინოს სახლის გეგმა. მერე ერთად მოილაპარაკეთ, რამდენათ ხერხიანია ეს გეგმა (კრებაზედ მოიწვიეთ მცოდნე პირი). თუ გეგმა მოწონებული იქნება, დაავალეთ ერთს ან ორს შეადგინოს ანგარიში.

შეჰკარით პირობა ხე-ტყის და სხვა მასალის მოტანაზედ.

შეჰკარით პირობა საღურგლო საქმის მოიჯარადრეებთან, მეფეჩეებთან და სხვ... იქონიეთ გასავლის დღიური.


შეადგინეთ ამ დღიურზედ ანგარიში, თუ რამდენი დაჯდა კედლების აშენება, იატაკი და ყველა საღურგლო საქმე, შემდეგ ფეჩების ღირებულება, სახურავისა და სხვ...

5. სამმა გლეხ-კაცმა ააშენა წისქვილი.

შეადგინეთ ანგარიში, რა დაუჯდებოდათ ამ წისქვილის გაკეთება. (ისევ ისე იანგარიშეთ, როგორც წინა ამოცანაში).

შეადგინეთ ურთიერთთა პირობა, თუ როგორ გაიყოფენ ამ წისქვილის შემოსავალს სამივე გლეხ-კაცი.

კატო ბაქ—ძე.



ნაზრქნობი

მე კი ვიციანოდი...

სიზმარი ვჰნახე. ჩემს სწორებს თავი მოეყარათ ერთად და ჩემს შესახებ ჰბჭობდნენ... მჰკილავენდენ... მამიაბრუებდნენ..

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ის ვაჟბატონი ოცნების ტაძრის აღმართვას ჰლომის!

— ხი, ხი, ხი, ხი, ხი! კრეტსამხელათ კი ძველი ფეშტამლის აფარება ჰსურს.

— აბედს ახრჩოლებს გულის ნაცვლად საკურთხეველზე. დამსხვრეულ ჰანგზე აკორდათა ჰსკნის თვისს... „წარმტაც“ ლექსებს.

— მაგის ლექსები!.. ფხხ... მაგის ლექსები! რა მეცინება, რა მეცინება ოხ, ღმერთო ჩემო, მოვჰკვდი სიცილით.

მე უგდებდი ყურს და ვჰქვითინებდი, ვჰქვითინებდი გულ-ამოსკვნილი.

კვლავ ვჰნახე სიზმარი. კუბოში ვიწეკი. ვითა მშობელი, საკმელის კვამლი გულს ჩამხუტოდა. ჩემს თავითა და ფეხითთ კელაპტრები ჰლაპლაპებდნენ. დათალხული ხალხი რკალათ მჰქონდა გარს შემორტყმული.

— გზა, გზა მიეცი! გვირგვინი მოაქვთ. ცოცხალი ყვავილების გვირგვინი. ყველა გვირგვინს აჩერდება. შავს აღშისას ჰკითხულობენ: „ერთგულ სწორთაგან გრძნობათა მგოსანს—მშვენების ტრფი-ალს“.

ვიშ, საუცხოო წარწერაა!

ნეტავი მაგას! სამარადისო ძველი აღმართა თვისი ხსოვნისა.

„ერთგულ სწორთაგან გრძნობის ქუ-

რუმსა“ იმეორებდენ კრძალულებით სა-მარის კარად მიმცილებელნი.

ჰქვითინებდნენ „ერთგულნი“ სწორნი.

მე კი ვიციანოდი, მწარედ ვიციანოდი...

ის კი ჰმღერის...

შუ... შრრ... შუ... შრრ... შრრ...

გადის-გამოდის შალაშინი და ჰრანდავს მუხის ფიცარს, ჩაქ-ჩუქ... ჩაქ-ჩუქ... ჰხმიანობს ჩაქუჩი და ამავრებს ფიცარს ფიცარზე.

შუ... შრრრ... რახ, რუხ, რახ, რუხ — თანხმოვანად ჰმუშაობენ საღვრგლო იარაღები და ოსტატიც ხმა-შეწყობით დაჰლილინებს:

დაჰკარ ჩაქუჩო, დაჰკარი,

შალაშინს ბანი უთხარი!

გაისმის ისეთი მხიარული სიმღერა, თითქოს მეფიონისთვის ეტლს ამზადებდნენ...

გაჰრანდე, გაჰრანდე ლამაზად—აჩქარებს ოსტატი შალაშინს. ემანდ ხეჰბო არ შეჰრჩეს. სახე დაეკაწრება უფალს მიცვალეზულს...

კუბოს ამზადებენ...

ჰმღერის, ჰმღერის მეკუბოე. გულ-დას-მით ჰრანდავს, აღამაზებს კუბოს ფიცრებს, რომ მიცვალეზულს მოაწონოს საუკუნო განსასვენებელი.

— ჰარი ჰარალო ვარალო, თარი თარალო ვალალო

დაჰკარ ჩაქუჩო დაჰკარი,

ჩემს მღერას ბანი უთხარი.

ღმერთო, შიგ აღამიანი უნდა ჩაწვეს, დაიმარხოს და ის კი ჰმღერის, ჰმღერის გალაღებული.

დ. თურდოსპირელი.

მეუდაბნოე და საუნჯე

გაგონილი ლეგენდა

☉ყეში მოგზაურობის დროს მეუდაბნოე ოქროებით სავსე ყუთს წააწყდა. მან მაშინვე გადისროლა ის და დაიძახა: „სიკვდილი ვნახე, სიკვდილი ვნახე“— და განშორდა.

მახლობლად თორმეტი ყაჩაღი დამალულიყო.

მეუდაბნოეს სიტყვები გაიგონეს და ამბის გასაგებათ იმ ადგილს მიაშურეს. „აი სულელი, ფული უნახავს და სიკვდილი ვნახეო იძახდა!“— ლაპარაკობდნენ ყაჩაღები. და საუნჯე თავიანთ ქობში შეიტანეს. ბევრი ბჭობის შემდეგ მათ ასე გადასწყვიტეს: ექვსი მათგანი არაყის მოსატანად წასულიყო და ექვსს კი საუნჯე მოეცოთ. ისინი, რომლებიც გაემგზავრნენ, ლაპარაკობდნენ: „არაყში საწამლაღი შევურიოთ და ამხანაგებს მივაწოდოთ,— მაშინ მეტი ოქრო გვერგება“—ო.

დანარჩენებმა კი ასე გადასწყვიტეს:

„როცა ამხანაგები დაბრუნდებიან, თოფები გავისროლოთ, თითო ყველამ მოვკლათ და ოქროც მართო ჩვენ დაგვერჩებაო“.

ასეც მოიქცნენ.

მოკლეს ამხანაგები და ხარბათ არაყს დაეწაფნენ.

არაყი დაწამლული იყო და ყველა— მკვდრათ დაეცა.

მეორე დღეს მეუდაბნოეს ისევ იმ გზით მოუხდა გავლა. უეცრათ გზაზედ ექვს მკვდარს წააწყდა.

მან მაშინვე შეუხვია მახლობლად მდგარ პატარა ქობში და იქაც ექვსი მკვდარი დაუხვდა.

მეუდაბნოემ იქვე თვალი მოჰკრა ოქროებით სავსე ყუთს და ყრუთ ჩაილაპარაკა: „სიკვდილი იყო და სიკვდილი დარჩაო“.

ლ. ძიძიგური.



* * *

ცხოვრების უფოთში მუხლმოკვეთილმა გავხედე უკან გამოვლილ გზასა და ვწუხ, რომ კვალი არ დაუტყვია ჩემს ქვეყნად ყოფნას და ცხოვრებასა. ვწუხ: ნუთუ ისე გამოვიარე ანოდენა გზა ჩემის ცხოვრების,

რომ ვერ ავნიშნე მე უბედურმა თუნდ მცნება ჩემის ამოების?! ეჰ, ისლა დამჩა, ისლა მძევს ვალად შევნატრო იმას, ვინც არა ჩნდება და უმნიშვნელო ცხოვრების შემდეგ უმნიშვნელოდვე არ მიდის, ჰქრება...

ი. მჭედლიშვილი.



მზის ჰანგები

გუძღვნი ფილიპე შავგულიძეს

სად გაისმა ჰანგი ნელი... ცისკრის მეფე ზარებს ჰრეკავს.
ნისლი აღის მწვერვალიდან, მიწის ცვარ-ნამს თრთოლვით ჰკრეფავს...
მიწამ გახსნა თვისი მკერდი საკოცნელად მისცა მზესა...
მზე დედაა ცოდვილ მიწის, მან აყუჩა მისი კვნესა...
თავს ევლება მიწას ბურთი, აძლიერებს ტრფობის ალსა...
და უცნაურ შარვეანდით სჭედავს მიწის მომავალსა.
გადაფრქვა სხივთ-ნაკადი, ამოფეთქდა შადრევანად;
და მთის წყარომ თვისი ჰანგი, ჩამოწურა ბრძოლის ბანად...
წყარო მღერის ღამის სიკვდილს, წყარო უმღერს სხივებს ნანას...
და ეს ჰანგი იღუმალი ეფინება მთელ ქვეყანას...
მზე ამაყობს მიწის ტრფობით, თავს მრისხანედ დასტრიალებს.
და მოსილი სხივთ-დიდებით მიწად ჰგანტავს ცეცხლის ძალებს...
ეჰა! მზეო სხივ-ძლიერო, ამაყურად რისთვის ჰყივი?
ნუ, ნუ ამბობ; ყველგან ჰკრთოდეს სასიცოცხლოდ შენი სხივი.

2

აბა, ნახე, იქ საკანი
ასე რისთვის დაღვრემილა?!
იქ ვერ ატანს შენი სხივი,
იქ ვერ მეფობს შენი დილა...
იქ ბედ-კრული ადამის ძე
მისცემია ოხვრა-ჩივილს.
კვნეს, ცრემლებით ვერ იშორებს
ახალ წყლოლებს, ახალ ტკივილს!..
მოთქმით ახლის თავს ცივ ლოდებს,
ბორკილს რეცხავს ცრემლის ღვრითა.
განთიადზე ვერ იხილოს,
მოფრქვეული სხივი ცითა...
სულ ერთია ბედკრულისთვის
დღე, საღამო, ღამე, დილა...
იგი მუდამ ცრემლებს აფრქვევს,
იგი მარად მოწყენილა...
...მაშ, ნუ ამბობ, ცად შობილო,
ყველგან ჰკრთოდეს შენი სხივი...

აბა, მითხარ, შენმა სახემ,
როს გასწყვიტა ხუნდი ცივი!..

3

იქ, ხომ ჰხედავ, ცაცხვის ძირსა,
მორთული სჩანს ყრმის სამარე...
სოფლით მალე გადასულა,
შერგებია ბედი მწარე!...
იქ სულ ბნელა... წყვილია...
შავი მიწა გვამსა ჰფარავს...
იქ ვერ ატანს შენი სხივი,
ტუჩს ღიმილი ველარ პარავს!..
მას ვერ უმზერს შენი სხივი,
დანაფრქვევი, მობრჭყვრიალე!..
იქ ვერ იტყვის ცივი გვამი,
აქეთ სხივო, აქეთ მალე!..
მაშ, ნუ ამბობ, შენი სხივი,
ყველგან ჰნათდეს, ყველგან ჰკრთოდეს.
ტყუილია, ცის მნათობო,
არასოდეს, არასოდეს!..

4

მზე აინთო მთების წვერზე... მზემ დაჰკარგა ბრძოლის ძალი.
 მიელულა ცის საყრდნობზე, დაწვი უკრთის ფერ-გამკრთალი...
 მზე ლოცულობს... მიწად აფრქვევს გულის ნადებს ღვთიურ ცისას...
 მზეს ემსხვრევა სხივთ გვირგვინი, აკინძული ცისკრობისას.

5

მზეს ეწყინა ჩემი ლექსი მომადახა—გეყო, კმარა!..
 და, ნაწყენი ცის გულ-მკერდზე, თრთოლვა ბნელით გაღიხარა!!!

გ. ლეონიძე.

წ ე რ ო ბ ე ი

(ტეტრაჰარიტ)

მართხელ დავინახე ცაზე წეროები—
 გუნდ-გუნდათ ჩამწკრივებულნი მიეშურე-
 ბოდნენ აღმოსავლეთისკენ... იყო შემოდ-
 დგომის საღამო მოწყენილი და წყნარი...
 გატიტვლებულ ტყის მქენარ ფოთოლთა
 ძეწნაზე შემოდგომის ცივი ქარი სევდის
 ჰიმნს მღეროდა!..

წეროები წყნარათ, აუჩქარებლათ მიჰ-
 ფრინავდნენ და გაშლილ ფრთათა ჩრდი-
 ლი შავ ზოლებათ მიჰყვებოდა ოქროს
 სხივით მოვარაყებულ მწვერვალებზე!..

გულში გამოუთქმელი სევდით მივჩერე-
 ბოდი მე მათ—სანამ სრულიათ არ მიე-
 ფარენ ჩემ თვალთა ცქერას... არ ვიცი
 რათ მეჩვენებოდა, რომ ეს წეროები, გზა
 დაბნეულნი, უცხო ქვეყანაში დაიღუპე-
 ბიან და არას დროს აღარ ეღირსებათ
 მათ უკან დაბრუნება... იგინი მიჰფრინა-
 ვენ სადღაც შორს... შორს... ლურჯი
 ცის თვალ-უწყვდენელ სივრცეში და ისეთი
 დაღონებულნი, თითქოს ისინიც, —ჩემ-

სავით,—გრძნობდნენ თავის საშინელ
 ხვედრს... თითქოს გრძნობდნენ რომ...
 ამ გზით უკანასკნელათ მიდიოდნენ და
 კვლავ არას დროს აღარ მოუხდებათ ამ
 გზაზე გამოვლა... დამსხვრეული ქნარის
 ყრუ და სევდიან გამოძახილში არ იქნება
 ისეთი მწუხარე ხმა, როგორც ამ ერთ
 სიტყვაში: „არასდროს“!..

და ვერც შემოდგომის ქარის ნადვლით
 სავსე ქვითინი შეედრება ამ ხმას!.. იგი
 ცხოვრების ველით გარიყულ ადამიანთა
 ვაებით დაქრილ სულის მწარე აკკორდს
 მიაგავს!.. და რა ჰქნას მან, ვისაც სამუ-
 დამოთ სტოვებს რწმენა საუკეთესო მო-
 მავლისა და, სასოწარკვეთილს, ეთხოვება
 ყოველივე იმედი შარავანდელით მოსილ
 მერმისისა, როგორც ამ წეროებს, რომ-
 ლებზედაც მე ფფიქრობდი, რომ იგინი
 დაიკარგებიან და კვლავ არასდროს აღარ
 დაბრუნდებიან უკან?..

გ. გორგაძე.



შთაბეჭდილება

ღამწუხარებულად გაისმის დიდი ხარისხმა: ნაუ... ნაუუ!.. და მიიწოდებს ხალხს ეკლესიისკენ: „ტვირთ მძიმენო და მაშვრალნო, ტაძარსა შინა შეიკრიბენით, აღაპყრეთ ხელნი თქვენი, — ხატებს შესტირეთ თქვენი ურვა, მწუხარება; აქ, ტაძარში მოიპოვებთ მხოლოდ, ოდნავ მაინც, სულისა შვებას“.

გულ ჩათხრობილი, ნელის ნაბიჯით შეედევარ ეკლესიაში... დიდ ხანსა ვდგევარ არეულ გრძობით გულ ამღვრეული... აგერ, აღსავლის კარების ზემოთ, შუა ადგილას — ხატება იესოსი თორმეტის მოციქულითურთ! ერთი მადგანი ქრისტეს გამცემია — იულა...

აი, აგერ იესო ჯვარცმულიც ლახვრით განგმირული, — გარდამოხსნა მძიმედ დასვენებული. მუხლსა ვიდრეკ მისსა წინაშე.

ფიქრთა იალქანი მიმოქროლავს ჩემს ვიწრო გონების ფარგალში:

„ესე ყოველი უნდა ასე მომხდარიყო! თვით ღვთისაგან დანიშნულება იყო ასეთი!“ „ბეწვიც უღვთოთ არ ჩამოვარდება“, მაშასადამე, ყოველ ადამიანს გადახდება ის, რაც დაწერილა მის თავზე გადასავალი. ჩვენ ვერას ვაწყობთ იმ ძალებთან, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის, თავის ნება — სურვილზე ჩვენს ბედის წერას, როგორც ანძას ქარიშხალი აზანზარებს და სულაც ამხვრევს. რასაც უნდა ეკუთვნოდეს ის ძალა, ღვთაებრივს თუ ბუნებისას — უნდა დავემორჩილოთ უნებლიეთ, რადგან სუსტნი ვართ მის წინაშე“.

იღუმალი ხმა: „სუსტი ხარ, უძლე-

რი ადამიანი!.. მაგრამ მოთმინებითა შენითა მოიპოვებ სულსა შენსა; მოთმინებით ამაღლდები!“

— ვის თვალში? ან ვინ რას დაგეძებს?! თანაგრძნობი თუნდ გყავდეს მაინც თავის მწუხარებასთან ყოველი კაცი თითონ მარტოა. ან რასა ჰქვია ამაღლება!? რის მაქნისია?

ხმა იღუმალი: „ასე თუ ისე, მწუხარებას არ უნდა დაეჩაგვრინო; უნდა გახსოვდეს სასარგებლო საქმისათვისა ხარ მოწოდებული! სულგრძელება საქებურია?“

— ჩემთვის ეგ სულერთი არი... ახლა ყოველივე ჩემთვის სიცალიერეს წარმოადგენს — როცა ვგრძნობ სულის ობლობას — სიმარტოვეს. ძნელია, ძნელი, ძვირფას არსების დაკარგვა.

ხმა იდ: „ძნელია, მაგრამ, სრულ სიმარტოვეს მხოლოდ ისა გრძნობს, ვისაც ქრისტეზე ფიქრი განშორებია... არ ითვალისწინებს მის წამებას, — მის სულგრძელებას...“

გახსოვდეს, იესო თანაგიგრძნობს შენ, თუ სპეტაკი ხარ გულით — გონებით! და ეს ყველაზე უმჯობესია! იმ ქვეყნად ისევ შეგახვედრებს გულით საყვარლებს“.

— ქრისტევ! რომ ვიცოდე დაქვემდებარებით მადლიანსა თვალსა შენსა ავლებ ჩემს მწუხარე გულს, მწუხარე ფიქრთა!.. ვიცოდე იმ ქვეყნად მაჩვენებ ვინც გულის მახლობელი დამიკარგავს, ქრისტევ, ჩვენთვის ტანჯულო, ვიქმნებოდი შენით რამოდენიმედ ნუგეშცემული!

ნა...უ...უ!.. მოამესმის ფიქრში წასულს თითქო ნუგეშათ, და თანაც ივსება ისევ


საყვედურით ობოლი სული: „ქრისტე კაცობრიობის კეთილ დღეობისთვის იყო წამებული, ამ ჩემს მწუხარებას კი, ვისთვის რა სარგებლობა აქვს? ჩემი ტანჯვა, დაჩაგვრა—ვისთვის იყო საჭირო?! ვის რა შეეძინა ამით, რომ ძვირფასი გულის საუნჯე დაეკარგე,—მიწამ მიიბარა... „რათ დავიბადეთ, თუ აუცილებლად უნდა მოვმკვდარიყავით“?!

იღ. ხმა. „ჩვენ ვერ შევცვლით ღვთისა და ბუნების კანონს, ვერც ავხსნით—რის ახსნაც არ შეგვიძლია... ვერ მივწვდებით სიბრძნესა მისსა.“

— კიდევ გამოურკვევლობა... დუმილი...“ ბურანში წასულს მარკვევს ისევ

ზარის გუგუნი და თითქო იმისგან ველი პასუხს—ახსნას ზეცის და ქვეყნის ამოცანისას... მაგრამ გამოარკვეულს არას მეუბნება, მხოლოდ საიმედო ხმაზე გაისმის ზარის ხმა, და ვერ გამომიცვნია—რა ნუგეშს მაძლევს, რას მეუბნება? რალასაც კი თითქო მპირდება—რალასაც მამცნებს იღუმლად—ზეციურს ცხოვრებაზე. მინდა გაგება ზარის ხმაში საიდუმლო ხმის,— გულისყური შეექსოვა მას—და როცა ზარი აღარა რეკს მაშინაც კი დაუსრულებლად მოესმის და არა შორდება ჩემ ყურთა სმენას—ნა... უ... უ!.. ნა... უ... უ!..

გულ-გატეხილი.



*
* * *

რისხვით დაშქრალა გრიგალმა ქარმა,
გამხსიანა გულის ებანი;
ბობქარ ზღვისა ზვირთთ შეუერთა
სულის კვეთება-მისწრაფებანი.

იქ შეუბოკარ ტალღათა შორის
ვისწავლე ბრძალა შეუერთებულა
და მისწრაფების დიადი ცეცხლი
გულში მეგზვნება დაუქრებელი!..

და ქარტეხილში, ზვირთთ მთაგრეხილში
გამბრძმედილი გონების თვალა
თვით ზღვას უდარებს—უფსკრულს აზროსი—
[ღრმეს
და ვერდა აკრთობს მას ვერა ძალი!—

დაე, თან მსდევდეს ბედი მუხთალი
უკუღმართობით ამ წუთის სოფლის;
არავინ იუფს მსასრებელი
თავგანწირულის და სულით ობოლის,—
ფრთას არ შეაკვეცს თვის ებანს გული—
ზღვის ქარტეხილში ნაწრთობ-ნაბრძმედი;
ვერ წარმიკვეთოს მე მარტობამ
გამარჯვების შტეციცე იმედი!..

...ახალი, წმინდა იდეალისთვის
ბრძალაში ბრძალის ცეცხლით დამწვარი
ფერფლით აღსდგება კვლავ მომავალში
ვით აღგზნებული წმინდა ღამზანი!..

იღ. გოგია.

დ. ონი.



ბაქოს სახალხო სკოლები

თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში არსებული სახალხო სკოლების იდეალურად დასახვა, მათს სარგებლიანობაზე მსჯელობა ნამდვილი მიზნის აღსრულების საქმეში, ეს ცოტა არ იყოს სინამდვილისა და ტემპარიტების წინააღმდეგი იქნებოდა.

მაგრამ არსებულ პირობებშია ც ამა თუ იმ ტიპის სახალხო სკოლებს აქვს თავისი დადებითი მხარეები, რომელთა აღნიშვნა ზოგჯერ საჭიროა და აუცილებელიც. საქმე იმაშია, რომ რუსეთის იმპერიაში არსებობს მრავალი სხვა და სხვა ტიპის სკოლა: საეკლესიო, საერო, სამინისტრო, გზათა უწყების, ქალაქისა, ერობის, კერძო და სხვა..

ყველაზე მეტი ყურადღების ღირსი თავისი ისტორიული წარმოშობით და დღევანდელი ორგანიზაციათ: თვითმართველობის ორგანოთა სკოლებია.

სამინისტროს თავისი წვრილი მოხელეების საშუალებით ყოველთვის შექონდა და შეაქვს ასეთს საზოგადო ტიპის სკოლებში თავისი პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ორ გვარია: თავისი სამოსწავლო პროგრამის გატარება და ადმინისტრაციული უფლების ხელში ჩაგდება. სწორედ ამ ნიადაგზე ხდებოდა და ხდება შეტაკება ამ ორ ორგანოთა შორის და გამარჯვება ყოველთვის რჩებოდა თვითმართველობის ორგანოს, რომელიც კი ბოლომდე მისდევდა ბრძოლის ტაქტიკას. ადმინისტრაციული უფლების შენარჩუნება და ამ უფლებით სარგებლობა ხელს უწყობდა მასწავლებელთა შედგენილობის განკარგულების

საქმეს. თავის თავად ცხადია, რომ თუ მასწავლებელთა შედგენილობა კარგია, სკოლაც შედარებით, კარგს ნიადაგზე დადგება და ცოტაოდნად მაინც დაუახლოვდება დასახულს მიზანს...

ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს სკოლები საზოგადო ტიპის სკოლებია, უფრო კერძო ტიპის სკოლები, რომელსაც ინახავს მთელი თავისი ხარჯით, ხაზინის დაუხმარებლათ, კერძო წესდების ძალით მოამქმედი და არსებული ორგანიზაცია— ნავთის მრეწველთა საბჭო. თამამად შემძლია ვსთქვა, რომ ისე არც ერთს ჩვენს საზოგადო თვით-მმართველობას არ გამოუყენებია და არ უსარგებლებია მინიჭებული ადმინისტრაციული უფლებით, როგორც მოხსენებულ საბჭოს. მასწავლებელთა არჩევის დროს ნავთის მრეწველთა საბჭო უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა, რა თქმა უნდა, სხვა ოფიციალურად საჭირო მოთხოვნილებებთან ერთად, მასწავლებლის მიმართულებას, თუ რამდენად პროგრესიულია, სალი შეხედულებისაა სკოლაზე, მის მიზანზე და ხალხის გათვითცნობიერების საქმეზე დასახელებული კანდიდატი. ამ მიზნის განსახორციელებლად საბჭო ყოველთვის სარგებლობდა მასწავლებელთა რჩევით და 15 წლის სამრეწველო სკოლების არსებობის განმავლობაში მხოლოდ 4 შემთხვევა ყოფილა, როცა მასწავლებელთა მიერ წამოყენებული კანდიდატი არ დაამტკიცა საბჭომ. სწორედ ასეთ ტაქტიკით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს მასწავლებელთა შედგენილობა მოხსენებულ სკოლებში შედარებით, რა-

საკვირველია, სასურველია და თავის და-
ნიშნულებას ჯეროვანათ ემსახურება. ამ
მოვლენას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს,
მასწავლებელთა ნივთიერის მხრით უზრუნ-
ველ ყოფაც.

საბჭო ამ ეამად 10 პირველ დაწყებით
სკოლას ინახავს. ყველა სკოლებზე იხარ-
ჯება წელიწადში 148,313 მანეთი, თითო
სკოლაზე შუათანა რიცხვით—14,831 მა-
ნეთი. მასწავლებელს ძირითად ჯამაგირად
აქვს დანიშნული 720 მანეთი, ბინის ქი-
რათ 360 მანეთი. ყოველ წლიური საჩუ-
ქარი საშობოთ ერთი თვის ჯამაგირი—
90 მან. სულ 1170 მანეთი, ზაფხულის
ჯამაგირი მასწავლებლებს ერთბაშათ ეძ-
ლევათ მაისის დამლევს, მოწაფეთა დათ-
ხოვნის შემდეგ. ჯამაგირს ღებულობენ
ყოველი თვის 15 რიცხვში. ყოველი ხუ-
თი წლის შემდეგ ჯამაგირს ემატება 20%
გარდა ამისა მასწავლებლებს და მათ ოჯა-
ხებს ეძლევათ უფასო სამკურნალო დახმა-
რება.

10 სკოლიდან მხოლოდ 3 სკოლაა ნა-
ქირავებ შენობაშია მოთავსებული. 7 სკო-
ლას საკუთარი შენობები აქვს. რამდენათ
უპასუხებენ ეს შენობები გიგიენურს პი-
რობებს და მოთხოვნილებებს, ეს იქედან
შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მაგალითად,
„ზაბრატის“—ერთკლასიანი სკოლის შე-
ნობა 43,000 მანეთზე მეტი დაჯდა, სა-
ბუნჩის 50,000 მეტი ჯდება...

— მოწაფეები უფასოთ სარგებლობენ
რვეულებით, კალმებით, მეღნით, ქალა-
ლით და ღარიბები წიგნებითაც.

სამკურნალო დახმარების საქმე ხომ
სამაგალითოთაა მოწყობილი. ექიმი ვალ-
დებულია ყოველთვის სკოლას წარუდგი-
ნოს საბჭოს ანგარიში მოწაფეთა ჯანმრთე-
ლობის შესახებ. ძლიერ სუსტ ბავშვებს
ყველა სწავლიდან გამოყოფენ ხოლმე

ცალკე ჯგუფად და საზაფხულო კალო-
ნიაში ათავსებენ.

ყველა სკოლებში მოწაფეებს ეძლევათ
საუზმე. საუზმეებზე იხარჯება წელიწადში
12,800 მანეთი.

საჭიროთ მიმაჩნია აქვე მოვიყვანო ერთ
ერთი სკოლის 1914 წლის ხარჯთ-აღრი-
ცხვა.

რომანინის ერთკლასიანი სკოლა

	მან.
1. ჯამაგირები მასწავლებლებს .	7,340
2. — 3 მცველს . . .	900
3. ბინის ქირა მასწავლებლებს .	1,680
4. „ „ მცველებს . . .	120
5. გათბობა	450
6. განათება	80
7. წყალი	140
8. ბიბლიოთეკა, ჟურნალები .	210
9. თვალსაჩინო ხელსაწყოები .	150
10. ქონება	100
11. გაზეთები	20
12. საკანცელარიო და გზის ხარ- ჯათ გამგეს	300
13. შობის ხე	150
14. შენობის შეკეთება	700
15. ქონების	150
16. დაზღვევა	250
17. საუზმეებისათვის	2000
18. სახელმძღვანელო წიგნების, რვეულების და სხ.	280
19. ექსკურსია და სხვა მოწ. გარ. .	300
20. საზაფ. კოლონია	300
სულ .	15,620

ამნაირად ერთ სკოლაზე იხარჯება თი-
თქმის იმდენი, რამდენსაც მაგალითად,
ქუთაისის და თბილისის თვით მართვე-
ლობები, ხარჯავენ 4 სკოლაზე...

მასწავლებლები იკრიბებიან ყოველ
ორშაბათობით საბჭოს დარბაზში, არკვე-

ვენ პედაგოგიურ სხვა და სხვა საკითხებს, ადგენენ ოქმებს და თავიანთი გადაწყვეტილებანი სისრულეში მოჰყავთ...

მასწავლებელი სრული პასუხის მგებელია თავისი კლასის და ეს გარემოება კი ხელს უწყობს სწავლის რიგიანათ მსვლელობის საქმეს...

ძლიერ საინტერესოთ მიმაჩნია გავაცნო მკითხველებს სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი, რომელსაც თავისი ისტორია აქვს ბაქოს სამრეწველო სკოლების ისტორიაში, მაგრამ ამ საკითხზე შემდეგ წერილში მოველაპარაკებით მკითხველებს.

ვ. ობჩელი.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი

იანვრის 26 თბილისში დიდის ამბით ილღესასწაულეს ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწის და ნიჭიერი მსახიობის კ. დ. ყიფიანის 45 წლის მოღვაწეობა ქართულს სცენაზე. ჟურნალ „განათლების“ რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს კ. ყიფიანის დიადს ღვაწლს სამშობლოს წინაშე და უსურვებს მას კიდევ მრავალ წელს განეგრძოს ის უანგარო სამსახური, რომელსაც იგი 45 წლის განმავლობაში ერთგულად, ნიჭიერად და სიყვარულით ეწეოდა. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს მოკლედ მაინც გავაცნოთ ამ პატიოსანი მამულიშვილის საზოგადო მოღვაწეობა, შრომა და ამაგი სამშობლოს წინაშე. ამისთვის ვსარგებლობთ გაზეთ „თემში“ დაბეჭდილის წერილით.

კოტე ყიფიანი დაიბადა 3 მარტს 1849 წელს. მისმა მშობლებმა დიმიტრი ივანესძემ და დედამ—ნინომ, იაგორ ჭილაშვილის ასულმა, ყოველი ღონე იღონეს, რომ თავიანთ შვილებისათვის, ელენესა, ნიკოსა და კოტესათვის მიეცათ სათანადო განათლება. ქართული ენა მან მხოლოდ 16 წლისამ ისწავლა პეტერბურგში. მას შეუყვარდა ძალიან მხატვრობა, რომლის შესწავლაში ხელი შეუწყო მისმა

დიდმა მამამ. ამ მიზნით იმან წაიყვანა თავის შვილი პეტერბურგს 1866 წელს და მიაბარა სამხატვრო აკადემიაში. საუბედუროდ კოტეს შეხვდა თვალის სენი—ტრახომა, რომლისაგან იგი, მართალია, განიკურნა, მაგრამ მხედველობა დაუზიანდა და ამიტომ იგი იძულებული შეიქმნა თავი დაენებებინა სამხატვრო აკადემიისათვის და ისევ გიმნაზიის კურსს დაჰბრუნებოდა.

კოტემ დაიჭირა მოსკოვში გიმნაზიის სრული კურსის ეგზამენი და შევიდა პეტროვო-რაზუმოვოს სამეურნეო აკადემიაში, სადაც დაჰყო 4 წელიწადი. საბოლოოდ ეგზამენი კოტემ ვერ ჩააბარა, რადგანაც მამის ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. აქ სააბაშიოს ყველა მონაწილეებმა სთხოვეს მათი მამულების უფროსი გამგებლობა: კოტე დასთანხმდა. ამავე დროს კოტე დანიშნეს ქუთაისში მესამე ნაწილის საექციზო ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ, მაგრამ სამსახურს თავი მალე დაანება უფროსთან უსიამოვნების გამო. 1873 წელს კოტე გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. მან დასტამბა ქანანაშვილის „მოამბეში“ წერილი



1861

18

18

1865

1875

1866

1867

1866

ქართული თეატრი
შისთანა
კონსერვაციის ცენტრის
ყოფილი
სკოლის სკოლის
45 წ. იუბილე

1861-1914

„მოგზაურობა სვანეთში“. 1875 წ. მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ კოტე მიიწვია ბორჯომის მამულის გამგებლის თანაშემწედ, მაგრამ რადგანაც მამა მისმა დიმიტრიმ დაუწყო დავა ხაზინას ბორჯომის ხეობის ერთი მეათედის გამო, კოტე იძულებული გახდა დაენებებია თავი სამსახურისათვის.

პირველად კოტე სცენაზედ გამოვიდა 17 წლისა — 1866 წელს. თამაშობდენ საქველმოქმედო მიზნით დიმიტრი ყიფიანის ნათარგმნ კომედიას „ცოლის შერავევიენებას“. ქალის დორიმენას როლს ასრულებდა ვასილ მაჩაბელი და პაქისას — კოტე. 1871 წ. თბილისში დაარსდა ქართულ წარმოდგენების გამმართველი წრე დიმიტრი ყიფიანის და იოსებ მამაცაშვილის ხელმძღვანელობით. წრეს მიზნად ჰქონდა შემოსავლიდან დახმარება აღმოეჩინა სტუდენტებისათვის. ამ წრეში დიდ მონაწილეობას ღებულობდა კოტე, რომელიც ყოველნაირ როლების ასრულებას კისრულობდა.

კოტეს მუშაობა უფრო გაცხოველდა, როდესაც დაარსდა მუდმივი დასი (1879 წ.)

იგი გამოდიოდა როგორც ჩვენი ყოფაცხოვრების დამახასიათებელ, ისე კლასიკურ რეპერტუარის პიესებში. დაუვიწყარი იქნება მნახველთათვის მისი გიჟო გ. სუნდუკიანის „პეპოში“, სე. ლეონიძე „სამშობლოში“, ანანია „ლალატში“, „ამეფე ლირი“, „რიშელიე“ და სხ.

კოტე აგრეთვე ძალიან ახლოსა სდგას ლიტერატურასთან. მონაწილეობას ღებულობს ქართულსა და რუსულ გაზეთებში. სხვათა შორის, თანამშრომლობს ჩვენს გაზეთშიაც. მან შეადგინა: რუსულ-ქართული საასტრონომიო, საზოოლოგიო და სამინერალოგიო ლექსიკონი და აგრე-

თვე რუსულ-ქართულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი. კოტეს დაწერილი აქვს რამდენიმე ორიგინალური პიესა, აქვს აგრეთვე გადმოთარგმნილიც.

უკანასკნელ დროს ჩვენი მსახიობი გამოდის სახალხო სახლის სცენაზე და ძალიან ეხმარება თავის მუშაობით ამ სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების გამმართველ წრეს. ეს სამსახური მუდამ დაუვიწყარი დარჩება ქართველ მუშების გულში.

კოტე ყიფიანს შესწავლილი აქვს სოფლის მეურნეობაც. ამასთანავე გულშემატკივარი პირია თავის სამშობლო ქვეყნისა.

მან ქართულს ენაზედ სთარგმნა და დაბეჭდა ცნობილ ევროპიელ მეცნიერის ლიპერტის წიგნი „კულტურა“. მანვე შეადგინა და შეიმუშავა მცენარეულობის (ბოტანიკა), მინერალოგიის, გეოლოგიის, ფიზიოლოგიის, ანატომიის და სხვა სამეცნიერო ტერმინების ქართული ლექსიკონი და იგი ცალკე წიგნათაც გამოსცა.

კოტემ სთარგმნა აგრეთვე ქართულს ენაზედ ბულგარული დრამა, რომელიც ადრე ჟურ. „ივერიაში“ დაიბეჭდა. ცოცხალ მოქმედების და აზროვნების ცხადი დასამტკიცებელი გახლავსთ ის გარემოებაც, რომ მან აღწერა 1832 წლის ქართველთ მოღვაწეთა თავ-გადასავათი და სულიერი ვითარებანი, რასაც თან სდევს დამწერის ღრმა სიმპატია.

კონსტანტინე ყიფიანის მოღვაწეობა საზოგადოდ მრავალფეროვანია. მას ღვაწლი მიუძღვის როგორც ქართული სცენის წინაშე, ისევე ქართული მწერლობის, ქართულ ჟურნალ-გაზეთების წინაშეც.

ამიტომ არ იქნება მეტი და ურიგო,



კ. ყიფიანი.

რომ სასცენო—სათეატრო მოღვაწეობას-
თან იყოს მოხსენებული აგრეთვე ეს სამ-
წერლო მოღვაწეობაც.

კოტე ყიფიანს საზოგადო საქმიანობაში

ბევრს ჰშველის მეუღლე მისი ნინო, ბე-
ჯან ტატიშვილის ასული, რომელიც კარ-
გა ხანია ჰმოღვაწეობს საზოგადო ასპა-
რეზზე ჩვენში.



სრულიად რუსეთის სახალხო

მასწავლებელთა კრება

ჰეტერბურგის სახალხო მასწავლებელთა კრებას რუსეთის უოველ კუთხიდან აუარებელი მასწავლებელი მონაწილედა. მათი საერთო რიცხვი ათასამდე ავიდა. ხოლო ძალიან ბევრი იძულებული გახდა კრებაზე დასწრების სურვილზე ხელი აეღო, რადგან საარგანიზაციო კომიტეტმა, უადგილობის გამო, კრებაზე დამსწრეთა რიცხვი განსაზღვრა.

მრავალრიცხოვანი უცხო ხალხის სტუმრობა უზარმაზარ ჰეტერბურგსაც შესამჩნევად დაეტყო. ტრამვაის ვაკონებში, ქუჩებსა და სასადილოებში მასწავლებელნი საერთო უურადლებას იქცევდნენ. მთელი საზოგადოება ამ არა ჩვეულებრივ კრებით იყო დაინტერესებული და უოველგან მასზედ მსჯელობდნენ. გაზეთებიც ზოგი ცხანკე და აღზნებული თანაგრძნობით, ზოგიც მძულვარებითა და ბოროტებით აღსავსე წერილებს უძღვნიდნენ კრებას.

საარგანიზაციო კომიტეტს შრომა და ჯათა არ დაეზოგა და უველაფერში შეძლების დაგვარად წესრიგი დაემყარებია. მასწავლებელთა დიდ ნაწილს ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში საერთო ბინები მიუჩინეს.

თორმეტი დღე ინტენსიურ მუშაობაში გაატარეს კრების მონაწილე მასწავლებლებმა. ცხადია ძნელი და შეუძლებელიცაა ამ კრანდიობულ, რუსეთის სახალხო სკოლების ისტორიის ერთ ბრწეინვალე და თვალსაჩინო მოვლენის სრული ანგარიშის აღნიშვნა და მისი მუშაობისა და მნიშვნელობის ნათლად დასურათება.

ამ მრავალრიცხოვან კრებაზე აუარებელი რეზოლუციები იქმნა გამოტანილი; რეზოლუცი-

ციები 7 ათას მასწავლებელთა მხურვალე და ცხოველი მუშაობის ნაყოფია.

მასწავლებელთა კრებას, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესად ჰელაგოტიური ხასიათი ჰქონდა. აქ უზირველესად სახალხო განათლების საკითხები იჩნეოდა, ხოლო ხანდისხან საქმის მდგომარეობას და მსჯელობის ლოდიკურ დასკვნას მიჰყავდა ესა თუ ის მომხსენებელი, ანუ არატორი ადგილობრივ თვით-მართველობათა შემოღების, მისი დემოკრატიზაციის საჭიროების აღიარებამდე.

უველაფერი, რაც კი კულტურულ ქვეყნიერებას და მოზროვნე კაცობრიობას შეუქმნია, კრებაზე დრმად, ფართოდ და დაწვრილებით იყო განხილული და აწონილ-დაწონილი. არ დავიწეებიათ რუსეთის თავისებური ცხოვრებაც და ის ადგილობრივი პირობები, რომელშიაც უხდება მოღვაწეობა მასწავლებელს რუსეთის ვრცელ ტერიტორიის სხვა და სხვა კუთხეში.

მთელი კრება 5 სექტიად და 3 კომისიად გაიყო. უველა სექციისა და კომისიისაში მასწავლებელთათვის დიდად საურადდებო საკითხები იჩნეოდა, სადაც თვის მოხსენებებს კითხულობდნენ რუსეთის გამოჩენილი ჰელაგოტები და აქვე სახალხო მასწავლებელნი თავის აზრსა და შეხედულებას გამოთქვამდნენ ხოლმე. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია, ვისაც კი ცოტათი არის მაინც რაიმე დამოკიდებულება აქვს სახალხო განათლებასთან. სხვა და სხვა სექციებში მოხსენებები წაიკითხეს ვახტურგ-

მა, ჩეხოვმა, შოხოროვმა, გერდმა, ინსენმა, ზაჩინიაევმა, დუშეჩინმა და მრავალმა სხვამ. ადამიანს გსურდა ეოველგან დასწრებოდა და ეველასათვის მოესმინა, მაგრამ ეს ფიზიკურად შეუძლებელი იყო. არა რუსთა უმრავლესობა თავის სამღრთო მოვალეობათ სთვლიდა ჩვენთვის სამკვდრო-საციცოცხლო საკითხთა გამძიდველ კომისიაში ევლო.

ამ უზარმაზარ კრების სხდომების ერთ შენობაში მოწყობა შეუძლებელია და აკი კიდევ ამ სხდომების მუშაობა საგრძობელი მანძილით დაშორებულ ჰეტეროგენის ოთხ სხვა და სხვა ადგილას მაშინდინარობდა: სახლხლო სახლში, ტენილოგიურ ინსტიტუტში, ქალთა უმაღლეს კურსებზე და თეატრ „ზონში“.

კრება გაიხსნა 23 დეკემბერს და სექციები მუშაობას ამ დღიდანვე შეუდგნენ.

არა რუსთა სექციის სხდომები ტენილოგიურ ინსტიტუტში წარმოებდა. 23 დეკემბერს საღამოთი ტენილოგიურ ინსტიტუტის აუდიტორია ხალხითაა სავსე. ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს: ებრაელი, ლატვი, ესტონელი, ლიტველი, ბოლგარელი, კირგიზი, თათარი, სომეხი, ქართველი, მორდველი, კორელი, ბურიატი და სხვა მცირე ერთა წარმომადგენლები. მაგრამ ეველასზე ბლომად უკრახილები არიან.

„ინოვაციების“ სექციის თავმჯდომარედ საზოგადო კრებამ ტუმიში აირჩია. მის ამხანაგებად სექციამ აირჩია სახელმწიფო. სათათ. წევრნი ჰეპელიაევი, მუსულმანთა ფრაქციის თავმჯდომარე ენიკევი, დუბოსარსკი, და ქინი რუსაკისა.

სექციის, თავმჯდომარის შემდეგ, მიესალმა ციმიბრის მცირე კრებებათა სახელით სახ. სათ. წევრი ჰეპელიაევი და სახელმწიფო. სათ. მუსულმანთა ფრაქციის სახელით ენიკევი. ლამაზი და მხიბლველი სიტყვა წარმოსთქვა ჰეტეროგენის ნაფიცმა ვიქილიმა დუ-

ბოსარსკიმ, რომელმაც ცხარე კრიტიკა გაუკეთა არსებულ სწავლების უკუდართ წესებს განსაკუთრებით არა რუსთა სკოლებში.

24 დეკემბერს არა რუსთა სექციაში უკრახილების მხრით სამი მოხსენება იქმნა წაკითხული. სამივე მომხსენებელი უსაზღვრო გულისწყერლობით აღნიშნავდნენ უკრახიში გამოეზულ გამარუსებულ დოლოტიკას და ამტკიცებდნენ მათ ქვეყანაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებელ საჭიროებას. მოხსენებელთა შემდეგ კამათი გაიმართა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უკრახიელ მასწავლებელთა კარდა სხვა ერთა წარმომადგენლებმა. ეველას ადფროფანებით და კატაციებით ამტკიცებდა, რომ სწავლა-აღზრდის დიდსა და წმინდა საქმეში ჰოლიტიკას და ძალდატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ეველას თავისუფლება უნდა მიენიჭოს—სახლხლო განათლება თავის სურვილისამებრ აწარმოვოს. ეველას შეხმატვბლებულ დიფერამბებს უგალობდა სად ჰედაგოგიის მოთხოვნილებათ და სკოლთა სამართლიანობას; დარბაზში ზეწარმტაცა და ამაფროფანებული ატომსფერა მეფობდა. ამ დროს ტრიბუნაზე აღის შუნდირში გამთწეობილი ვილაც შახვერდოვი და საზიზდარი უტიფრობით დისონანსი შეაქვს სკოლთა შეთანხმებულ ჰარმონიაში. ის ამტკიცებს, რომ სახლხლო სკოლების მიზანია, ეველას კროფნება კათეფიფოს რუსეთის დიდ სახელმწიფოში და აშას, მისი ფიქრით, ეველასზედ უკეთ რუსი მასწავლებლები შეასრულებენო. შახვერდოვის სიტყვებმა მთელი დარბაზი შეაძრწუნა და ცხარე უკმაყოფილება გამოიწვია. გაისმა სტვენა და უკირილი. „მუნდირიანი ჰედაგოგი“ (ამ სახელით მონათლეს ეს სახელფანი გვამი) იძულებული გახდა ტრიბუნა დაეტოვებია და შერცხვენილი გაზარულიყო. ამის შემდეგ მასწავლებლები ერთმანეთს ეცილებოდნენ „მუნდირიანი ჰედაგოგის“ საქციელი დაეგმოთ და მისი სიყალბე

ვენ პედაგოგიურ
ადგენენ ოქმე
ტილებანი სის
მასწავლებლ
ლია თავისი
ხელს უწყობ
ლობის საჭ

აკა
ბაზი
მეტად
ელიკორთ-
წინააღმ-

ების მოხსენე-
საზოგადოდ უკ-
ელთა კრების წინა-
განად მომზადებული.
ურადღებო და შინაარსიან
ოდნენ და უოველ მხრით
ინაში სახალხო განათლების
, უკრანელების ჭირსა და
ელტოფას და მისწრაფებას. მა-
, უკრანელების საზოგადო მოღვაწე
უსეთის პედაგოგიურ ლიტერატურაში
დ ცნობილი ქ-ნი რუსოვის მხურვალე
ანწილეობას იღებს კრების უველა სექცი-
ში და უველან უკრანელებისა და არა რუსთა
საჭირობროტო საკითხებს ეხება.

ჩვენ კი, ქართველები, მკრთალად ვჩანდით
ამ მთელი რუსეთის სახალხო განათლების
დღესასწაულზე. რუსეთის უოველ მხრიდან და
კუთხიდან შეგროვილ 7 ათასს სახალხო მას-
წავლებელისთვის ჩვენი ვინაობისა და მდგო-
მარეობის გაცნობა და მათი თანაგრძობის
დამსახურება მთელი რუსეთის ხალხის თა-
ნაგრძობას უდრის და ვთქვამთ, ამ შემთხვე-
ვას უურადღებით უნდა მოპყრობოდნენ განსა-
კუთრებით ისინი, ვის მოვალეობას ეს შეად-
გენდა.

ქართველი მასწავლებლები კრებაზე 15—
20 კაცი იქნებოდა, რომელთა ხმა ასე თუ
ისე მხოლოდ არა რუსთა კომისიაში გაისმო-
და. დანარჩენ სექციებში, სახელდობრ მე-5-
ში ქართველთაგან მხოლოდ შემახის სამოქა-
დაქო სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-ნმა
მჭედლიძემ წაიკითხა ერთი მოხსენება შემ-

დგე თემაზე— „ნამდვილი საგნები და სურათე-
ბი ზეპირი და წერითი აზრის გამოსახატა-
ვად“...

შემდეგ სხდომებზე წაკითხულ იქმნა მოხ-
სენებები მაჭმადიანების, ვირგიზების, კარე-
ლების, იაკუტების, ლატიშების, ლიტოველე-
ბის, ციმბირელი წვრილი ერების, ებრაელე-
ბის, სომხების, ქურთების, ქართველების და
სხვების. ერთი სიტყვით არ დარჩენილა თით-
ქმის არც ერთი რუსეთში მცხოვრები ერი,
რომელსაც თავის წარმომადგენელის პირით
არ გაეცხადებოდა თავისი მდგომარეობა, სურ-
ვილი და მისწრაფებანი. გამონაკლის შეად-
გენდნენ მხოლოდ პოლონელები, რომელნიც
რუსეთის მასწავლებელთა კრებას ბოიკოტით
შეხვდნენ.

უველა ერის სახალხო სკოლების და გა-
ნათლების შესახებ თითქმის ერთგვარი ანა-
ლოგიური დადგენილებანი გამოქონდა კრებას.
მოხსენებებიც ხშირად ერთნაირ მდგომარეო-
ბასა და სურათებს გვიხატავდნენ და ურთი-
ერთის დამატებას წარმოადგენდნენ.

მაჭმადიანების მხრით მოხსენება წაიკითხა
სახელ. სთ. მუსულმანთა ფრაქციის თავ-
მჯდომარემ ენიკეევმა. მაჭმადიანთა სკოლების
შესახებ რეზოლიუციების კენჭის-ყრის დროს
ერთმა სომეხმა მასწავლებელმა შესწორება
შეიტანა, რომ ნაციონალური საზომით არ
ისაზღვრებოდეს მასწავლებელის სამოქმედო
ანზარეზი. მაგალითად მაჭმადიან ლეკს უოველ
შემთხვევაში უნდა შეეძლოს მასწავლებლობა
კაუწიოს ერთ მოწმუნე ხალხს, რომელ
ეროვნებისა არ უნდა იყოს იგი. ამ შესწორე-
ბამ ცხარე კამათი გამოიწვია ქართველების
მხრით, როდესაც, სხვათა შორის, ქ-ნი ჩი-
ჯავაძე შეუძლებლად და უაზროდ სცნობდა უა-
ყაზანელი თათრის ქართველი მაჭმადიანების
სკოლაში მასწავლებლად განწესებას, რის
შემდეგაც შესწორება უარყოფილ იქმნა.

მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა

ებრაელების მხრით ნათქვამი ვეჭვილმა გოლფერტმა. კამათის დროს დ. უზნაძემ გააცნო კრებას ქართველ ებრაელების მდგომარეობა.

29 დეკემბერს წაკითხულ იქმნა მოხსენებანი სომხებისა და ქართველების შესახებ. სომხების სახელით მოხსენება წაკითხა სათათბიროს ეოფილმა დეპუტატმა სომეხთა შორის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ტიგრანისმა. ქართველებისაგან — ქუთაისის პირველ-დაწვევითი სკოლის მასწავლებელმა ა. ბურკაშვილის ასულმა და თქვენმა უმორჩილესმა მონამ, ამ სტრუქტურების დამწერმა. ამათ გარდა წაკითხულ იქმნა ორი მოხსენება: ბურჯანაძის, სადაც დახასიათებული იყო უმთავრესად ქართველთა და სომეხთა სკოლების მდგომარეობა და ნაჩვენები იყო ჩვენში სახალხო განათლების გასაუმჯობესებელი საშუალებანი, და კახანაშვილის მეუღლის, სადაც ციფრებით ამტკიცებდა, თუ რა თვალსაზრისში მცხოვრებ უგულვლო ეროვნებათა ბავშვებს, 1905 წლიდან ნაციონალურ სკოლის სასარგებლოდ შემოღებულმა მცირედმა ცვლილებამც კი.

შემდეგ კამათი გაიმართა, როდესაც დ. უზნაძემაც ილაპარაკა. კამათის გაგრძელება, უდროობის გამო, მეორე დღისათვის გადაიდო. მეორე დღეს ილაპარაკეს ჩვენმა დეპუტატებმა — კ. ჩხეიძემ და ვ. გელაგანიამ.

გარდა ჩხეიძემ მოუწოდა მასწავლებელთა გაიმსჯელონ სამართლიანი და დემოკრატიული პრინციპებითა და შესჯდნენ, გაავრცელონ იგი ხალხში და მათთან ერთად საქმით შეეცადონ მის დაშვარებასა და განხორციე-

ლებას, რისთვის მარტოოდენ თეორეტიული მსჯელობა უძლეური და თითქმის უნაყოფოა.

ვ. გელაგანიამ თავის სიტყვაში, სხვათა შორის, ის აზრი გაატარა, რომ განაპირა ქვეყნების და თვით რუსეთის სახალხო განათლება მაშინ დადგება სასურველ დონეზე და, საზოგადოდ, მთელი ქვეყნის ცხოვრება შედარებით მაშინ გაუმჯობესდება და წაღმა დატრიალდება, როდესაც უზარმაზარ, მრავალერებიან აჭრელებულ რუსეთის ბედ-იღბლის გადაწყვეტა და თავიანთ შინაური საქმეების გაძღვლა და მოგვარება ფართო მასშტაბის გადაცემა, დეპუტატების სიტყვებს კრება აღფრთოვანებული ტაშისცემით მიეგება.

კრებაზე ქ-ნ მენდუჩინსკაიას დასხვების მხრით ისეთი ხმებიც გაისმოდა, რომელიც ვითომ საერთო საკაცობრივ მიზნისათვის ეროვნულ გრძობის დათურგვისა და ნაციონალურ ინტერესების დათმობისაკენ მოგვიწოდებდა, რაც სუსტ თანაგრძობას ჰყოლებდა.

არა რუსთა კომისიაში სხვა და სხვა მსჯელობისა და კამათის დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ორი არა მასწავლებელი ქართველი — შ. ელიავა და დასელი (ფსევდონიმია), რომელთაც ხშირად შეჭქონდათ საკუთარი შესწორებანი და რეზოლუციები.

ქართველებმა რეზოლუციების საკვანძო კომისიაში ჩვენის მხრით ავირჩიეთ ი. გომელაური და დ. უზნაძე. ამას გარდა პრეზიდენტმა ერთ-ერთ სხდომაზე საპატიო მდივნად მოიწვია ბ-ნი უზნაძე.

კრებაზე ხშირად თამამი, გაბედული და

ვენ პედაგოგიურ
ადგენენ ოქმე'
ტილებანი სის
მასწავლებლ
ლია თავისი
ხელს უწყე
ლობის სწ

ოდა და
სისი-
ა
ელ-
გამო-
იძლეოდა
დღებით და

ობა 30 იანვარს
და მასწავლებლები
ელი და კრძნობიერი
ემენ. დასასრულ კრებამ
ურთმა და უკმაყოფილების
მოუცხადა შემარჯვენე პრესას,
ით „ნოვოე ვრემიას“, სადაც
ელთა კრებისადმი და ყველაზე მე-
ენი სექციისადმი მიმართული ცილის-
ებით, ინსინუაციებით და ლანძვარ-გინე-
ით საგსე წერილები თავსდებოდა.

სექციის სხდომებზე და მის გარედ სხვა
და სხვა ერის მასწავლებლები ურთიერთს
უახლოვდებოდნენ, სულიერად უხატესავდებოდ-
ნენ ეგვლა ერის მასწავლებლები და განსა-
კუთრებით უკრანელები დაინტერესებულნი
იყვნენ ქართველების ყოფა-ცხოვრებით.

არა რუსთა კომისიამ და მისმა რეზოლი-
უციებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სა-
ზოგადოებაზე. პეტერბურგში მასზედ არა-
ნ კუულებრივი სიციხარით და გატაცებით მსჯე-
ლობდნენ და კამათობდნენ. გაზეთებიც განსა-
კუთრებული ურადლებით ეზურობოდნენ მას,
თუმცა სხვა სექციებში ხშირად უფრო თავი-
სუფაღსა და თამამს სიტყვებს გაიგონებ-
დით.

ეს არც საკვირველია, რადგან „ინოვაცი-
ების“ განცხადება მოულოდნელი იყო რუსის
პროგრესიულ საზოგადოების ზოგიერთ წევრ-
თათვისაც კი. ეს უკანასკნელები „ინოვაცი-
ების“ განსაკუთრებულ შევიწროებას თითქო
გვრც ამხნევენ, თუ არ უნდათ შეამჩნიონ, და

ყველა რუსი და არა რუსი—ერთგვარ უუფლე-
ბობის ტაფაში მომწვედელი ეჩვენებათ. აქ
კი არა რუსნი მასწავლებლები—სწორედ იმა-
ზე გაჭკიოდნენ და იმის მოპოებას ენუკოდეს,
სახელდობრ სასწავლებლებში სამშობლო ენა-
ზე სწავლებას, ურამდისოდ რუსებს თავისი
სკოლა ვერც კი წარმოუდგენათ. და როდესაც
არა რუსთა მასწავლებელთა კომისიას თითო-
ერთლა პირმა უსაყვედურა მთელ სახელმწი-
ფოში გამოეფულ უკუდმართობის დავიწყება
და საერთო საჭიროებათა უუურადლებობა,
„ინოვაციებმა“ ცხარედ ერთხმად შესძახეს,
რომ ჩვენ უპირველესად იმაზედ ვფიქროთ,
რის ტვივილებსაც ვგვალაზე მეტად და მწვავეთა
გკრძნობთო.

ზოგიერთ უკიდურეს შემარცხენესაც კი გა-
აკვირვებდა და არ ეპიტანვებოდა არა რუსთა
განცხადება, რომ პროლეტარიატი საჭიროე-
ბის დროს ყოველთვის შეძლებს ერთმანეთს
თავისი გაჭირვება გააკებინოს და ამისთვის
სრულებით საჭირო არ არის საერთო ენა.
მით უფრო შეუძლებელია და უსამართლოც
იქნება ერთი რომელიმე ენის გაბატონება და
სხვა ერგებებათა თავზედ ძალად მოხვევა.
ასეთი საერთო ენის არჩევა, თუ მაინცა და
მაინც ამას საჭიროება გამოიწვევს, თვით
პროლეტარიატის საქმე უნდა იყოს. დეე,
თვით მშრომელმა ხალხმა აიჩინოს ურთიერ-
თისათვის გასაკები საერთო ენა!..

ამგვარი განცხადება გამოიწვია ს. დ. მენ-
დჟინსკაიას წინადადება, რომელიც სხვა და
სხვა ერთათვის რუსული ენის შესწავლის სა-
ჭიროებას ამ ერთა პროლეტარიატის ურთი-
ერთ დამოკიდებულების მიზნით ასაბუთებდა.

რაცა შეეხება მთავრობასა და მის თანა-
მოაზრეებს, ამათ ხომ თვალნათლივ დაინახეს
თავისი „ბრწყინვალე მოღვაწეობის“ სრულე-
ბით წინააღმდეგი შედეგი.

თორმეტი დღის მრავალფეროვანი დაუდა-
ლაფი მუშაობის შემდეგ 3 იანვარს დაიხურა

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა პირველი კრება. ამ ხნის განმავლობაში შემარჯვენებრებსა და საზოგადოებას შეუპოვრად ებრძოდა კრებას, რომელიც ბოლოს მთავარ საორგანიზაციო კომიტეტსა და პრეზიდიუმშიც შეიჭრა. საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე სექციების რეზოლუციების მასწავლებელთა კრების წინაშე გამოქვეყნების და მათ მიერ დადასტურების წინააღმდეგი ახრი დაიბადა, რომლის გამომხატველი უმთავრესად თავმჯდომარე სენატორი მამანტოვი და მისი ამხანაგი სახელმწ. სათ. სასკოლო კომისიის თავმჯდომარე კოვალევსკი იყვნენ. განსაკუთრებით აწუხებდათ არა რუსთა რეზოლუციები, თუმცა იგი სხვა სექციების რეზოლუციებზე სასტიკსა და საშიშარს არას წარმოადგენდა. სხდომა ორად გაიყო, რომელთა შეთანხმება შემდეგი კომპრომისით მოხდა: რეზოლუციები უნდა გამოქვეყნდეს, მაგრამ, როგორც სიეზდის რეზოლუციები კი არა, არამედ მხოლოდ როგორც სექციების. ამიტომ მამანტოვმა მასწავლებელთა საერთო კრებას მიმართა, რომ რიგით სექციების მიერ შემუშავებული რეზოლუციები მასწავლებელთა საზოგადო კრებას უნდა დაემტკიცებია. ხოლო რადგან ეს კამათს გამოიწვევს და ამის დრო კი არ არის, ამიტომ წაკითხული რეზოლუციებს კენჭი არ ეერება და უნდა ჩაითვალოს მხოლოდ კერძო სექციების რეზოლუციებათ.

მამონტოვის სიტყვები თავის თავად, რასაკვირველია, უსაბუთო და სიმართლეს მოკლებულია, რადგან რეზოლუციები მასწავლებელთა მხრით არავითარ წინააღმდეგობასა და კამათს არ გამოიწვევდა და მეტ დროს სრულებით არ მოითხოვდა. მართლაც და სადაც თორმეტი დღე იმუშავეს, ნუ თუ იქ საძნელო იყო, თუ კი საჭიროება მოითხოვდა ერთი დღით კრება გაგრძელებულიყო? მაგრამ მამონტოვისა და მისი კამხანის განზრახვა

ცხადია: ამით მათ სურდათ რეზოლუციებისათვის ძალა და გავლენა წაერთმიათ და ამ რიგად თვით სიეზდის მნიშვნელობაც დაემცირებიათ.

ხოლო მასწავლებელთა კრებისაგან რეალურ ნაყოფს და რეზოლუციების დღეიდანვე ცხოვრებაში გატარებას არც ერთი გულუბრყვილო ადამიანი არ მოელოდა. დიად მორალურ მნიშვნელობას კი მას ვერავინ წართმევს. ამ მხრით მასწავლებელთა კრების მნიშვნელობა იმდენად დიდი და საგრძობელია, რომ მისი მოკლე წერილში აღნუსხვა შეუძლებელია.

ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლებმა თავის რეზოლუციებში შეკებულად და გაბედულად აღიარეს რწმენა და შეხედულებანი, რომელნიც მენშეკოვსა და მისიანებს გულში ეკლად ესობოდნენ.

კრების ეგვალ სექციების მუშაობას წითელ ზოლათ გაეგლო სახალხო მასწავლებელთა კეთილ-შობილოური მისწრაფება, განთავისუფლებულ იქნას სკოლა და მასწავლებლები ყოველგვარ პოლიტიკისა და ბატონ-ემურ მონობისაგან.

ამ კრებამ ეგვლანი დაარწმუნა, რომ დღეინახე სწავლების შემოდება პირველ დაწეებით სკოლებში მაინც, მასწავლებელთა უზრუნველყოფა და მათი შესაფერი უფლებებით აღჭურვა აამაღლებს და დიდათ წინ წასწევს რუსეთის ხალხის სწავლა-განათლების საქმეს.

მასწავლებელთა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ მძიმე და არა სასურველი შთაბეჭდილება მოახთინა მასწავლებლებზე. კრების პირველ დღეს შენიშნული აღფრთოვანება და დღესასწაულებრივი სულიერი განწეობილება მოდრეზულად და უკმაყოფილო გუნებით შეიცვალა.

სიაზოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობისათვის სრულებით უცხოა ბნელი, შავ-რაზმული მიდრეკილებანი,

და თუ შიგა-და-შიგ ურევინ უკუდმართი შე-
ხედულების ადამიანები, ისინი ვეღარ ბედავენ
საჯაროთ ადარონ და გამომყდავონ თავიან-
თი არა ადამიანური გულის ზრახვანი.

მეორე სრულიად რუსეთის სახალხო მას-
წავლებელთა კრება, სენატორ მამონტოვის
განცხადებით, შობდება სამი წლის შემდეგ —
1916 წ. ქ. მოსკოვში, რომლის მოწოდებაც
ევალებათ ჰეტერბურგის და მოსკოვის წ. კი-
თხვის საზოგადოებათ.

აქვე მოგვყავს არა რუსულ სკოლების შესა-
ნებ გამოტანილი საერთო რეზოლუციისა:

არა რუსთა სკოლების კომისიას საჭიროთ
მიხნია:

1. გაუქმება ვეგლას კანონმდებლობითი და
ადმინისტრაციული ნორმებისა, რომელნიც
ზღუდავენ ამ თუ იმ უფლებებს მცხოვრებთა
რომელიმე ჯგუფისა. შიუხედავთ ერთგებისა
და სარწმუნოებისა.

2. რუსეთში მცხოვრებ ვეგლას ერთგებათა-
თვის სასკოლო ბაღების შედგენის დროს სა-
ვსებით უზრუნველ უფოელი უნდა იქნეს უმ-
ცირესობის უფლებების ნამდვილი საუფოელ-
თათ, სავადლებულთა და უფასო სწავლა-განათ-
ლების განხორციელების მიზნით.

3. ადგილობრივ თვითმართველობათა დე-
მოკრატისა და ვეგლას სკოლების მათ ხე-
ლში გადაცემა.

4. დედა-ენით და მშობლიური ლიტერატურ-
ით თავისუფლათ უნდა სარგებლობდენ სწავ-
ლა-აღზრდის დროს როგორც სკოლებში, ისე
სკოლის გარეთაც და აქ დედა-ენა აუცილებ-
ლათ უნდა ისწავლებოდეს.

5. რუსული ენის შესწავლა აუცილებლათ
უნდა იწყებოდეს სწავლების მესამე წლიდან.
ამასთანავე ადგილობრივ თვითმართველობათა
ორგანოებსა უფლება უნდა ჰქონდეს ადგილო-
ბრივ პირობების მიხედვით რუსული ენა შე-
მოადონ ზემო აღნიშნულ ვადაზე უფრო ადრე.

6. კერძო პირთ და საზოგადოებათ მინი-

ჭებული უნდა ექნეთ უფლება თავის ხარჯით
გახსნან ადგილობრივ პირობებთან შეთანხმე-
ბული სკოლები, სადაც სწავლება დედა-ენაზე
იწარმოებს.

7. უზრუნველყოფა თითოეულ სკოლის ისე-
თი მასწავლებლით, რომელმაც ზედმიწევნით
უნდა იცოდეს ადგილობრივ მკვიდრთა ენა,
ლიტერატურა, ხელოვნება, ზნე-ჩვეულება და
ხასიათი.

8. ამა თუ იმ ერთგებათათვის მასწავლე-
ბელთა მოსამზადებლათ უნდა გაიხსნას სპე-
ციალური პედაგოგიური სასწავლებელი და
დროებითი კურსები, სადაც ადგილობრივი ენა
უნდა იქნეს შესწავლილი,

9. უმაღლეს სასწავლებლებში დაარსებულ
და შემოღებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ხა-
ლხის ენის, ისტორიის და ლიტერატურის
კათედრები სემინარიებისა, ინსტიტუტის და
სპეციალურ პედაგოგიურ მასწავლებელთა მო-
სამზადებლად.

10. უნდა იმართებოდეს სხვა-და-სხვა რაი-
ონების მასწავლებელთა პერიოდული კრებები
ადგილობრივ სწავლა-აღზრდის საკითხთა გან-
სახილველად და მათი ცხოვრებაში გასატარებ-
ლათ.

11. სასწავლებლები უნდა განთავისუფლ-
დეს პოლიტიკისა და მისიონრობისგან.

ფარი.

P. S. არა რუსთა კომისიაში მუშაობის
გათავების შემდეგ 2 იანვარს კავკასიელებმა—
ქართველებმა, თათრებმა და სომხებმა ამ სე-
ქციის პრეზიდიუმს ნადიმი გაუშინათ. ნადიმს
პრეზიდიუმის გარდა დაესწრენ პროფესორი
ბოროზდინი, „რანეე უტრას“ თანამშრომე-
ლი ქაბატონი მისენკის ქალი, დეპუტატები
ვ. გელოვანი და ჯაფაროვი, ორმეტყმდე მას-
წავლებლები და სტუდენტები. ნადიმმა მხია-
რულათ ჩაიარა, სადაც ერთა-შორის მშობისა
და სოლიდარობის დამყარებას ტკბილ საგა-
ლობელს უგალობდენ.

ბიბლიოგრაფია

მლ. მელიტონ კელენჯერიძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა) ტომი პირველი, ქუთაისი 1913 წ. ფასი 1 მ.

ყოფად-სამღვდელო ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელი, რომელიც 1896 წლის იანვრის თვეში გარდაიცვალა, დიდ-ბუნებოვანი გვაზია საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაში... დრმა განათლებით აღჭურვილი და მძაღ ქრისტიანობრივი ზნეობით შემკული განსვენებული მღვდელთ-მთავარი საქართველოს ეკლესიის მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრებაში მჩნობლ შარავანდედით განსივცისკროვნებული მთიებია... მისი ხანგრძლივი სამსახური ჯერ მოკლე ხანს თბილისში და შემდეგ იმერეთის ეპარქიაში—ჩვენს ისტორიაში ისეთი მოვლენაა, რომელმაც დრმა კვალი დასტოვა ქართველთა ცხოვრებაში... მის გამჭრიახს გონებას, ფილოსოფიურ საკითხთა ცოდნით განვითარებულს, არ გადაურჩა ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე, რომ უზრუნველყოფს არ მიექცია... მის დრმა—ზრუნვანს უცხო ენებზედაც გადათარგმნილს ქადაგებებში, რომელთა კრებული საქართველოს ეკლესიაში თითქმის სადმერთო წიგნად ითვლება, განშუქებულია იმერეთის სამწყობის თითქმის ყოველი მხარე... ის თვისი მოციქულებრივი მიმოსვლით თავის ვრცელს ეპარქიაში და თავისი მარტივი, მაგრამ აზრანნი ქადაგებებით—ჩვენი ითვლება კულტურული განვითარების და მოქალაქეობრივი წინსვლის შესწავლად... მისმა მძღლით მოსილმა და მძაბიოდ შეტყუვლმა ენამ სხარების მოძღვრების სხივი მოჭოფინა შორეულს სვანეთს და აფხაზეთს... თავის დროზე დიდს უზრუნველბის აქცევდა რუსული ბეჭდვითი სიტყვა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მისიონერულს

მოღვაწეობას ქრისტიანობის დასამყარებლად ამიერ კავკასიაში...სამშობლო ენის სწავლებას სკოლებში, საეკლესიო-სამღვდელო სკოლების რიცხვის გამრავლება, სასულიერო სასწავლებლის კარგს ნიადაგზე დასამყარება, ქუთაისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის დაარსება, სანთლის ქარხნის საქმე, მონასტერთა და ძველ ტაძართა განახლება და დაცვა განადგურებისაგან, ღარბ მონათესავეთა აღზრდა, ქვრივ-ობოლთა შემწყობა, ეკლესიებისთვის საუკეთესო მწყემსთა და მსახურთა გამოძებნა და, დასასრულ, ფხიზელი, თვალ-ყურის დევნება ყველა იმ მოვლენათაღმე, რომელთაც ასეთი თუ ისეთი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ცხოვრებისთვის—აი ის სასუკავარი საგნები, რომელთა სამსახურს მსხვერპლად შეეწირა მხცოვანი მწყემს-მთავარის ხანგრძლივი სიცოცხლე... ყოველივე ეს დაგვირგვინებული იყო გულმხურვალე, წრფელი და უზარბო სიყვარულით თვისი ხობციელი სამშობლოს და მისი ერის მიმართ, ისეთი სიყვარულით, რომელიც საქმიანობით ცხად იქნებოდა, ცოცხლს საქმეში გამოიხატებოდა... ყოვლად-სამღვდელო გაბრიელი ისეთი პიროვნებაა, რომლითაც ქართველებს შეგვიძლია ვიამაყოთ... ჯერ რად დიკს ის გარემოება, რომ მესამოცე წლებში მეცხრამეტე საუკუნისა მან, პირველმან, შეადგინა რუსულს ენაზე მეცნიერთა მიერ ფრად მოწონებული: „Опытная психология“, რომელსაც კარგა ხანს სახელმძღვანელოდაც ხმარობდნენ რუსეთის სასწავლებლებში... ამ წიგნის შედგენა იყო შედეგი ფილოსოფიის დრმა ცოდნისა... დღემდის

კი ჩვენი მტერ-მოყვარენი იმას გაიძახიან, რომ ქართველის ტვინი ფილანთოფიას ვერ შეითვისებს... მაგრამ ამ მთქმელთ ალბად არ იცნან საქართველოს ისტორია, რომელმაც დაიცვა მრავალ ქართველ ფილანთოფოსთა სახელი, რომელთ შორის გაბრიელსაც დაიხსენებოდა ადგილი უჭერია!..

სწორედ ამ ჩვენი მოჭირნახულე ფილანთოფოს—ღვთის მეტუფელ-მქადაგებლის ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერას შეეხება მღვდლის მელიტონ კელენჯერიძის წიგნი. მაგრამ საქმე ისაა, რომ პატივცემულს მოღვაწე მოძღვარს დაუბეჭდია მხოლოდ პირველი ტომი თავის დიდის შრომისა, რომელიც თხზს წიგნად უნდა გამოვიდეს... პირველი ტომის შინაარსს არ გადმოვცემთ დაწვრილებით... დაუ თითოეულმა ქართველმა, რომელსაც აქვს წყურვილი თავისი მშობლიურ მოღვაწეთა საქმის გაცნობისა, თვით გადაიკითხოს იგი... დარწმუნებული ვართ, რომ ის წიგნის წაკითხვის შემდეგ გაამსჭვალება განსვენებული მღვდელთ-მთავრის პიროვნებისადმი ღრმა მადლიერების გრძობით... მით უმეტეს სასიამოვნოა ამ წიგნის შეძენა, რომ მასში დაწვრილებით არის განხილული მთელი ცხოვრება მღვდელმთავრისა, დამყარებული წერილობითს საბუთებზე, რომელთაც განცნობია მუშაკი მოძღვარი მამა კელენჯერიძე სხვა და სხვა ადგილს ნამდვილ მეცნიერული კეთილშინდისიერებით... მაგრამ ეს ცოტა... თვით ეს წიგნი მადლობს, რომ შემდეგს ტომებში მისი ცხოვრება იქნება განხილული უფრო ვრცლად და უფრო სავსებით... მაგრამ მამა კელენჯერიძის შრომის მალე დაბეჭდვას უსახსრობა აბრკოლებს... დღემდის ვერ უმოგვია მას თავისი ნაშრომის ერთბაშად გამომცემელი... თამამად ვიტყვით, რომ ეს გარემოება მოასწავებს ჩვენს დაკნინებას... იმ დროს როდესაც გაბრიელ მღვდელთ-მთავრის შესახებ ნაშრომის დაბეჭდვა უსახსრობის მიერ ბრკოლ-

დება და გვიანდება, ჩვენ სასხარს არ ვზოგავთ მოღვრებისტურ—დეკადენტურ ინდივიდუალისტურ პოეტთა ლექსების დაბეჭდვისთვის, იმ ლექსებისა, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი ერის თვითცნობიერების, ზნეობრივი და გონებრივი განვითარებისთვის, როცა ერის კაცნი ასე ექცევიან გაბრიელის ხსოვნას, ჩვენი სამღვდელთობის პირდაპირი მოვალეობაა—გამოხახოს საშუალებანი მამა კელენჯერიძის შრომის დანახვენ სამი ტომის დასაბეჭდად... საჭიროა აგრეთვე გაბრიელის ქადაგებათა დაბეჭდვაც... აქვე თამამად ვიტყვით, რომ ჩვენი სამღვდელთობა ვერ ეპყრობა საკმაოდ პატივისცემით თავისთა მღვდელთ-მთავართა და თანამსახურთა ხსოვნას... უოვლად სამღვდელთ აღიქმასდრეს (ქართვიანობის) ცხოვრება და მოღვაწეობა სავსებით გამოკვლეული არაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზ. ჭიჭინაძის რამდენსამე წიგნაკს... საუცხოვო მჭევრმეტყველებით წარმოთქმული მოძღვრების უოვლად სამღვდელთ გრიგოლის (დადიანისა) დაბეჭდილი არაა დღემდის. თვით ე—სამღვდელთ ლეონიდის მოძღვრებანი, ღრმა შინაარსის მქალობნი,—აბეჭდილი არ არიან... დეკ. დამბაშიძე, ფრიად დამსახურებული მოღვაწე საეკლესიო საქმეებში, დიდის ზემოთ დასაფლავებს და მერე მივიწვევს. უოვლიერებს უჩვენებს, რომ ჩვენს სამღვდელთობაში გავრცელებულია სიტყვიერი მამულისშვილობის სენი... თითოეორთა სასულიერო პირი, ჩვენ და სანუგეშოდ, მოღვაწეობს თავისი წოდების სასახელოდ და ერის სასარგებლოდ... ამ პირთა რიცხვს ეკუთვნის მღვ. მელიტონ კელენჯერიძე, რომელიც ათასგვარ დამაბრკოლებელ და ხელის შემშლელ პირობათა მიუხედავად, ხელიდამ კალამს არ აგდებს... და მისმა შრომისადმი სიუვარულმა შეგვძღვნა წიგნი, დაწერილი ფრიადის მომჭირნეობით და დარბაისლურის დაკვირვებით... მეტად საჭიროა და სასარგებლო თითოეულს საოჯახო, სასკოლო

და საეკლესიო წიგნთსაცავში იუოს ეს წიგნები. მამა კეჟენჯერიძეს ჰიკრეულს ტომში ჰერსპექტივები (წინასწარ-განძრახვანი) აქვს ნაჩვენები დანარჩენ ტომთა შინაარსისა... ეჭვი არ უნდა, რომ დანარჩენ ტომებში მკითხველის წინ უფრო გამომკვევით აღიმატებს

და ნათლად დაასურათხატებს დიადი პირგნება იმერეთის მღვდელ-მთავრისა, მთელის მისის მადლმოსილობით და სხივცისკრფენობით.

ი. ფერაძე.



ღია წერილი

ბ. წაქაძეს.

მ. ხ. ბ-ნა წაქაძე!

ღულწრფელად გიცხადებთ ღრმა მწუხარებას თქვენ მიერ ხოტბა შესხმულის სახალხო სკოლების ინსპექტორის ტერ-გასპარიანცის უეცრად სამსახურიდან გადაყენებისა და სამართალში მიცემის გამო. მე ამ წერილში ვეცდები დავვიანებული პასუხი გავცეთ თქვენს წერილზე, რომელიც ტერ-გასპარიანცის გამოსასარჩლებლად დასტამბეთ „ბატუმსკი ვესტი“-ს № 1157-ში.

ჩემზე დამოუკიდებელ მიზნის გამო, მოშორებულმა ტურფა სამშობლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსეთის შორეულს ადგილს მყოფმა ძლიერ გვიან წავიკითხე თქვენი „შესანიშნავი“ წერილი. რომელშიაც ანუხსული გაქვთ ის „მწარე ფიქრები“, რომელიც აღუძრავს თქვენში ჩემს „სისტემატიურად გამეორებულს წერილებს“, რომელნიც თითქმის ჩირქსა სცხებდნენ ტერ-გასპარიანცის მოქმედებას. თქვენ ცდილობთ „გაჰფანტოთ ის ჯორი და ბურუსი“, რომლითაც ჩვენ „შეპყრობილნი თავის თავის წინააღმდეგობით და გამოებით, სისულელის მჯღაბნელი, უმეცა-

რი პრესის დანიშნულებისა“ ტყუილად ვცდილობთ მკითხველთა თვალის ახვევას...

ამ სახით თქვენ, ბ. წაქაძე ილაშქრებთ არა მარტო ჩემს წინააღმდეგ ჩემ მიერ ტერ-გასპარიანცის ზოგიერთ ანტიპედაგოგიურის მოქმედებათა გამომჟღავნების შესახებ, არამედ „უმეცრებისა და სისულელის ბრალსა“ სდებთ მთელს კავკასიის მოწინავე პრესას, რომელიც ერთხმად ჰგმობდა იმ მომზხამავ ატმოსფერას, რომელიც ტერ-გასპარიანცის წყალობით სწამლავდა მისდამი რწმუნებულს სკოლებს. ესეც ცოტაა, თქვენ ნებას აძლევთ თქვენს თავს და უნიჭოს უწოდებთ იმ ქართველ პედაგოგებს და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც მედგრად ებრძვიან იმ გამარუსებელ პოლიტიკას, რომელიც ტერ-გასპარიანცმა შეიტანა სახალხო განათლების წმინდა საქმეში.

თქვენ ბ. წაქაძე, ცნებით თუ უმეცრებით ბედავთ და ტალახში სვრით მთელს ქართველ საზოგადოებას და თითქოს იცავთ დაუმსახურებელის თავდასხმისაგან

იმ გასპარიანს, რომლის დაცვას არც ერთი მოწინავე და თავმოყვარე ადამიანი არ იკისრებდა.

ღრმად მრწამს ისტორიის მიუკერძოებლობა, რომელმაც ღირსეულად დააფასა ტერ-გასპარიანის და მისი ლაქიების საქმენი, ეს ისტორია თქვენს სახელსაც ღირსეულად აღბეჭდავს თავისს ფურცლებზე; გიპასუხებთ მოკლედ, რადგანაც ჟამსა მშუხარებისასა არ მინდა გრძელ სერიოზულ წერილით შეგაწუხოთ.

თქვენ ბრძანებთ: „სახალხო სკოლების ინსპექტორი ტერ-გასპარიანცი ისეთს მიზანს მისდევს, რომლის წინააღმდეგ ვერ წავა ვერც ერთი გონიერი ადამიანი: — ჰყავდეს კარგად მომზადებულნი თანაშემწენი, რომელნიც უნდა შეეფერებოდნენ სახალხო მასწავლებლის მაღალს წოდებას“.

ჩემთვის, უბრალო მომაკვდავისთვის ძნელია გაგება იმისი თუ რამდენად სამართლიანია ის ატტესტაცია, რასაც თქვენ ტერ-გასპარიანს აძლევთ. ამის შესახებ საკმაოდ ითქვა პრესაში და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნლიდანაც, სადაც დაწვრილებით იქმნა გარჩეული მავნე მოქმედება ბ. ტერ-გასპარიანისა. იმის შესახებ აზრი გამოთქვა თვითონ სახალხო სკოლების დირექტორმაც, ტერ-გასპარიანის უფროსმა, რომელმაც ვრცელი მოხსენება გამოუგზავნა სასწავლო ორქის მზრუნველს ტერ-გასპარიანის მრავალ ანტიპედაგოგიურისა და სხვა უგნურ განკარგულების მოხდენის შესახებ, სადაც გზა და გზა ტერ-გასპარიანის მრავალ ბოროტ მოქმედებასაც ეხებოდა. ეხლანება მომეცი თ გკითხოთ, თქვენ, „ქეშმარიტების აღმდგენელო“ მასწავლებელო: ნუ თუ ყველა ეს ადამიანები „უგუნურები“ იყვნენ? ისინი ხომ იმ მიზნის წინააღმდეგ

წავიდნენ, „რომლის წინააღმდეგ არ წავიდოდა არც ერთი გონიერი ადამიანი“?!

რაც შეეხება იმას, რომ შემოქმედის სკოლიდან რუსი მასწავლებლის ვერეტენიკოვის დათხოვნას ტერ გასპარიანის კეთილს სურვილებს მიაწერთ — „გასწმინდოს სკოლა ანბანის მცირე მცოდნე ელემენტისგან“, ესეც მართალი არ არის.

თქვენ, ბ. წაქაძე, კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ ვერეტენიკოვის დათხოვნა იმის შემდეგ მოხდა, როცა ჩემი წერილი დაისტამბა ამ სათაურით „პედაგოგილოთი“, რომელშიც ვააშკარავებდი მისს საქციელს. მანამდის კი ტერ-გასპარიანცი კარგის აზრისა იყო ვერეტენიკოვზე და თქვენც, როგორც მახსოვს, არა ერთხელ შეგისხამთ ქება მისთვის...

თქვენს წერილში მხოლოდ ერთი ადგილია მართალი, ეს ის არის, სადაც ამბობთ შემოქმედებების აღშფოთებას სკოლის წინააღმდეგ... ღიახ, შემოქმედებები აღშფოთებულნი არიან და გაბრაზებულნი სკოლის ამ ერთად ერთი სწავლის გამავრცელებელი დაწესებულების წინააღმდეგ. მაგრამ ეს აიხსნება არა მარტო დათხოვნილი მასწავლებლების მოქმედებით, როგორც ამას გულუბრყვილოთ ბრძანებთ არამედ თქვენი ბრალითაც. მოიგონეთ, ბ. წაქაძე, რა ანგარიში გაუწია საზოგადოებამ თქვენდამი რწმუნებულს სკოლას, როცა თქვენ ტერ-გასპარიანის გულის მოსაგებად მესამე და მეოთხე განყოფილების მოწაფეებს ქართულს არ ასწავლიდით სრულიად და ყველაფერს მხოლოდ რუსულად ასწავლიდით, რაც თავის დროზე აღვნიშნეთ გაზეთებში! განა მაშინ არ ამბობდნენ შემოქმედებები, რომ დასაწვავია ისეთი სკოლა, სადაც ჩვენს ბავშვებს არაფერს ასწავლიანო“?.. განა არ ამბობდნენ არც ეხლა: „რა სკოლაა ის სკო-

ლა, სადაც მასწავლებლები (გარდა ქ-ნ ა. ჯინჭარაძისა, რომელიც სინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას) უმეტეს დროს სხვა და სხვა ქუჩის ბიჭებთან ბანქოს თამაშში ატარებენო“?.. სინიდისს ქვეშა ბრძანეთ, ამბობენ ამას თუ არა? ღიახ, თუ ეხლაც, როცა სკოლა განთავისუფლდა „ნახევრად წერა-კითხვის მკოდნე“ ელემენტისაგან, ისმის ასეთი ფრაზები, მაშ რისთვის აწუხებთ დათხოვნილს მასწავლებლებს, ამ უდანაშაულოთ დასჯილთ მუშაკთ?!

ჩხაიძე, რომელშიაც თქვენ ვერ პოულობთ მასწავლებლობის მცირე ნიქსაც კი, იყო ერთი იმ შეგნებულ სახალხო მასწავლებელთაგანი, რომელსაც მაგრად ეჭირა ხელში მალალი დროშა აღმზრდელისა, არ ეთანხმებოდა იმ მავნებელ და ორჭოფულ დირექტივებს, რომელსაც ტერ-გასპარიანცი უხვად ჰფენდა სკოლებში.

ასეთს ცნობებს იძლეოდა ჩხაიძეზე თქვენაც, რაც არა ერთხელ მოგიხსენებიათ უფროსისათვის მისს კარგს თვისებათა შესახებ და გითხოვიათ მისი დანიშვნა. მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა თქვენს სკოლაში სიამოვნებლით მუშაკ მასწავლებლის შრომის სანუგეშო ნაყოფით.

ახლა კი, როცა ჩხაიძე დაითხოვეს იმის გამო, რომ ის არ გახდა ბრმა იარაღად პოლიტიკან გასპარიანცის ხელში, მოინდომეთ მისი გათელვა თქვენის მაჯლაჯუნა ფეხებით.

სად არის მიზეზი ასეთი უცაბედი ცვლილებისა თქვენს შეხედულებაში?!

მაგრამ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! მე არა მცალიან გამოვიკვლიო იმ ცვლილების მიზეზი, რაც თქვენში ხდება. მე მინდა მხოლოდ დასასრულ შევეხო თქვე-

ნი წერილის ბოლოს, სადაც ყველა ჩემი ნათქვამი დათხოვნილ მასწავლებლების შესახებ „ხალის სიცრუედ და უქმი ფანტაზიის“ ნაყოფად მონათლეთ; მიწოდებთ კორესპონდენტს, „რომელიც ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს, სწერს რაც პირზე მოადგება და არ ფიქრობს ზნეობრივს პასუხის გებაზე“. ესეც ცოტაა. თქვენ ისეთ ბეცადა მხდით, რომ „ტერ-გასპარიანცის მოქმედებაში ვხედავ ქართველი ერის უფლებათა და ინტერესების დარღვევას იქ, სადაც უნდა დამენახა მფარველობა“.

მგონია საკითხი დათხოვნილ ჩხაიძეს ეხება, რომელიც გახდა ჩვენი პოლემიკის მიზეზად და თუ ეს ასეა, მინდა წამოვიძახო: სირცხვილო, სადაა შენი სიწითლე?! პედაგოგო, სად არის შენი ლოლიკა?!

განა რუსი გერასიმოვი ბავშვების ენის სრულიად უცოდინარი არ დანიშნა ტერ-გასპარიანცმა ჩხაიძის შემდეგ? და განა ამაშია თქვენი აზრით „ქართველი ერის უფლებისა და ინტერესების მფარველობა?!“ ნუ თუ თქვენ ისეთი ბეცი ხართ და იმდენად შეუგნებელი, რომ ქართველი ერის ინტერესების დაცვას ქართულ სკოლებში რუსი მასწავლებლის დანიშვნაში ხედავთ და არა ქართველისაში, რომელიც მახლობელია სკოლის მოწაფეთა გულთან?!

ბრძანეთ ბ. წაქაძე, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამის შემდეგ თქვენს ბრძნულს სწავლებას სკოლისა და პრესის დანიშნულების შესახებ?!

აქ დაესვამ წერტილს.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამ გვეთქვა თქვენ მიერ ნაქების გასპარიანცის მოღვაწეობაზე, მაგრამ ნათქვამია—მკვდარს არა სცემენო!

არ ღირს არც თქვენი „ცემა“ ბ. წაქაძე! თქვენ საკმარისად გაიტყიპეთ თქვე-

ნივე თავი. სჩანს გოგოლის უნტერ აფიცრისცოლის დაფნის გვირგვინი შეგშურდათ, რომელმაც თავისი თავი „გაიროზგა“.

ეხლა ბ. წაქაძე განისვენეთ მშვიდობით: ამის შემდეგ არ მოგიხდება დათხოვნილის გამარუსებელი პოლიტიკანის ხოტბის შესხმა, რადგანაც გუგულს ფიქრადაც

არ მოუვა აქოს მამალი, თუ ამ უკანასკნელსაც არ შეუძლიან აქოს გუგული.

იჯექით მოსვენებით თქვენს უბედურს სკოლაში და თქვენის „პედაგოგიურის“ მოღვაწეობისათვის მიირთვიეთ განწესებული ულუფა. მშვიდობით.

მ. ჩაღსკი.



ფურცელი კიევიდან

პროფ. მარის ჰატევისაცემი ხელმო

(დასასრული.)

მეორე რეფერატი მარის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა ნ. ჯორჯიკიამ.

მან დაწვრილებით გაგვაცნო მარი, როგორც ქართველთა მცნობი და მარი როგორც ორიენტალისტი.

მარამდის ვერც ერთ მეცნიერს ვერ მოეხერხებინა შეეკავშირებინა ივერიულენათა ჯგუფი რომელიმე ენასთან. მარმა კი გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ იაფეტური ენის წინაპარსა და სემიტურს უნდა ჰყოლოდეს ერთი მამა.

ამის დაბამტიცებელია ის გარემოება, რომ ძველს დროს აღმოსავლეთში არსებობდა სემიტური და იაფეტური. იაფეტური ტომნი მოვიდნენ კავკასიში სამხრეთიდან, რომელთაც ავიწროებდნენ და კავკასიისკენ ერეკებოდნენ სემიტები.

იაფეტიდებისა და სემიტების ნათესაობა მტკიცდება მორფოლოგიის და სხვათა საშუალებით.

აღნიშნა მარის ღვაწლი იაფეტიდების კულტურის კვლევაში, რომელსაც (იაფეტურს) გავლენა ჰქონია სუმერულზე.

ჯორჯიკიამ დიდხანს ილაპარაკა ქართველ ტომთა (მუსკები, კასკები, თუბალნი და სხვა) უძველეს მოსახლეობაზე და იმ გზაზე, რომლითაც შემოვიდნენ და დაემკვიდრნენ დღევანდელ საქართველოში. არა ნაკლები ილაპარაკა ქართულ ბგერათა ცვალებადობაზე.

რეფერენტის მოხსენება მარის კვლევადიების თაობაზე ლინგვისტიურ პალეონტოლოგიაში ფრიად დიდ უმრავლესობისთვის გაუგებარი დარჩა. ეს გასაკვირველი არაა, რადგან ეს მეცნიერება ფრიად სპეციალურია და მის თაობაზე რეფერატის მოსმენა წინასწარ მომზადებას თხოულობს.

ახალგაზდა მკვლევარმა ჯორჯიკიამ იშვიათი ცოდნა გამოიჩინა როგორც მარის

მეცნიერულ თხზულებათა ისე სხვა ენათმეტყველთა, მისი რეფერატი ფრიად სერიოზი და შინაარსიანი იყო, მაგრამ იგი უნდა წაკითხულიყო ლინგვისტიკის და ენათმეტყველების მოყვარულთა წრეში და არა საჯაროდ სხვა და სხვა ფაკულტეტებზე მყოფ სტუდენტებში.

მას რომ ტომაციანსავეთ კრებისთვის ალღო აეღო, უფრო ფართოდ გაეცნო მისთვის მარის გამოკვლევა ქართულს სასულიერო და საერო ლიტერატურასა და კულტურაში, საზოგადოებას უფრო მეტს შესძენდა.

მართალია, ამ საკითხზედაც ილაპარაკა, გაგვაცნო მარის „*Вступительные и заключительные строфы Витязя въ барсовой кожѣ Шоты изъ Рустава*“, და სხვა ნაწერებს, მაგრამ ესეთები იყო მკირედი ნაწილი მისი რეფერატისა.

რეფერენტმა მოიხსენა თუ რა გააკეთა მარმა აღმოსავლეთის ეტნოგრაფიაში, სადაც მარამდის თითქმის არა გაკეთებულა რა.

ინტერესი გამოიწვია ჯორჯიკიამ ქართულ ჰუმანიზმის თაობაზე სტრიქონებით:

ჰუმანიზმს თავისი დასაწყისი მიუღია მეორე საუკუნეში. მოიყვანა ნეოპლატონიკის იოანე პეტრიწის აზრი, რომ ქართველებმა ფილოსოფია შეითვისეს და სამეცნიერო მუშაობა იწყეს მაშინ, როდესაც იგი სხვაგან (ევროპა) მითი ოდნავ მეცადინეობდნენო.

თავისი სიტყვა ნ. ჯორჯიკიამ დააბოლოვა მით, რომ სთქვა, ფილოლოგიურ მეცნიერებაში მარის სახელი არ იქნება დავიწყებული.

ტომაციანი და ხანდისხან ჯორჯიკიაც ხშირად დამტკიცებულად აღიარებდნენ მას, რაც ჰიპოტეზადაა მიჩნეული.

მაგ. ტომაციანმა სთქვა: სომხეთს ძვე-

ლად უჩართუ ერქვა. მე მგონია ეს არა თუ ქეშმარიტებისაგან, ჰიპოტეზასგანაც შორს უნდა იდგეს.

უფრო ქეშმარიტებაა ის მტკიცება, რომ უჩართუს სახელმწიფოს მკვიდრი ქართველები იყვნენ, ისინი თავის თავს „ქალდებს“ ანუ ქართულებს ეძახდნენ. ხოლო მას შემდეგ რაც უჩართუ მიდიელების ხელში გადასულა უჩართელ ქართველების ერთი ნაწილი ახლად შემოსულ ინდო გერმანელებს შერევია და აქედან წარმომდგარან სომხები*).

ტომაციანი ასევე მოიქცა იმის შესახებ ვითომც ქართული ანბანი მესროფს შემოეღოს. მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანი უნდა იყოს ვენდაზენდური.

ჯორჯიკიამ თავის მხრივ გაიმეორა მარის აზრი, ვითომც ჩახრუხაძე და შოთა ერთი და იგივე მწერალი იყოს. მანვე ქეშმარიტებად აღიარა მარის აზრი, ვითომც „ვეფხის ტყაოსანი“ ნათარგმანებია სპარსულისაგან.

ჩემის აზრით კი საჭირო იყო მოეხსენებინა ბროსსეს, ჩუბინაშვილის, ხახანაშვილის, პლ. იოსელიანის, ი. ჯავჭავაძის და სხვათა აზრი, რომელნიც მეფე ვახტანგსავეთ ჰფიქრობენ, რომ ვეფხის-ტყაოსნის „ამბავი თვითონ მგოსანს გაუკეთებია“.

სამეცნიერო წრის მიერ საღამოს მოწყობა ფრიად სასიამოვნოა და წასახალისებელი, მაგრამ რაკი შრომას ეწეოდა, კარგს იზამდა მარის თაობაზე რეფერატის წაკითხვის ნაცვლად რეფერატები წაეკითხათ ილიას, ბარათაშვილის, ვაჟას შემო-

*) იხ. ს. გორგაძის საქარ. ისტორია გვ. 28.

ქმედების შესახებ. მარის პატივისცემა სხვა მხრითაც შეეძლოთ. მარის შესახებ რეფერატებსაც ცალკეცაღვე წირებში წაიკითხავდნენ.

ახლა კი ამოდენა ხალხს მოუყარეს თავი, ხოლო შეძენით კი მაინცა და მაინც ვერა შესძინეს რა გარდა იმისა, რომ ერთხელ კიდევ აღძრეს დამსწრეთა გულში სიყვარული სასიქადულო მეცნიერისადმი.

ლიტერატურის თაობაზე კი რომ წაეკითხათ. არა ქართველებსაც გააცნობდნენ ქართულ შემოქმედების ხასიათსა და თვით

ქართველ სტუდენტობასაც მრავალს შესძენდნენ.

კიევში ხომ მოიპოვებიათ ისეთი ქართველი სტუდენტები, რომელთაც ილიას „განდევნილი“ კი არა აქვთ წაკითხული, იქნება ეხლა მაინც გამოფხიზლებულიყვნენ, გონს მოსულიყვნენ და მით ეხსნათ თავი იმ სირცხვილისაგან, რომელსაც, სამწუხაროდ, არა ჰგრძნობენ.

დ. თ.



გურიის სახალხო მასწავლებლები უწინ და ახლა

იყო დრო, როდესაც ჩვენი სახალხო სკოლა ასე თუ ისე ასრულებდა თავის მოვალეობას. და ეს სასწრაფო დრო იყო მაშინ, როდესაც სამსწავლებლო ასპარეზზე გამოდიოდნენ დაუშრეტელ ენერჯის პატრონნი „სპირიდონ მცირეშვილები.“ ისინი მუშაობდნენ არა მარტო სკოლაში, არამედ ხალხშიაც. მათ ვერავითარი დაბრკოლება, შევიწროება ვერ ახრევინებდა ქედს წინაშე „მძლავრთა ამა ქვეყნისა“. მშვიდ მწყურვალნი, ისინი თავს დასტრიალებდნენ მშრომელ გლეხ-კაცობას, უხსნიდნენ მათ სკოლის სარგებლობას და ასე მიპყვავდათ სინათლისაკერ. ხალხიც სიხარულით მისდევდა ასეთ მასწავლებლებს. დაუღალავა შრომაში, თუ ნიადაგი კარგი დაურჩა, კარგი ნაყოფი უნდა მოიტანოს კიდეც და ეს სავსებით გაამართლეს ჩვენმა მასწავლებლებმა. თუ

ამ 8—10 წლის წინათ პირველად გურიის გლეხ-კაცობამ შეგნებულათ აღიმადმა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, თუ მან, პირველმა ამცნო კაცობრიობას ქართველის უმწიკო მდგომარეობა, მერწმუნეთ ამაში ჩვენ წინანდელ სახალხო მასწავლებლებსაც მიუძღვით ცოტა-ოდენი ღვაწლი.

გაქრა, წავიდა ის საერთო აღფრთოვანების ხანა და მასთან ერთად ჩვენს ხალხს მოშორდნენ საუკეთესო მასწავლებლები. „სპირიდონ მცირეშვილი“ სანთლით სძებარი შეიქნა დღევანდელ მასწავლებლებში. დღეს მისი მარტო აჩრდილი-და დაგვრჩენია. რეაქციამ ჩვენი სახალხო სკოლაც უკან დააქანა და მასში გააბატონა უდიდესი მასწავლებლები. თუ რამდენიმე ხეირიანი მასწავლებელი შეჩა კიდეც სკოლას, ისინი ისეთ უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგე-

ნენ ამ უღირსთა ჯაშყარში, რომ მათი ხმა რჩება „ხმად მღაღაღებლისა უდაბნოსა შ.ნა“. და ამ ხმის ამოღებისთვის თითონვე იდეგნებიან უმრავლესობისაგან. მასწავლებელთა საერთო დაჯინებისა და დაუძლეულების ხანად უნდა ჩათვალოს ეგრეთ წოდებული „კასპარიანის დრო.“ ეს დრო მოგაკვებებთ მე-XIII საუკუნის დასაწყისს, როდესაც მონგოლთა ნაინები ქართველთა ერისთავებს ერთი შეიკრეს უსისებდნენ, რათა მთელი ერთი ურთავრთ ბრძოლაში გასრესილიყო. ჩვენი დრო მხლართ იმით განსხვავდება მე-XIII საუკუნედაც, რომ დღეს ძველ ერისთავთა რაჯის შესრულება იკისრა მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა. ერის მაგიერ კი სახალხო სკოლა დაჩნა ჩასაწიხლავი და კარგინ თადეს ძეგ ვით თემურ-ლენგი, ჯადი, შეუპოვარი, იდგა და სჯიჯგინდა ფეხ-ქვეშ ამ მომავალთაობის ტაძარს. მის თვით რაქის მზრუნველმაც ვერაფერი შექებდა კარგა ხანს; თუ რამდენათ იყო დაფრთხალი ზოგიერთი მასწავლებელი განსარჩინის ძლევა-მოსილლობით, ამაზედ ბერისაგან ბევრი დაწერიდა, მასწავლებელთა შორის გაბატონებული ერთმანეთის გაუტანლობა, შუდლი, მტრობა, დაბეზდება და სხვა დღესაც წარუშლელი რჩება; ასეთი მწვავე მდგომარეობა კი სკოლას მუდამ ძირს უთხრიდა და უთხრის.

„ბათუმის გაზეთის“ გასული წლის მე-90 ნომერში ბ. „ძველი მასწავლებელი,“ სიხარულით აღნიშნავს რა განსარჩინის დათხოვნას, ქება დიდებას ასხამს ამ ცვლილების მომხდენს სახალხო სკოლების დირექტორს ბ. ვიშნევსკის. შეიძლება ბ. ვიშნევსკი მართლაც მადლობის ღირსია, მაგრამ სიხარული ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მართალია ბორცტების სათავე მოისპო, მაგრამ მის ადგილზედ მითილს ჯერ ვერ ვხედავთ, თითონ ბორცტების კი დამად აქვს ფესვები გადგმული ჩვენს სახალხო სკოლაში. განსარჩინების მუხლგუნ-

მა, თითქოს ინერციის ძალით შორს გასტორცნა სახალხო მასწავლებელი. ამ ძალით ის კარგა ხანია გადასცდა სწორ გზას და ახლაც ისევე ამ გზაზე შემობრუნება მას ძალიან ეძინებოდა. ის ამისთვის დიდ დახმარებას საჭიროებს. ვინ უნდა დაეხმაროს სახალხო მასწავლებელს? ნუ თუ დირექტორისა და ინსპექტორის იმედი უნდა იქონიოს მან? ან, თუნდ დიდი ღიბერალობაც გამოიჩინოს ბ. ვიშნევსკიმ ან მისმა მაგვარმა, ის რღნავათაც ვერ შეახერხებს უფსკრულსაკენ დაქანებულ სახალხო სკოლას, რადგან ამ სკოლასთან მასზე უფრო ახლო დგანან განსარჩინებ—გროზდოვები.

მამ ვიღამ უნდა უშველოს სახალხო მასწავლებელს? ისევე მისმა შეგნებულმა ამხანაგებმა. ამას თითონ ბ. „ძველი მასწავლებელი“ აღიარებს. ბათუმის გაზეთის მე-90 ნომერშივე ის ამბობს: ეოკლეივე საჭირობორტო კითხვებში სახალხო მასწავლებლებს დიდ დახმარებას გაუწევს ეგრეთ წოდებული „მასწავლებელთა საზოგადოება“ (Общество народныхъ учителей). აკეთი საზოგადოებები არსებობენ ეველა განათლებულ ქვეყნებში და სხვა... (იხ. „ბათუმის გაზეთი“ № 90 დეკ. 1913 წელ.) დიახ, მასწავლებელთა საზოგადოებას ბევრი რამეს გაკეთება შეუძლია. თუმცა მისს დაახსების შესახებ ხშირათ იყო ჯაშყარი ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ იყო ისე, გაუბედავთ, გაბედული სიტუვა კი, რომელსაც საქმეც უნდა მოჭეოდოდა, არავის დაუძრავს. დღეს, როდესაც დრო და კარემოება ხელს გვიწყოფს, მართლაც მიუტოვებელ ცოდვთ ჩაკვეთლება თუ ჩვეულებრივ გულხელ დაკრეფილება დაგრჩებით. დროა შირდაპირ საქმეს შეუდგეთ და ამ რიგათ ჩვენც გვერდში ამოუდგეთ შორეულ კოლეგებს.

ქიამილ ეფენდი აღმასხანდი.

ახალი ამბები

სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება. კვირას 2 თებერვალს საზოგადოებრივად წაკითხული იქმნა წლიური ანგარიში საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ წარსულ წელს. საანგარიშო წელს წაუკითხავთ სულ 36 ლექცია, რომელსაც 4,827 მსმენელი დასწრებია: რუსულად წაუკითხავთ 15 ლექცია, დასწრებია 2,548 მსმენელი; სომხურად 16 ლექცია, დასწრებია 1,682 მსმენელი; ქართულად სამი ლექცია — 415 მსმენელი, ოსურად ორი ლექცია 90 მსმენელი, ამას გარდა საანგარიშო წელს მოწუობილი იყო სადამოს სისტემატიური კურსები მოზრდილთათვის სხვა და-სხვა ცოდნის შესახებ. ამ კურსებზე წაკითხული იქმნა რუსულად 27 ლექცია, და-ესწრო 540 მსმენელი, ქართულად 33 ლექცია - დაესწრო 611 მსმენელი. სადამოს კურსებთან ერთად მოქმედებდა სადამოს სკოლები წერაკითხვისა. გასულ წელს შესავალი ყოფილა 2,894 მ. 83 კ. რაშიც ნაანგარიშეა წინა წლის ნაშთის 13 მ. 54 კ. გასავალი ყოფილა 2,355 მ. 40 კ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ანგარიში კრების მიერ დამტკიცებული იქმნა. კრება გადაიდო 9 თებერვლისათვის.

◆ **ტფ. საქველ-მოქმედო სკოლაში** ამ უამად ასზე მეტი ქართველი მოსწავლეა, მაგრამ იქ ქართულს ისე ასწავლიან, როგორც ცალკე საგანს. ქ. ქ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს, მასწავლებელს ჯამაგირი მიუმატოს იმ შემთხვევაში, თუ ას სკოლის მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში გამრავლებულ იქნება ქართულ ენის გაკვეთილების რიცხვი.

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების სასკოლო სექციამ დაავალა საზოგადოების სკოლების ხელმძღვანელ-მეთვალყურეს გ. ბურჭულაძეს, ადგილობრივ განიხილოს თხოვნა დაბანაღიკის (თერგის ოლქი) მცხოვრებლებისა, რომელნიც სექციას სთხოვენ სკოლის გახსნას და გამოარკვეოს ის პირობები, რომელსაც ისინი უდებენ სექციას.

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კავკავის განყოფილების გამგეობამ უპასუხა, რომ კავკავის სკოლის გამგედ მიმდინარე წლის დამლევაზე კვლავ სტოვებს მასწავლებელს ტრიფონ შუბლაძეს, რომელიც ამ თანამდებობას დროებით ასრულებს.

◆ **ავლაბრის გიმნაზიას.** ქალაქის თვით-მმართველობა ყოველ წლიურად 25,000 მან. დახმარებას აძლევს. ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ყურულმა საკითხი ადოდა, რათა ადიდრას შუამდგომლობა, მთავრობამ ადიდრის გიმნაზიას ეს ფული, ხოლო საქალაქო ფულით პირველდაწყებითი სკოლები გახსნას.

◆ **პუშკინის მეორე საქალაქო სკოლაში** მოკლე ხანში კალათების ქსოვის გაკვეთილებს შემოიღებენ.

◆ **ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები.** ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობას დავალებული ჰქონდა თვის წევრის ლ. ბოცვაძისთვის, რათა 1913 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობა გაეწია საზოგადოების საგამომცემლო საქმისთვის. ბ-ნმა ბოცვაძემ 8 იანვარს გამგეობას წარუდგინა ანგარიში ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ სახელ-

მძღვანელოები 1913 წელს 3,600 ცალით მეტი გასაღებულა, ვიდრე 1912 წელს, სულ გაუიღულა: „ბუნების კარი“—6,651 ცალი, „დედა ენა“ (1 ნაწილი)—32,531, „დედა ენა“ (მეორე ნაწილი)—20,887, „რუსსკოე სლოვო“ (1 ნაწილი)—15,709 და „რუსსკოე სლოვო“ (მეორე ნაწილი)—8,242 ცალი. საზოგადოებას ამ წიგნებიდან ნაღდი მოკება დაჩენია 11,312 მან. 54 კ. გამგეობამ მოხსენება მხედველობაში მიიღო.

◆ **პრემიები საუკეთესო თხზულებათათვის.** იმ პირთა კარდა, რომელნიც ჩვენ გვეყვდა მოხსენებულნი, ქ. შ. წ-კ. გამაგრც. საზოგადოების გამგეობას ექიმმა ნ. თ. კრი-

სთავმა საპრემიოდ წარუდგინა თვისი ნაშრომი ქართულ ანბანის შესახებ. ამ ჟამად სულ წარდგენილია საპრემიოდ 9 თხზულება. ქ. შ. წ.-კითხვის გამაგრც. საზოგადოების გამგეობამ, საპრემიო წესის თანახმად, უკვე აირჩია სამი კომისია თხზულებათა განსახილველად: საისტორიო, სალიტერატურო და სალინგვისტო. საისტორიო კომისიაში მოხუდენ: ე. თაყაიშვილი, ა. მდივანა და ა. ყიფშიძე, სალიტერატუროში: ი. ვართაგავა, გ. რცხილაძე და კ. მაყაშვილი და სალინგვისტოში: პ. ჯანაშია, ი. აბულაძე და პ. მირიანაშვილი. (სახ. ზაგ.)



საპაუო გიმნაზია

(ბათუმი)

როც ბათუმის საეაო გიმნაზიის დირექტორათ თბილისიდან ბ. გ. გ. გენკელი გადმოიყვანეს, წლის განმავლობაში სავსებით გამოირკვა მისი. საპედაგოგო მოღვაწეობა ბათუმში... ჯერ ერთი აღსანიშნავია, მას პედაგოგია კარგათ აქვს შეთვისებული... ამის მეოხებით ის მოწაფეებს მამაშვილორათ ეპყრობა—და მასში უკანასკნელნი ხედავენ მრჩეველს და დამხმარე მამას გაჭირვების დროს...

ბ. გენკელი არსებითად სწორეთ ასეთ მამათ მოველინა ჩვენს შვილებს.. მან მტკიცე წეს-რიგი დაამყარა გიმნაზიაში, რომლის მეოხებით მოწაფეებიც ბეჯითად მუშაობენ და მასწავლებლები მუყაითობენ...

აღარაა ის ხშირი გამოშვება გაკვეთილებისა მოწაფეთა და მასწავლებელთა მიერ, რომელსაც წინათ ვხედავდით ჩვენ გიმნაზიაში...

მუზიკის, ხელოვნობის, გიმნასტიკის და ხატვის შესწავლის საქმე ჯეროვანს ნიადაგზედ დააყენა...

დაარსებულ იქმნა მეტოროლოგიური სადგური, ფიზიკური კაბინეთი შესამჩნევათ გამდიდრდა.. დღეს უმფროსი კლასების ღოწაფენი რეფერატებსაც-კი კითხულობენ ფიზიკილამ, ქიმიიდან მასწავლებელთა ხელ-მძღვანელობით... გაამდიდრა გიმნაზიის ორივე წიგნთ საცავი—სამოწაფო და სამასწავლებლო:..

სამოწაფეო წიგნ-საცავში იქმნება

ქართული წიგნებიც.. ქართულ ენას აქვს დრო დათმობილი პირველიდან მეხუთე გაკვეთილამდინ და არა მეექვსეებში, როგორც სხვაგან არის.. გ. გენკელი ზრუნავს მოწაფეთა ჯანის სისაღისათვის, ღარიბი მოწაფეთათვის გულშემატკივარია...

მდიდარი მოწაფენი სწირავენ ღირებულების რჩევით ტანისამოს და წიგნებს ღარიბი მოწაფეების სასარგებლოდ, რის მეოხებით პირველთა შორის ვითარდება კაცთ-მოყვარეობის გრძნობა.

გიმნაზიის ღარიბთ მოწაფეთა დამხმარე წრე—გენკელის მოსვლამდის სულს ლაფავდა....

გ. გ. გენკელმა მოწოდებით მიმართა საზოგადოებას და მოუბოვა საშუალება ამ წრეს... ყოვლის ღონის ძიებით სცდილობს რომ მოწაფეები არ იქმნან დათხოვნილნი სწავლის საფასურის შემოუტანლობისაგან... შესამჩნევია, რომ მოწაფეთა რიცხვიც გაიზარდა: - დღეს ბათუმის გიმნაზიაში 520 მოწაფეა ამათში ერთი მესამედი ქართველია—უფასოდ ასმევს ჩაის მოწაფეებს დილით იმ დღეებში, როდესაც-მათ უხდებათ წვიმის ქვეშ სიარული სახლიდამ გიმნაზიაში. ამ საქმეს განაგებს მისი მეუღლე ვიკენტის ასული...

ახლად დარგული ხეებით დაამშვენა წინათ მოტიტვლებული გიმნაზიის ეზო..

დღეს ის ზრუნავს მოწაფეთათვის სააგარაკო სახლის აშენებისთვის ციხის ძირში, სადაც გიმნაზიას მოეპოება საკუთარი

მიწა, რომელიც გენკელის ჩამოსვლამდინ უპატრონო იყო მიგდებული...

გ. გ. გენკელი ფრიად განვითარებული ადამიანია.. ცნობილია რუსულ მწერლობაში. თანამშრომელი იყო ბროსგაუზის და ეფრონის ენციკ. სააღმოსავლეთო და საებრაელო საკითხების ნაწილში.. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი წიგნი და წერილი... საკმაოა დავასახელოთ თუნდ შესანიშნავი „ПОДЪ НЕБОМЪ ЭЛЛАДЫ“ მის მიერ შედგენილი, ტეობილდ ციმფერის თხუზულების თარგმანი:

Умственные и общественныя теченія XIX вѣка—

რომელსაც თან ახლავს 227 შენიშვნა თვით გენკელისა.. გენკელი იშვიათი ადამიანთაგანია იმ მხრით, რომ იცის მრავალი ენა:

ბერძნული, ინგლისური, ებრაული, •რაბული და სხვ...

მისი დიდ ხანს დარჩენა ჩვენ გიმნაზიაში მოწაფეთათვის ფრიად სასარგებლო და მრავალ ნაყოფიერი იქნება.. მშობლები თან და თან მევედივართ მის დაფასებაში, თან და თან ვგრძნობთ, რომ გენკელი არაა მხოლოდ მშრალი მოხელე, რომლის ინტერესია ყოველ 20-ში ჯამაგირი მიიღოს, ის სულით და გულით გამსჭვალულია თავისი დიადი საქმის სიყვარულით

ერთი მშობელთაგანი

ტრ., ინასარიძე

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. ბოცვაძე.



სწოება

ქ. ო. წერს-კითხვის გამავრცელებ.
'საზოგადოების მოქმედებისა.

ო ქ მ ი

საზოგადო წევრთა კრებისა 1913 წ. 24 გიორ.

(დასასრული)

ვლ. ცაგარლის ფიქრით რაც უფრო მეტი შემადგენლობა იქნება, მით უფრო ნაკლებად კეთდება საქმე. აუცილებლად საჭიროა სასყიდელი გავიღოთ იმ პირების დასაჯილდოვებლად, რომელთაც უნდა განაგონ საქმეები. ერთი ან ორი კაცი უთუოთ უნდა იყოს გამგეობაში ჯამაგირიანი. მაშინ შეგვეძლება საქმეც მოვთხოვოთ. აი ამ რიგად უნდა შეიცვალოს წ. კ. საზოგადოების საქმის გამგებლობა და არა რაღაც ინსტრუქციით და სექციების დაწესებით.

თავმჯდომარე: კრებასა ვსთხოვ გადასწყვიტოს, სექცია არის საჭირო, თუ არა? თუ საჭიროა წესდება ამის ნებას გვაძლევს, მხედველობაში მიიღეთ აგრეთვე წესდების მე 18 მუხლიც, იქნება იმით ვისარგებლოთ.

ვახტანგ ღამბაშიძის აზრით სექციები აუცილებლად საჭიროა. ყოველ წლებით გამგეობას საყვედურს ვუცხადებთ-არ გიმუშავნიათ, არაფერი გაგიკეთებიათ. თუ მუშა ხალხი გყვავს სექციებში მუშაობა გაჩაღდება. რადგანაც გამგეობის წევრნი დატვირთულნი არიან სხვა და სხვა საქმით, ზოგი საქმე შეფერხებულა; მაგალითად ბეჭდვითი საქმე, გამომცემლობა. სხვა დარგშიაც ასეა. საჭიროა ყველამ მივიღოთ მონაწილეობა და ტყვილა უბრალო საყვედურებს თავი დავანებოთ.

ივ. რატიშვილს სასარგებლოდ მიაჩნია სექციების დაწესება. წ. კ. საზოგადოების საქმეები თან და თან იზრდება და რთულდება. ამას გაძლოლა უნდა. ამასთანავე სანუგეშო მოვლენის მოწმე ვართ: მრავალი აგალგაზრდობა გვეზრდება; ეს ახალგაზრდები იმუშავენ და სექციებიც ნაყოფს მოიტანენ. მისი აზრით წესდება ნებას გვაძლევს სექციების დაწესებისა.

ნ. ჯანდიერი სექციების დაწესების მომხრეა და წესდებაში შესაფერი მუხლის წაკითხვით ასაბუთებს, რომ ინსტრუქცია წესდების მუხლებს არ ეწინააღმდეგება.

რ. გაბაშვილის აზრით პრინციპიალურად სექციებად დაყოფა მნიშვნელოვანია, მაგრამ ფაქტიურად აქედან არაფერი გამოვა. უნდა მკოდნე პირები ავარჩიოთ და თან ისეთები, რომელნიც დატვირთულნი არ იქნებიან სხვა და სხვა საქმეებით. თორემ საქმე არ წავა წინ. ინსტრუქციას არაფერის მხრით ნიადაგი არა აქვს. საქმე ფართოვდება და ამისათვის ყოველდღიური მუშაობაა საჭირო. მაშასადამე თუ რეორგანიზაციაა საჭირო, ისა სჯობია ორი ან სამი კაცი ვიშოვნოთ თავისუფალი, ჯილდო დავუნიშნოთ, საქმე ჩავაბაროთ და მოვთხოვოთ კიდევ.

ნინო ტყეშელაშვილის ფიქრით სექციების დაარსება ძრიელ კარგია, მაგრამ ჯამაგირი კი უნდა დაენიშნოს სექციებში მომუშავე ორ პირს მანც.

დ. ხართიშვილი წინააღმდეგია სექციების დაწესების; სჯობია, გამგეობის წევრთა რიცხვი გადიდდეს და გამგეობაშიც ჯამაგირიანი პირები იყვნენ.

დ. ვაჩნაძის აზრით გამგეობის შემადგენლობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ჯამაგირი უნდა დავუნიშნოთ გამგეობის წევრებს, მაშინ საქმიანობა გაჩაღდება. გამგეობის რეორგანიზაცია საჭიროა და თან და თანობით უნდა გადავიდეთ ინსტრუქციაზე.

ი. ბარათაშვილმა განმარტა, რომ სექციების დაწესება ძრიელ კარგი მოფიქრებაა და ფრიად საჭიროა მისი შემოღება; წესდება ნებას გვაძლევს ინსტრუქციები დავაწესოთ და ცალკე კომისიები დავაარსოთ. გამგეობის წევრებისთვის ჯილდოზე ლაპარაკი სულ მეტია, რადგან ჩვენ მაგის შეძლება არ გვაქვს.

ალ. მდივანის აზრით სექციები საჭიროა და თუ საზოგადოებას შეძლება ექნება, გამგეობა ჯამაგირიან პირებსაც მოიწვევს სექციებში სამუშაოთ

დ. კარიჭაშვილი ამბობს, რომ წარმოდგენილი ინსტრუქციის ძალით, სექცია ახალი ორგანოა; ამიტომ მისი დაწესება საზოგადოების წესდების დარღვევა იქნება. სჯობია: „სექცია“ შევცვალოთ „კომისიით.“ კომისია ავირჩიოთ სამი წლით. თუ გაამართლა ჩვენი იმედი, კიდევ ავირჩიოთ. მხოლოდ კომისიის დადგენილება უთუოთ დადასტურებული იქნას გამგეობისაგან, რადგან ყველაფერში და ყველასთან პასუხის მგებელი გამგეობა არის.

შალვა მესხიშვილის აზრით დ. კარიჭაშვილის წინადადება რომ მივიღოთ, მაშინ ინსტრუქცია უნდა უარყვოთ. სექციებს თუ უფლებას არ მივცემთ თავის ნებით გადასწყვიტონ მათ დებულებაში მოქცეული საკითხები, საქმე არ გაკეთდება. სიტყვებს „კომისიას“ და „სექციას“ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და ინსტრუქცია სავსებით შეესაბამება წესდების მუხლებს, ამიტომ იგი მიღებულ უნდა იქნას.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად გამოაცხადა და კენჭი უყარა. კრებამ დაადგინა, რომ წარმოდგენილი ინსტრუქცია არ ეწინააღმდეგება საზოგადოების წესდების მუხლებს.

ამის შემდეგ კრება შეუდგა ინსტრუქციის მუხლობრივ გარჩევას.

წაკითხულ იქმნა პირველი მუხლი: საქმეები და საკითხები, რომლებიც გამგეობაში აღიძვრიან, ნაწილდება: ა) გამგეობისა და ბ) გამგეობის ხუთის სპეციალურის სექციის შორის.

რ. გაბაშვილი ამტკიცებს, რომ ეს მუხლი ეწინააღმდეგება წესდებას. სექცია მოწინააღმდეგე ორგანოთ არის დასახული. კონფლიქტი რომ არ მოხდეს, ამიტომ საჭიროა რედაქცია გამოიცვალოს.

დ. ვაჩნაძე ამბობს, რომ სექცია სამეურნეო საზოგადოებასთანაც მუშაობს. მაგრამ ყოველივე საქმე საბჭოს დადასტურების შემდეგ მოჰყავს სისრულეში. აქ კი ისე გამოდის, რომ სექცია საბოლოოდ სწყვეტავს საქმეს; ეს, რასაკვირველია, წესდების წინააღმდეგია.

დ. ხართიშვილის აზრით სექცია პასუხისმგებელი უნდა იყოს მხოლოდ საზოგადო კრების წინაშე და არა გამგეობის. რაც შეიძლება მეტს თავისუფლებას უნდა გრძნობდნენ სექციებში მომუშავენი და მაშინ საქმეც წინ წაიწევს.

ა. მდივანის განმარტების შემდეგ, რომ საზოგადოება გამგეობის დასახმარებლად ირჩევს წევრებს და ეს წევრები ნაწილდებიან სექციებად, ხმის უმეტესობით პირველი მუხლი მიღებულ იქმნა უცვლელად. აგრეთვე უცვლელად მიღებულ იქმნა შემდეგი მუხლები: 2 და 3.

წაკითხულ და მიღებულ იქმნა მე-4 მუხლი ამ გვარად: სპეციალურის საკითხების ყოველმხრივ შესასწავლად სპეციალურ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად საზოგადოების გამგეობასთან არსდება შემდეგი სექციები.“ და სხვა.

§ 5.

დ. ხართიშვილი წინააღმდეგია იმისა, რომ საადმინისტრაციო სექციაში ირჩეოდეს ორი წევრი გამგეობისა. იმის აზრით საადმინისტრაციო სექცია სულ მეტია. მის ფუნქციებს სულ ადვილად შეასრულებს თვით გამგეობა. გარდა ამისა სექცია თითონ უნდა ირჩევდეს თავის თავმჯდომარეს და არა გამგეობა ნიშნავდეს.

ცინცაძის აზრით გამგეობის წევრს სექციაში ვეტოს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ სექციამ თავის უფლებას არ გადააჭარბოს.

შ. მიქელაძემ აღნიშნა, რომ ეს შემდეგ მუხლში არის გარკვეული.

ამის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქმნა მე-5, 6 დმე-7

№ 8.

ამ მუხლის ძალით სექცია დამოუკიდებლად აკეთებს ნაკისრს საქმეებს.

ი. რატიშვილი, შ. მესხიშვილი, რ. გაბაშვილი და სხვანი იმ აზრისანი არიან, რომ გამგეობა უნდა ადასტურებდეს სექციის ყოველივე დადგენილებას, რადგან პასუხის მგებელი გამგეობაა.

რადგან გამგეობის ეს უფლება გამოთქმულია მე II მუხლში, დადგენილ იქმნა, რომ მე-8 მუხლს წინ მიუძღოდეს მე II მუხლის შინაარსი.

ამის შემდეგ კრებამ უცვლელად მიიღო მე 8, 9, 10 და მე 11 მუხლები.

მე 12 მუხლი კრებამ მიიღო დამატებით და „სხვა“.

მე 13 მუხლში სასკოლო სექციის მოვალეობა

მასწავლებლების მოწვევისა და დათხოვნის შესახებ შ-ნი ცინცადის წინადადებით კრებამ ასე შესცვალა: „სექცია ასახელებს მასწავლებლების კანდიდატებს, გამგეობისთვის წარსადგენად, ხოლო გამგეობა ირჩევს და ამტკიცებს თანამდებობაზე.“ დათხოვნის შესახებაც ასევე.

მე -14 მუხლიდან გამორიცხულ იქმნა შენიშვნა: „სხვა რომელიმე სექციის მიერ მოწონებული წიგნი იბეჭდება იმავე სექციის თანხით.“

მე- 15 და მე- 16 მუხლები უცვლელად მიიღეს. ამ რიგად ინსტრუქცია მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა.

მე-16 მუხლს გამოაკლდა უკანასკნელი დავალება-მე „ე.“

4 საათზე და 15 წუთზე კრება შესწყდა.

სექციების წევრების ასარჩევად, ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და ახალ-წევრთა მისაღებად კრების გაგრძელება დაინიშნა კვირას, I-ლ დეკემბრისთვის.

კრების გაგრძელება I ქრისტიშობისთვის.

კრება გაიხსნა 12 საათზე, თავმჯდომარეობდა გ. ნ. ყაზბეგი, დაესწრო 40 წევრი. წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი, რომელიც კრებამ უცვლელად დაამტკიცა.

ამის შემდეგ კრება შეუდგა სექციების წევრების არჩევას.

3. კიკალიშვილის აზრით, რომ არჩევნებს შემთხვევითი ხასიათი არ მიეცეს, საჭიროა მოფიქრება და გულდასმით მოქმედება. დღევანდელ კრებაზე ხალხი ცოტაა, ამიტომ სჯობია სექციების წევრთა არჩევა მომავალ წლისათვის გადაიდოს; მაშინ კრება მრავალ რიცხოვანი იქნება და არჩევნებიც უფრო მოფიქრებულად მოხდება. ახლა თვითონ გამგეობამ მოიწვიოს სექციის წევრები დროებით.

თავმჯდომარე. აუცილებლად საჭიროა სექციებმა ახლავე დაიწყონ მუშაობა; თუ წევრების არჩევა გადავდეთ, მაშინ ერთი წელიწადი დაგვეკარგება.

ს. გაბუნია და ზოგნი სხვანი არჩევნების გადადების წინააღმდეგნი არიან, რადგან საფუძველი არ არის იმისა, თითქოს მომავალი წლის კრება უფრო მრავალრიცხოვანი იქნება.

3. გელეიშვილი ემხრობა კიკალიშვილის აზრს, რადგან კრებაზე ძრიელ ცოტა დამსწრე და ასარჩევი კი ოცი წევრია. ამას გარდა ემჯობინება, თუ წევრები თვითონ განაცხადებენ, ვის სურს მუშაობა; დღეს კი ძალა უნებურად ისეთებიც უნდა აირჩიოთ, რომელთაც ეს სურვილი არ გამოუცხადებია.

შემდეგ რამდენიმე პირმა ილაპარაკა; ზოგი არჩევნების გადადებას თხოულობდა, ზოგი კი მომხრე იყო იმ აზრისა, რომ ახლავე მომხდარიყო არჩევნები.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად გამოაცხადა და კენჭი უყარა ორ წინადადებას; 1. აირჩეს სექციების წევრები, 2. არჩევნები მომავალ საზოგადო კრები-

ეყოლება, რაიცა ანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მე არ მინახავს ჯერ ისეთი საზოგადოება, რომლის საქმეთა მართვა-გამგეობა ჩაბარებული ჰქონდეს რამდენსამე ერთმანერთისაგან დამოუკიდებელ ორგანოს. მართვა-გამგეობას უნდა ემჩნეოდეს რამე მიმართულება და მთლიანობა და ამისათვის საჭიროა, რომ გამგე და მმართველი ორგანო ერთი იყოს. მის ნაყოფიერ მუშაობისათვის საჭიროა, რომ ის პასუხის მგებელი იყოს ყოველთვის მოქმედებაში და ამისთვის საკმარისია, რომ მისი არჩევა და გადაყენება საქმის პატრონის—საზოგადოების—ნებაზე იყოს. გამგეობის ფუნქციების დაქსაქსვა კი უკარგავს ამ ფუნქციებს მთლიანობას და არეველარევეს შეიტანს პასუხის მგებლობის საკითხში.

საზოგადოებათა წესმა იცის ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ საყურადღებო საკითხის შესახებ არჩეულ უნდა იყოს განსაკუთრებული კომისია. ასეთ კომისიას ევალება განსაკუთრებულ საკითხის გამოკვლევა. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც კომისია მხოლოდ იკვლევს საკითხს და მის საუკეთესოდ გადაწყვეტის პროექტს წარადგენს, მხოლოდ პროექტს, ხოლო იმ პროექტის მიღება საზოგადოების ნებაა. ერთ და იმავე საზოგადოების, ერთ და იმავე დაწესებულების საქმეთა გასაძღოლად კი რამდენისამე მუდმივ და ერთის მეორისაგან დამოუკიდებელ გამგეობის ერთდროული არსებობა რაღაც ახირებული და წარმოუდგენელი რამ არის. ასეთის ინსტრუქციის შემუშავება რაღაც ერთმანერთის გაუგებრობის ნაყოფია.

საზოგადო კრებაში აღიძრა ლაპარაკი საზოგადოების მოქმედების უნაყოფობის შესახებ. ერთმა ერთი უსაყვედურა გამგეობას და მეორემ—მეორე. მის მაგიერად, რომ გამოკვლეულიყო ასეთ უნაყოფობის ნამდვილი და ძირითადი მიზეზები, ზოგიერთმა ორატორმა სულ სხვა მსვლელობა მისცა ამის შესახებ აზრთა მიმოცვლას და საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ისეთს საშუალებას, რომელიც არასოდეს, ან ძლიერ იშვიათად, გამომდგარა სასარგებლო: მართვა-გამგეობის რეორგანიზაციას. ძლიერ იშვიათად—თქო, ვამბობთ, რადგან არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციაც საჭიროა ამა თუ იმ საქმეში, მაგრამ მეტ შემთხვევაში, და ასეთია წ.—კ.—საზოგადოების მდგომარეობაც, საქმიანობის უნაყოფობას უფრო ღრმა, ორგანიული მიზეზები უდევს სარჩულად, ვიდრე ორგანიზაციის რამე ნაკლებეფანება. მეტადრე ჩვენის საზოგადოების საქმიანობას და მოქმედებას, რადგან მისი ორგანიზაცია და გარეგანი ფორმა არაფრით არ განიჩევა მსგავს საზოგადოებათა ფორმისა და ორგანიზაციისაგან.

მაგრამ ვსთქვათ, მართალი იყვნენ ისინი, რომელთაც რეორგანიზაციაზე, როგორც ნამდვილ საშუალებაზე, მიუთითეს საზოგადო კრებას. რეორგანიზაციაც არის და რეორგანიზაცია.

ექვსის დამოუკიდებელ გამგეობის შემოღებაც რეორგანიზაციაა, მაგრამ, ვეჭვობ, ასეთი რეორგანიზაცია ჰქონდეს წარმოდგენილი გონების თვალ-წინ ან იმათ, ვინც ეს საკითხი საზოგადო კრებაში აღძრეს, ან თვით საზოგადო კრებას.

ჩემი აზრით, გამგეობის სექციებად ისეთნაირად დაყოფას, რომელიც უკვე შემოღებული ჰქონია თვით გამგეობას, ან არავითარი ან სულ ცოტა რამ შესწორება სჭირია, და თუ გამგეობის მოქმედებას ნაყოფიერობა არ დაეტყობა, ისევ სხვაგნით უნდა ვიძიოთ, როგორცა ვსთქვი, მისი მიზეზიც და ამ მიზეზის ასაცი-

ლებელი საშუალება, რათა შემდეგში, როდესაც დაფინანსავთ, რომ რეორგანიზაცია არ გვშველის, ჩვენვე არ დავგრჩეს სათქმელად:

„საქმე ის კი არის, სად და როგორ ზიხართო...“

ჩემის აზრით, სექციების საქმე ასე უნდა მოეწყოს.

გამგეობა თავის თავად იყოფა ოთხ სექციად:

1. სასკოლო
2. გამომცემელი.
3. ბიბლიოთეკებისა, სამკითხველოებისა და სახალხო კითხვებისა.
4. მუზეუმისა.

საადმინისტრაციო სექცია არ არის საჭირო, რადგან ყველა ჩვეულებრივ საქმეს ასრულებენ თანამდებობის პირნი, ხოლო ზედამხედველობენ და განაგებენ თავმჯდომარე და მისი ამხანაგი და განსაკუთრებულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ განკარგულებას. ადგენს მთელი გამგეობა.

ყოველ ცალკე სექციის საზრუნავ საგანს შეადგენს ის სპეციალური საქმე, რომელსაც თვით მისი სახელი უჩვენებს. სექციის გადაწყვეტილება განხილულ უნდა იყოს გამგეობის plenum-ში და მისგან დადასტურებული.

სექციას უფლება აქვს და ევალება კიდევ თვის საგნის მკოდნენი მიიწვიოს თანამშრომლებად.

თუ არსებობს ჩვენს ცხოვრებაში ისეთი საზოგადოების, როგორც წ.—კ.—საზოგადოებაა, შენახვის სურვილი და მის მოქმედების საჭიროების შეგნება, ასეთი ორგანიზაცია სრულებით შესაფერი, გამოსადეგი და კარგი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერი რეორგანიზაცია ვერ შესძენს ნაყოფიერებას საზოგადოების მოქმედებას.

კომისიის წევრი ივანე ზურაბიშვილი.



სია იმ ჰიროთა ვინც სრულად შემოიტანა საწვერო ფული და სურვილი განაცხადა ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წევრობაზე.

ა

1. ალანია სამსონ
2. ალასანია პავლე
3. ალასანია ლევან
4. არმშაია იაკობ ხუსეინის ძე
5. ასათიანი სამსონ მალაქიას ძე.
6. ალადაშვილი ვასილ
7. ანდლულაძე ივანე ლაზარეს ძე
8. არველაძე კირილე ივანეს ძე
9. აბესაძე მლ. ნესტორ
10. აზნაუროვი ა. ი.
11. ალელიშვილი რაფაელ
12. ასათიანი ივანე გაბრიელის ძე
13. არველაძე ვლადიმერ
14. აბრამიძე ბიქტორ სპირიდონის ძე
15. აბრამიძე იოსებ სპირიდონის ძე
16. ავალიანი მლ. გერონტი.
17. ავალიანი ევსევი ლუკას ძე
18. ახვლედიანი დავით ნესტორის ძე
19. აბრამიძე ვარლამ ვასილის ძე
20. აბრამიძე ნოე ფილიმონის ძე
21. ანდლულაძე მიხეილ ანდრიას ძე
22. ადამაშვილი გაბრიელ ადამის ძე
23. არაბიძე მარიამ დიმიტრის ასული.
24. ახმეტელაშვილი ნიკოლ. გიორგის ძე
25. ახმეტელაშ. ვლადიმერ გიორგის ძე
26. ალაფიძე სვიმონ გაბრიელის ძე
27. აზნაიანიძე ნიკიფორ გიორგის ძე
28. ამაშუკელი სერგეი ილიას ძე
29. აზმაიპარაშვილი სოლომონი.
30. ახოზაძე ფილიპე
31. ახალაძე თეოფილე

ბ

1. ბორჩხაძე ერმილე
2. ბასილაია სიმონ
3. ბორჯგუა სილოვან
4. ბერიძე პეტრე ნიკოლოზის ძე
5. ბოსტაშვილი ელენე ალექსანდრეს ას.
6. ბერძნიშვილი გიორგი თევდორეს ძე
7. ბარამიძე ოლლა გერასიმეს ასული
8. ბერიშვილი გიორგი.
9. ბიბილური ბაგრატ.
10. ბეგიშვილი რაფაელ
11. ბახტაძე ანტონ.
12. ბიბილეიშვილი სანდრო.
13. ბახუა ევგენი.
14. ბელთაძე დიმიტრი.
15. ბერძნიშვილი ნიკოლოზ
16. ბურკაძე სვიმონ ექვთიმეს ძე
17. ბახტაძე ივანე ნიკოლოზის ძე
18. ბოჭორიშვილი მლ. გაბრიელ
19. ბალიაშვილი ვანო მიხეილის ძე
20. ბალიაშვილი ვასილ მიხეილის ძე
21. ბასილაია ალექსანდრე
22. ბარბაქაძე გელაქტიონ ონისიმეს ძე
23. ბურჭულაძე თინათინ თევდორეს ას.
24. ბურჭულაძე ბიქტორ
25. ბარაბაძე ერმილე ეგნატეს ძე
26. ბუკია აბესალომ გიორგის ძე
27. ბიბილაშვილი სერგეი მიხეილის ძე
28. ბაკურაძე სამსონ ოტის ძე
29. ბარაბაძე ერმილე
30. ბებურიშვილი ანდრია

8

1. გულუა ალექსი სოლომონის ძე
2. ვოგია პლატონ
3. გუგუნაშვილი დათა
4. გვასალია გუთუ
5. გალდავაძე მიტროფანე
6. გვარამაძე მიქელ
7. გონაშვილი დიმიტრი.
8. გარსევანაშვილი იოსებ ასლანის ძე.
9. გოცირიძე ნესტორ
10. გაბუნია კონსტანტინე
11. გიორგობინი სერგეი
12. გაჩეჩილაძე ნიკოლოზ მაკარის ძე
13. გაჩეჩილაძე ვლ.
14. გარდავაძე ვარლამ
15. გედევანიშვილი ა.
16. გვარამაძე ოქროპირ.
17. გვარამაძე კონსტანტინე ივანეს ძე
18. გეორგაძე ალექსანდრე
19. გოგნაძე ივანე
20. გეგეჭკორი ნიკო.
21. გვაზავა კოსტა
22. გოგნაძე თევდორე
23. გზიავა ანდრია
24. გოგობერიძე სამსონ ირაკლის ძე
25. გარდაფხაძე ეკატერინე ქაიხოსროს ას.
26. გუგეშაშვილი ილია პავლეს ძე
27. გავაშელიშვილი იასონ სიმონის ძე
28. გაბაშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე
29. გალდავაძე შუშანიკ ნესტორის ას.
30. გეგეჭკორი პეტრე კონსტან.
31. გვენცაძე გიორგი ალექსის ძე
32. გორტლიშვილი ნიკო იოსების ძე
33. გიორგობინი იოსებ ზურაბის ძე
34. გიორგობინი მალაქია სოლომონის ძე
35. გაგლოშვილი დავით გიორგის ძე
36. გარდავაძე ნადია
37. გვინებიძე მიხეილ იოსების ძე
38. გოგობერიძე კალენიკე გიორგის ძე

39. გეგეჭკორი გრიგოლ ალექსანდ.
40. გურგენიძე სოფიო დავითის ასული
41. გოგოშიძე, ისიდორე ფილიპეს ძე

დ

1. დიდიმამიშვილი კ.
2. დაფქვიაშვილი ვლადიმერ
3. დვალიშვილი სერგო
4. დევდარიანი აკაკი
5. დადუნაშვილი სერაპიონ ექვთიმ.
6. დადუნაშვილი ლუიზა ავქსენტის ას.
7. დავითაია ლუკა კონსტანტინეს ძე
8. დოკვაძე სტეფანე ფირანის ძე
9. დუშურაშვილი ვანო
10. დიასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე
11. დგებუაძე ბარბარე ივანეს ასული
12. დუშურაშვილი სვიმონ
13. დუშურაშვილი სოფია
14. დუმბაძე გერასიმე სვიმონის ძე
15. დვალი კოსტა.

ე

1. ერაძე სამსონ.
2. ელიავა შანგი თომას ძე
3. ელიავა ელისაბედ იოსების ასული
4. ელიავა სვიმონ თომას ძე.

ვ

1. ვაშაკიძე ბესარიონ
2. ვაჩნაძე თამარ გიორგის ასული
3. ვირსალაძე ელენე ეფრემის ასული
4. ვირსალაძე ბაგრატ სვიმონის ძე
5. ვაშაკიძე ნიკო ივანეს ძე

ზ

1. ზედელაშვილი მიხეილ
2. ზუევი ვლადიმერ თევდორეს ძე
3. ზაქარეიშვილი ხარიტონ

4. ზეველაშვილი სერგეი მიხეილის ძე
5. ზეველაშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე
6. ზეველაშვილი ალექსანდრე იოს. ძე

თ

1. თოხაძე მიხეილ გრიგოლის ძე
2. თათარაშვილი ალექსანდრე
3. თალაკვაძე იაგორ როსტომის ძე
4. თედორაძე მირიან ბესარიონის ძე
5. თოფურაძე კლიმენტი
6. თაქთაქიშვილი სოლომონ
7. თაბუკაფვილი ნეოფიცე ივანეს ძე
8. თავდიშვილი სერგეი დავითის ძე
9. თათარაშვილი გიორგი ივანეს ძე
10. თელიევი ალექსანდრე გიორგის ძე
11. თეთრაძე სოლომონ ზაქარას ძე
12. თავდიშვილი სერგო

ი

1. ინაშვილი ალექსანდრე
2. იოსელიანი პოლიკარპე
3. ინასარიძე მლ. ეფრემ
4. იაშვილი სერგო
5. ინჭკირველი ვასო ლუკას ძე
6. ირემაშვილი სერგო

კ

1. კვაშილავა ამბაკო
2. კორაშვილი ნიკოლოზ ნოდარის ძე
3. კურცხალია სოლომონ
4. კალანდაძე თომა თეიმურაზის ძე
5. კალანდაძე ოლღა ანანის ასული
7. კობაძე ნესტორ კონსტანტინ. ძე
8. კალანდაძე გიორგი ყარამანის ძე
9. კალანდაძე დიმიტრი ანტონის ძე
10. კვაჭანტირაძე ერმილე ფილიპეს ძე.
11. კალანდაძე დარისპან გიორგის ძე
12. კალანდაძე ივანე გიტოს ძე
13. კალანდაძე ოლღა გიორგის ასული
14. კვიტაშვილი გიორგი
15. კარბელაშვილი ვასილ მლ.

16. კვალაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე
17. კანდელაკი მლ. ბენიამინ
18. კვარცხალია კონსტანტინე
19. კოტრიკაძე სილოვან
20. კუტალაძე დავით
21. კუარეიშვილი გიორგი
22. კაჭარავა პლატონ
23. კვირკველია ლაფრენტი
24. კვერენჩხილაძე გიორგი
25. კორძაძე მაქსიმე ბართლომეს ძე
26. კეკელიძე გიორგი პეტრეს ძე
27. კვიტაშვილი ალექსანდრე ყარამან. ძე
28. კალანდარაშვილი ანდრია ქაიხ. ძე
29. კალანდარაშვილი იადვიგა კაზიმ. ას.
30. კოლეელიშვილი ივანე სვიმონის ძე
31. კარიჭაშვილი დავით დავითის ძე
32. კოსტავა ისიდორე გიორგის ძე
33. კობრეიძე ნიკიფორე ლუკას ძე
34. კალანდაძე ნესტორ
35. კოციავა ვასილ ივანეს ძე
36. კიკალიშვილი ოლღა ალექს. ას.
37. კაჭარავა იასონ ბესარიონის ძე
38. კვახაძე ივანე სვიმონის ძე.
39. კერესელიძე დავით
40. კობახიძე ვასილ ბესარიონის ძე
41. კალანდაძე ასლან სამუელის ძე
42. კაკულია, სარდიონ
43. კერესელიძე ვლადიმერ
44. კერესელიძე ევგენი
45. კერესელიძე იასონ
46. კობახიძე არჩილ
47. კილაძე, ვახტანგ ლომიდეს ძე
48. კოლელაშვილი იოსებ სვიმონის ძე

ლ

1. ლაბარტყავა ყარამან
2. ლომჯარია თევდორე
3. ლაპიაშვილი გრიგოლ
4. ლომაძე, ისიდორე გრიგოლის ძე
5. ლომთათიძე პარმენ ილარ. ძე

6. ლიაძე ბესარიონ ივანეს ძე.
7. ლოლუა ვლადიმერ
8. ლუკაშვილი მლ. ზაქარია სვიმონ.
9. ლაზარიშვილი ი. ი.
10. ლორთქიფანიძე ალექსანდ. ვლასის ძე
11. ლასხიშვილი ივლიანე ალექსის ძე
12. ლორთქიფანიძე ილია სპირიდონის ძე
13. ლობჯანიძე გიორგი ივანეს ძე
14. ლობჯანიძე ილია ნონის ძე
15. ლობჯანიძე საბა ნონის ძე
16. ლობჯანიძე ნიკიფორე საბას ძე
17. ლობჯანიძე თედო დავითის ძე
18. ლობჯანიძე სოლომონ ივანეს ძე
19. ლობჯანიძე თევდორე ივანეს ძე
20. ლობჯანიძე ნესტორ ღვთისოს ძე
21. ლობჯანიძე ალექსი ფილოს ძე
22. ლობჯანიძე ალექსი დავითის ძე
23. ლობჯანიძე ვარლამ ფილოს ძე
24. ლობჯანიძე ოქრო ივანეს ძე
25. ლომჯარია პანტელეიმ. ვახტანგის ძე
26. ლომჯარია გერასიმე ანთიმოზის ძე
27. ლიპარიძე გრიგოლ
28. ლომინაშვილი ალფეზ.

ა

1. მარუაშვილი იოსებ მალაქის ძე
2. მარუაშვილი ბარბარე რომანოზის ას.
3. მესხიშვილი კონსტანტინე იოსებ. ძე
4. მანჯგალაძე ალექსანდრე
5. მხეიძე ილია ალექსის ძე
6. მენტეშაშვილი მლ. მიხეილ
7. მენტეშაშვილი იაკობ
8. მენტეშაშვილი მლ. იოანე
9. მენტეშაშვილი მლ. ეგნატე
10. მენტეშაშვილი ნიკოლოზ
11. მენტეშაშვილი ილია
12. მენტეშაშვილი ივლიტა მიხეილის ას.
13. მატიაშვილი ბარამ
14. მელექსიშვილი ნიკოლოზ
15. მერკვილაძე ნესტორ ვარდნის ძე

16. მჭედლიშვილი ნიკოლოზ
17. მაჩაბელი სოლომონ
18. მიქაშვილი გიორგი
19. მირიანაშვილი დეკ. იოსებ დიმიტ.
20. მეფისაშვილი მ.
21. მეფისაშვილი ბაგრატ.
22. მეტრეველი ფ.
23. მაისურაძე ი. ვ.
24. მზარეულოვი ალექსი
25. მგელაძე ილია.
26. მგელაძე ნინო.
27. მესხიძე ნესტორ სიმონის ძე
28. მესხიშვილი ივანე სიმონის ძე
29. მეტრეველი სამს. სოლომონის ძე.
30. მეტრეველი დავით ლაზარეს ძე.
31. მეტრეველი ფილიპე ლევანის ძე
32. მეტრეველი ისიდორე ივანეს ძე
33. მეტრეველი მათე ვასილის ძე
34. მეტრეველი პეტრე დავითის ძე.
35. მაჭავარიანი გიორგი პაატას ძე
36. მერკვილაძე იოსებ ანდრეას ძე
37. მათიკაშვილი არჩილ კირ.
38. მაჩაბელი ესტატე ალექ.
39. მელიქიშვილი პეტრე გრიგოლ.
40. მაჭარაშვილი ელენე ნესტორ ას.
41. მიქაძე ნიკო
42. მამფორია რაჟდენ გიორგის ძე
43. მარიაშიძე მიხეილ ივანეს ძე
44. მიქაძე მიხეილ იოსების ძე
45. მენუშლა პორფირე ივან.
46. მაჭარაშვილი, დავით პარმენის ძე
47. მამაცაშვილი, ილარიონ მიხეილის ძე
48. მეგრელიშვილი ვლასა
49. მდინარაძე დეომიდე პავლეს ძე
50. მდივნიშვილი ალფეზი
51. მეფარიშვილი, ისიდორე
52. მშვიდლობაძე, იოსები
53. მიქაძე ბართლომე
54. მაკარაშვილი, არტემ
55. მეცხვარიშვილი ეგნატე

6

1. ნამიჩეიშვილი აკაკი თადეოზის ძე
2. ნასრაშვილი კონსტანტინე
3. ნაცვლიშვილი მღ. ლუკა
4. ნადირაძე ალექსანდრე
5. ნადირაშვილი ვასილ მიხეილის ძე
6. ნატროშვილი ოლღა მალხაზის ასული
7. ნაცვალაძე ვარლამ ლომინას ძე
8. ნინიძე კალინიკე ლევანის ძე
9. ნასარიძე პორფირე
10. ნათაძე მიხეილ გიორგის ძე
11. ნათაძე ეკატერინე სოლომონ. ას.
12. ნიკოლეიშვილი დომენტი ალექ. ძე
13. ნიკოლეიშვილი ივანე ილარიონის ძე
14. ნაფეტვარიძე პოლიკარპე არსენის ძე
15. ნიკოლეიშვილი ბარნაბა გიორგის ძე
16. ნათაძე ლევან იასონის ძე
17. ნავტაკი ალექსანდრე იოსების ძე
18. ნადირაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე
19. ნიკოლაშვილი ივანე
20. ნაფეტვარიძე გერმანე პავლეს ძე
21. ნაცვალაძე ალექსი გლახუას ძე
22. ნეზიერიძე ალექსანდრე
23. ნარიშვილი, სანდრო
24. ნინიძე კირილე

ო

1. ორჯონიკიძე ტარასი
2. ორბელიანი იაკობ.

პ

1. პარკაძე დავით დავითის ძე
2. პაპიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე
3. პარუნაძე, ნესტორ

ჟ

1. ჟორჯოლიანი ვიქტორ
2. ჟვანია პავლე ბიჭიას ძე
3. ჟორდანიას ალექსანდრე ლუკას ძე
4. ჟორჯოლიანი გერმან ალექსის ძე
5. ჟურული ნიკო.

რ

1. რამიშვილი სერაფიმონ კონსტანტ. ძე
2. რატიანი ვლასი კონსტანტინეს ძე
3. რატიშვილი სოფიო გაბრიელის ას.
4. რტხილაძისა გარგალიტა ივანეს ას.
5. რაქვიაშვილი ივანე დავითის ძე
6. რამიშვილი ალფესი ლავრენტის ძე
7. რიკაძე ქრისტესია მიხეილის ძე
8. რამიშვილი აკაკი
9. რურუა ევგენი
10. რამიშვილი ნოე.

ს

1. სარიშვილი გრიგოლ
2. სიხარულიძე ასლან
3. სიხარულიძე არტემ ალექსანდრეს ძე
4. სანადირაძე იაგორ დიმიტრის ძე
5. სანადირაძე ეფრემ მიხეილის ძე
6. სანადირაძე ალექსანდრე მასიკოს ძე
7. სანადირაძე იოსებ მასიკოს ძე
8. სანიკიძე რაჟდენ იოსების ძე
9. სურმავა იონა ივანეს ძე
10. სიდავა დესპინე გიორგის ძე
11. სხირტლაძე არსენ ალექსის ძე
12. საყვარელიძე გიორგი გრიგოლის ძე
13. საყვარელიძე ანდრია მიხეილის ძე
14. სარგიშვილი კონსტანტინე ალექს. ძე
15. საგირაშვილი დავით ალექსანდრეს ძე
16. სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე
17. სულთანიშვილი გიორგი ივანეს ძე
18. საყვარელიძე მიხეილ.

ტ

1. ტაბიძე ილია
2. ტრაპაიძე ანთიმოს
3. ტაბატაძე მიხეილ
4. ტაშუკაშვილი ტრიფონ
5. ტუსიშვილი ნიკო ფარსადანის ძე
6. ტაროშვილიძე სამსონ გიორგის ძე
7. ტრაპაიძე ნიკოლოზ პავლეს ძე

უ

1. უშვერიძე პისტი ანტონის ასული
2. უნგია ალექსი გიორგის ძე
3. უნგია ილია გიორგის ძე
4. უნგია მლ. ფილიპე.

ფ

1. ფიცხელაური იაკობ
2. ფაშალიშვილი ზაქარია
3. ფოცხიშვილი დავით ათანასეს ძე
4. ფირცხალავა აპოლონ მელიტონის ძე
5. ფურცელაძე ქეთევან
6. ფირალაშვილი ლევან სიმონის ძე
7. ფურცელაძე ვასილ გრიგოლის ძე
8. ფანცულაია იოსებ
9. ფანიაშვილი იასონ ვასილის ძე
10. ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე
11. ფრუიძე იოსებ პეტრეს ძე
12. ფრუიძე საბა
13. ფილია გიორგი ანტონის ძე
14. ფანცულაია ლავრენტი.

ქ

1. ქორქია იროდიონ
2. ქუთელია ვლადიმერ
3. ქადაგიძე იოსებ დიმიტრის ძე
4. ქორიძე მლ. ირაკლი
5. ქარცივაძე იოსებ სოლომონის ძე
6. ქავთარაძე მიხეილ
7. ქუთელია არჩილ
8. ქართველიშვილი შალვა გრიგ. ძე
9. ქორქაშვილი ივანე სოლომონის ძე
0. ქიქოძე ელენე გრიგოლის ასული
1. ქიქოძე გერასიმე ლავრენტის
2. ქიტიაშვილი სერგეი იაკობის ძე
3. ქუთათელაძე ლიუცია ილიას ასული
4. ქარსელაძე ალექსანდრე გრიგოლის ძე
5. ქარსელაძე ვიქტორ კვირის ძე
6. ქარცივაძე ნიკოლოზ იოთამის ძე

ლ

1. ლვინიაშვილი ნიკო ივანეს ძე
2. ლოლობერიძე ლავრენტი.

შ

1. ყარალაშვილი ი.
2. ყუფარაძე კოტე ნიკიფორეს ძე
3. ყირმელაშვილი იოსებ
4. ყიფიანი, ნინო ბეჟანის ასული
5. ყიფიანი ალექსანდრე ბიჭიას ძე
6. ყანჩაველი მარიამ ალექსის ასული
7. ყიფიანი ვასილ.

შ

1. შავდია ალექსანდრე
2. შურღაია ნესტორ
3. შანიძე ანდრია მიხეილის ძე
4. შალვაძე კონსტანტინე
5. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე
6. შალამბერიძე ვიქტორ დავითის ძე
7. შარაშიძე თამარა გიორგის ასული
8. შენგელაია კალისტრატე თომას ძე
9. შენგელაია კოსტა
- 10, შავლაძე კოსტა.

ჩ

1. ჩაჩავა მარიამ
2. ჩხაიძე იულონ
3. ჩიქოვანი კონსტანტინე
4. ჩიგოგიძე გიორგი ელიშუხის ძე
5. ჩხიკვაძე კაპიტონ სპირიდონის ძე
6. ჩხიკვიშვილი ივანე
7. ჩარქიშვილი გიორგი
8. ჩლიაძე ნიკოლოზ
9. ჩიკვაძე გიორგი დიმიტრის ძე
10. ჩილინგაროვი ს. პ.
11. ჩახუნაშვილი ევრემ ალექსანდრეს ძე

მოთხოვნების გამოცემა; შესრულებული იქმნა მხოლოდ ნაწილი, გამოიცა ერთი წიგნი; დანარჩენი მასალა გაფანტული იყო სხვა-და-სხვა საყმაწვილო ჟურნალებში. ყველა ამას თავი მოფუყარეთ, ავნუსხეთ და გადავეცით ახლად არჩეულს საგამომცემლო სექციას. 4. გამგეობამ დაადგინა სახალხოდ გამოცემა იაფ ფასებში მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემულის ილია ჭავჭავაძის თხუზულებათა სურათებით. ამის შესახებ გამგეობამ მიიღო არჩილ ჯაჯანაშვილისა და ლ. ბოცვაძის მიერ წარდგენილი ხარჯთ აღრიცხვა; კლიშეები სურათებისათვის უნდა გადმოეცა გამგეობისათვის მიხეილ გედევანიშვილს, მაგრამ არც კლიშეები გადმოუცია და რადგანაც წიგნის ბეჭედა გვიან დასრულდა 1913 წელს ილია ჭავჭავაძის თხუზულებათა სახალხოდ გამოცემა ვერ მოხერხდა. 5. ლ. ბოცვაძემ წარუდგინა გამგეობას მის მიერ ნათარგმნი ლუნკევიჩის სამეცნიერო პოპულარული წიგნაკი: **КАК ИДЕТ ЖИЗНЬ ВЪ ЧЕЛОВѢЧЕСКОМЪ ТѢЛѢ** დასაბეჭდად. ამ თარგმანისა და ორგანიზაციის განხილვა გამგეობამ მიანდო ექიმს შ. მიქელაძეს და შ. დედაბრიშვილს, მაგრამ ამათ წერილობითი აზრი არ წარუდგინეს გამგეობას და ამ წიგნის გამოცემა მიუყრდა. 5. ექიმმა თიკანაძემ წარმოუდგინა გამგეობას მის მიერ ნათარგმნი საყმაწვილო სამეცნიერო წიგნაკი „წვეთი სისხლის მოგზაურობა“ ამ თარგმანისა და ორგანიზაციის გარჩევა მიენდო ჯერ ექიმს შ. მიქელაძეს, რომელმაც წარმოუდგინა გამგეობას თავისი აზრი, მაგრამ გამგეობამ ამ წიგნის გამოცემის საკითხი გადასდო და გამოცემის შესწავლა მიანდო კიდევ კომისიას, რომელსაც შეადგენენ ექიმები შ. მიქელაძე და ვ. ლამბაშიძე, რომელთაც აზრი ამ გამოცემის შესახებ გამგეობისათვის არ წარმოუდგენიათ ასეთი იყო საზოგადოთ გამომცემლობის საქმე 1913 წ.

გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე.



ШКОЛА И ЖИЗНЬ

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

4-й г.
изданія

Открыта подписка на 1914 г.

4-й г.
изданія

Въ 1914 году газета сохраняет прежній характеръ и количество матеріала, будетъ выходить въ форматѣ еженедѣльника, въ виду настойчиво выраженныхъ пожеланій земствъ и др. общественныхъ учреждений и отдѣльныхъ подписчиковъ.

Начальная школа и интересы народнаго учительства будутъ въ газетѣ и впредь на первомъ планѣ.

Осуществленіе этихъ задачъ обеспечивается участіемъ въ „Ш. и Ж.“ въ качествѣ сотрудниковъ дѣлаго ряда дѣятелей низшей, средней и высшей школы, земскихъ и городскихъ дѣятелей, членовъ Г. Думы и Г. Совѣта, а также значительнаго числа постоянныхъ корреспондентовъ какъ въ провинціи, такъ и за границей.

Ежемѣсячныя приложенія (не менѣе 80 печатн. листовъ въ годъ) къ газетѣ даютъ, на ряду съ классическими трудами по воспитанію, работы выдающихся современныхъ педагоговъ, знакомящія съ новѣйшими теченіями педагогической мысли.

Въ числѣ бесплатныхъ приложеній на 1914 г., Собраніе статей по воспитанію *Герберта Спенсера* (часть статей появляется на русскомъ языкѣ впервые); изслѣдованіе психологіи дѣтскаго воспитанія д-ра *Фр. Шольца* „Недостатки въ дѣтскомъ возрастѣ — руководство для семейнаго и школьнаго воспитанія“; удостоенная преміи книга швейцарскаго педагога Эртли „Народная школа и трудовое начало“; сборникъ, посвященный важному вопросу о физическомъ воспитаніи: Очерки о музеяхъ Запада и ихъ посвѣтительномъ значеніи“ подъ ред. д-ра *Л. Г. Оршанскаго*.

Программа газеты: 1) Статьи по вопросамъ: а) организациі школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ, характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризирующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія; дѣятельность законодательныхъ учреждений, правительства и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и за границей. 7) Обзоръ спеціальной литературы, русской и иностранной. 8) Объявленія.

Подписная цѣна: на годъ на 6 м. на 3 м.
Съ доставкой и пересылкой 6 р. 3 р. 2 р.

Для учащихся въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка: при подпискѣ 2 руб. въ февралѣ, 1-му марту, 1-му апрѣлю и 1-му мая по 1 руб.

Подписка принимается въ Главной Конторѣ, *Петербургъ, Кабинетская, д. Губернскаго Земства, № 18*, во всѣхъ почт.-тел. отдѣл. и въ солидн. книжн. магаз.

Объявленія: Строка непарели впереди текста 60 коп., позади—30 коп.

Редакторъ: *Г. А. Фальборкъ*.

Издатели: *Н. В. Мѣшковъ и Г. А. Фальборкъ*.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორისთვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვითური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მოხაწილებას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მე-ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: ილია ჭავჭავაძის, პეტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-კვარტი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი - საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქციის სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ დონისძიებას ხსარობს ჟურნალის თანდათან განსუქობესებლად.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская
Гимназія. Л. Г. Бодвадзѣ.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.